სპორტი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 მაისი პარასკევი 2013
№120 (14 036) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეკრება დაიწყო



ნაკრებმა გუშინ ბასაზე ივარჯიშა

ფოტო: www.gff.ge

2

## 74:67, ანუ 2:1




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## შსს აკადემიას ჩემპიონობამდე ერთი მოგება აშორებს, ოლიმპს – ორი

12



## ვილანოვას ვალვერდე შეცვლის?

# HALLO!

## 19-წლამდელები ელიტას ინგლისთან მატჩით მიესალმებიან

2





ანდრეა პირლო (მარცხნივ) და კახა კალაძე

## პირლო, ზეედორფი და კაკა თბილისში

საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" ყოფილი ფეხბურთელის - კახა კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩში, რომელიც „დინამო არენაზე" 31 მაისს ჩატარდება, კლარენს ზეედორფი, კაკა და ანდრეა პირლო მიიღებენ მონაწილეობას.

ამის შესახებ ინფორმაციას იტალიური გამოცემა Corriere dello Sportავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ 31 მაისს „დინამო არენაზე" „მილანის" შემადგენლობაში ითამაშებენ: ვალერიო ფიორი, სებასტიანო როსი, როკე ჟუნიორი, პაოლო მალდინი, ჯანლუკა ძამბროტა, იაპ სტამი, მასიმო ოდო, დარიო შიმიჩი, რუი კოშტა, მატიე ფლამინი, იბრაჰიმ ბა, კრისტიან ვიერი, ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი.

www.sportall.ge

აქტუალური თემა

# ოჰ, ეს ხელფასი!..

როცა შედეგი არ არის, განსაკუთრებულად მაშინ ინტერესდებიან, რამდენი აქვს ხელფასი გუნდის მთავარ მწვრთნელს.

უხერხულია, კაცს ჰკითხო, ჯამაგირი რამდენი გაქვსო, მაგრამ როცა ფული სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მიდის, მგონი ამის კითხვის უფლებაც ჩნდება. თანაც საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება.

ამ დღეებში ფორუმზე თუ სხვა სოციალურ ქსელებში დაიდო დოკუმენტი, რომელიც ადრეც იყო გამოქვეყნებული ერთ-ერთ მედიასაშუალებაში. ეს არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** წერილი სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, **ლევან ყიფიანის** სახელზე.

**„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი ასიგნებებიდან გთხოვთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თეიმურაზ ქეცბაიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნოემბრის თვეში კუთვნილი თანხა 209 500 ლარი გადმოგვირიცხოთ"** - ნათქვამია წერილში, რომელიც 2012 წლის 12 ნოემბრით არის დათარიღებული.

ფედერაციის პრესსამსახურმა ამ წერილის ავთენტურობა დაგვიდასტურა და ოფიციალური განცხადებაც გამოგვიგზავნა:

■ ■ ■

მედიაში კიდევ ერთხელ გაჟღერდა თემა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის - თემურ ქეცბაიას ანაზღაურების შესახებ. საზოგადოებისა და მედიის ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. **ამ საკითხზე კომენტარი თავად თემურ ქეცბაიამ გააკეთა, რომელიც ნაკრებს მოახლოებული ორი საერთაშორისო ამხანაგური მატჩისთვის ამზადებს.**

საქართველოს ნაკრებს უახლოეს ორ კვირაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ორი ამხანაგური მატჩი აქვს ჩასატარებელი ირლანდიისა და დანიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. მოახლოებული მატჩების წინ კი მედიის ერთ-ერთ მთავარ აქტუალურ თემად სამწვრთნელი შტაბის დაფინანსების საკითხი იქცა. სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მედიასთან მოკლე კომენტარი გამეკეთებინა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრების ყოველთვიური ანაზღაურება ჯამში 100 ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ლარებში შეადგენს. ამ თანხაში სრულადაა გათვალისწინებული სამწვრთნელო შტაბის სრული შემადგენლობის სახელფასო ანაზღაურება. აგრეთვე მათი მგზავრობის ხარჯები, რაშიც იგულისხმება ეროვნული ნაკრების წევრებისა და კანდიდატების საკლუბო მატჩების სანახავად ნაკრების მწვრთნელთა სასელექციო ვიზიტები სხვადასხვა ქვეყანაში. აგრეთვე სასტუმროების ხარჯები.

ჩემი და ეროვნული ნაკრები გუნდის სამწვრთნელო შტაბის კონტრაქტი და მისი პირობები საჯაროა, რომლის გაცნობის მოთხოვნითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის ოფიციალურად არც ერთ მედიასაშუალებას არ მიუმართავს. კონტრაქტის ძირითადი დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფოს, ფედერაციასა და მწვრთნელებს შორის გაფორმდა და რომელიც ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

სფფ-ის პრესსამსახური

■ ■ ■

კარგია, რომ ფედერაცია და ნაკრების მწვრთნელი საზოგადოებასთან ურთიერთობას არ გაურბიან, თუმცა თუ ყურადღებით წაიკითხავთ სიჭინავას წერილსაც და ქეცბაიას განცხადებასაც, კითხვებიც გაგიჩნდებათ.

წერილში ქეცბაიას ხელფასზეა საუბარი, ქეცბაიას კომენტარში კი — ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ანაზღაურებაზე. ამ ლოგიკით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს თურმე კოლექტიური ხელფასი ჰქონიათ, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უცნაურია.

საკითხავია ისიც, რა შუაშია ერთმანეთთან სამწვრთნელო შტაბის ანაზღაურება და სამივლინებო ხარჯები, ნუთუ ყოველთვე ნაკრების სამწვრთნელო შტაბს ერთნაირი მივლინება უწევს?

უხერხულობა რომ მოიხსნას, „ლელო" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას თხოვს, ქეცბაიასთან კონტრაქტი საჯარო გახადოს. ვფიქრობთ, ამ თხოვნის შესრულება ფედერაციისთვის პრობლემა არ იქნება.

დავით თავართქილაძე



თემურ ქეცბაია

ფოტო: www.gff.ge

ეროვნული ნაკრები



საქართველოს ნაკრებმა ბასაზე ივარჯიშა

ფოტო: www.gff.ge

# ნაკრები სრულად 28-ში შეიკრიბება

საქართველოს ეროვნული ნაკრები მოახლოებული ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" აგრძელებს. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელები ბაზაზე ჯერ არ ცხოვრობენ და ყოველდღიურ ვარჯიშებზე სახლებიდან დადიან.

შეგახსენებთ, ჩვენი ეროვნული გუნდი 2 ივნისს სტუმრად ირლანდიას ეთამაშება, 5 ივნისს კი ასევე გასვლით მატჩში დანიას დაუპირისპირდება.

გუშინ გუნდს შეუერთდა გერმანული "ბოხუმის" თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი.** გუშინ "ბასაზე" შემდეგმა ფეხბურთელებმა ივარჯიშეს: **ომარ მიგინეიშვილი, როინ კვასხვაძე, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ფოფხაძე, გურამ კაშია, დავით კვირკველია, ირაკლი მაისურაძე, მერაბ გიგაური, ელგუჯა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი და ნიკოლოზ გელაშვილი.**

**გიორგი ლორიასა და ირაკლი ძარიას,** რომლებმაც თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში საქართველოს თასი მოიგეს, ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** ორდღიანი დასვენების საშუალება მისცა.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ სფფ-ის ვებგვერდთან საქართველოს ნაკრების ორმა ფეხბურთელმა კომენტარი გააკეთა.

**გურამ კაშია:** *„ფეხბურთელისთვის სანაკრებო თამაშები ყოველთვის განსაკუთრებულია და მნიშვნელობა არ აქვს ამხანაგურია თუ ოფიციალური - მოტივაცია მაღალია. ვარჯიშები დავიწყეთ იმ ფეხბურთელებმა, ვინც ჩემპიონატი დაასრულა. სავარჯიშო პირობები ძალიან კარგია და ყველანაირად გვაქვს საშუალება, რომ კარგად მოვემზადოთ. ირლანდიისა და დანიის სახით ძალიან ძლიერი და საინტერესო მეტოქეები გვეყოლება. რთული მატჩები გველის... ისე, ადვილი არც გვაქვს-ხოლმე და არც ჩვენ მეტოქეებს აქვთ ჩვენთან იოლი თამაშები. აუცილებლად ვნახავთ მეტოქეების თამაშების ვიდეოჩანაწერებს და ანალიზსაც გავაკეთებთ."*

**დავით კვირკველია:** *„ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მე ნათამაშები მაქვს. ამ გუნდთან თამაში ჩვენთვის კი არა, ყველასთვის რთულია. განსაკუთრებით მათთან, სადაც საოცარი სტადიონი, გულშემატკივრები და ატმოსფეროა. ჯერჯერობით, არასრული შემადგენლობით ვემზადებით, მაგრამ ბიჭები ნელ-ნელა შემოგვიერთდებიან. ყველანაირად შევეცდებით, რომ ამ ორ თამაშში ჩვენთვის სასურველ შედეგებს მივაღწიოთ. ჩემთვის, თითოეული ასეთი სანაკრებო თამაში და თანაც, ასეთი დონის გუნდებთან ძალიან მნიშვნელოვანია და პროფესიულად საინტერესო. მიხარია, რომ ნაკრების შემადგენლობაში ვარ და ასეთ თამაშებში მონაწილეობის საშუალება მაქვს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ნაკრებში ახალი სახეები უკვე ინტენსიურად ჩნდებიან. მაგალითად, მერაბ გიგაური. რაც მე საქართველოში დავბრუნდი სათამაშოდ, ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს და ძალიან მომწონს მისი თამაში. რაც მთავარია, ის მთავარმა მწვრთნელმაც შეამჩნია და ნაკრებში გამოიძახა კიდეც. ეს მერაბ გიგაურის შანსია და ვუსურვებ, რომ კარგად გამოიყენოს. ახლა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიჩენს თავს. მთავარია, მონდომება..."*

ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით 28 მაისს შეიკრიბება და იმავე დღეს ქეცბაია პრესკონფერენციას გამართავს. მედიას ნაკრების ღია ვარჯიშზე დასწრების საშუალებაც მიეცემა.

ლევან ჯანეზაშვილი

U 19. ელიტ რაუნდი

# დღეს ინგლისით ვიწყებთ

დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდში ჩაერთვება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ** ბელგიაში შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები: გაბრიელ თებიძე ("ჩიხურა", საჩხერე), ბაჩო მიქავა ("ლოკომოტივი", თბილისი);

მცველები: დავით მთივლიშვილი, ნიკა ქანტურია (ორივე - "ლოკომოტივი"), ლევან გეგეჭკორი ("მერანი", მარტვილი), ნიკა სანდოხაძე ("ტორპედო", ქუთაისი), დავით უბილავა ("ვიტ ჯორჯია"), ლაშა დვალი ("სკონტო", ლატვია), სანდრო გურეშიძე ("დინამო" თბილისი)

ნახევარმცველები: გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე – "ზესტაფონი"), თემურ მარკოზაშვილი ("ტორპედო", ქუთაისი), დაჩი ცნობილაძე ("მეტალურგი", რუსთავი)

თავდამსხმელები: ბაჩანა არაბული ("დილა", გორი), ბუდუ ზივზივაძე ("დინამო" თბილისი), გიორგი ფანცულაია ("ტორპედო", ქუთაისი), ნიკა კაჭარავა ("რუბინი", რუსეთი), ლუკა ზარანდია ("ლოკომოტივი", თბილისი)

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ტრავმის გამო ელიტრაუნდის მატჩებს გერმანული "უნტერჰაჰინგის" ნახევარმცველი **ლუკას ჰუფნაგელი** გამოტოვებს, რომელიც დასკვნითი შეკრების წინ დაშავდა და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. მის ნაცვლად, ბელგიაში თბილისის "დინამოს" მცველი **სანდრო გურეშიძე** გაემგზავრა.

19-წლამდელებმა, ბელგიაში ჩასვლამდე, რამდენიმედღიანი შეკრება სერბეთში გაიარეს, სადაც ამხანაგური მატჩი იქაურ თანატოლთა ნაკრებს 1:0 **ბუდუ ზივზივაძის** გოლით მოუგო.

გუნდი ანტვერპენში, სასტუმრო "რამადა პლაზაში" დაბინავდა. გუშინ ნაკრებმა საღამოს მატჩისწინა ოფიციალური ვარჯიში გამართა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან მატჩისწინა კომენტარი გააკეთა.



გია ცეცაძე

*"ყველაფერი კარგად მიდის და გუნდის მზადებით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე ტაქტიკური კომპონენტი დავხვეწეთ და გავაუმჯობესეთ. კარგი პირობები გვაქვს შექმნილი, თუმცა, ცუდ მოედანზე ვივარჯიშეთ. მთავარია, რომ გუნდში ყველა შემართული და საბრძოლველად განწყობილია და მშვენიერი ატმოსფეროა. ხვალ, მოედანზე მოსაგებად გავალთ და მჯერა, რომ ბიჭები ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ"* – ამბობს გია ცეცაძე.

გია ცეცაძის გუნდი დღეს ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება. თამაშების სრული განრიგი კი ასეთია:

**24 მაისი**

**ინგლისი – საქართველო**

(ბორნემი. "რევეენსტადიონი")
20:00 (თბილისის დროით).

**26 მაისი**

**შოტლანდია – საქართველო**

ვესტერლო. "ოოსტერზონენ არენა".
17:00 (თბილისის დროით)

**29 მაისი**

**საქართველო — ბელგია.**

ბორნემი. სტადიონი "რევეენსტადიონი".
20:00 (თბილისის დროით)

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ესპანეთში

# ახალგაზრდა მენეჯერმა სააგენტო დააარსა

ახლახან, 16 წლის ოთარ ჭიჭალუა ესპანეთში გასინჯვაზე იყო. მან "ესპანიოლის" ასაკობრივი გუნდის მწვრთნელებს თავი მოაწონა და მისი გუნდში დატოვება გადაწყვიტეს.

ოთარი თბილისელია, ვარჯიშობდა "საბურთალოში", "დინამოს" აკადემიასა და "ლოკომოტივში". ცენტრალური მცველი ასაკის კვალობაზე საკმაოდ მაღალია (185 სმ).

## ორი წლით ესპანიოლში

"მე თემურ ფოცხვერიასა და გურამ ჩომახიძის აღზრდილი ვარ. მათი ნასწავლი ესპანეთშიც გამომადგა. იქ ქართველი მენეჯერის, თორნიკე მაისურაძის დახმარებით მოვხვდი - რუსთავის "მეტალურგის" ყოფილ მწვრთნელში არ აგერიოთ, წლებია, ბარსელონაში ცხოვრობს, სამენეჯერო სააგენტო აქვს და "ესპანიოლთან" ხელშეკრულებით თანამშრომლობს. კლუბმა მას ნიჭიერი ბავშვების შერჩევა დაავალა და სინჯებზე ასე აღმოვჩნდი. სულ 60 უცხოელი ვიყავით, მათ შორის, 4 - ქართველი. საბოლოოდ, 10 საუკეთესოს შორის 3 ქართველი მოვხვდით, ბოლოს კი მე და ბრაზილიელი დაგვტოვეს და გვითხრეს, რომ მალე "ესპანიოლი" 2-წლიან კონტრაქტს გაგვიფორმებდა. გუნდმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში საბუთები წარადგინა და "ესპანიოლს" ერთ თვეში შევუერთდები. მართალია, ევროკავშირში ქართველ არასრულწლოვნებს თამაშის უფლებას შეზღუდულად აძლევენ, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემებს თავად ესპანელები მოაგვარებენ. ამ ქვეყანაში თამაში ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და დიდი სტიმულია. ძალიან მინდა, რომ ეს შანსი გამოვიყენო და დიდი ფეხბურთი ვითამაშო" – ამბობს ჭიჭალუა.

ახალგაზრდა მოთამაშე ესპანელთა პირობებზეც გველაპარაკა: "ესპანიოლი" ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საუკეთესო კლუბია. რა თქმა უნდა, პირობებიც ძალიან მაღალ დონეზეა - ფეხბურთელს ყველანაირად ხელს უწყობენ, შესაძლებლობები რომ წარმოაჩინოს. ძალიან დიდი დატვირთვებია და სულ ტემპში თამაშს ითხოვენ. ყველაზე სასიამოვნო კი მოთამაშეებისადმი მწვრთნელთა მიდგომაა. მოედნის გარეთ ფეხბურთელებთან საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. სხვათა შორის, ესპანელი ბიჭების პროფესიონალურმა დამოკიდებულებამაც გამაოცა – მათ მიდგომაში მივხვდი, რამდენით ჩამოვრჩებით. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი კვების საკითხშია. თავად იციან, სპორტსმენს რა სჭირდება, თამაშის დღეს როგორ იკვებოს და დასვენების დროს სხვა მენიუ რომ ესაჭიროება. საქართველოში კი, შეიძლება, თამაშამდე ერთი საათით ადრე ფეხბურთელი გარეთ გავიდეს და ხაჭაპური ჭამოს. ეს ყველაფერი თამაშზე აისახება. არადა, სპორტსმენისთვის სწორი კვება ძალიან მნიშვნელოვანია".



ოთარ ჭიჭალუა

## კიდევ სამს ელოდებიან

"ლელო" ფეხბურთელის მენეჯერს, **თორნიკე მაისურაძესაც** გაესაუბრა: "ადრე ესპანელებს მოთხოვნა ჰქონდათ სამხრეთამერიკელებზე, მაგრამ ჩემი დარწმუნების შედეგად, გადაწყვიტეს, ქართველი ბავშვებიც წაიყვანონ. მათ კარგად იციან, რომ ნიჭიერი ბავშვები გვყავს და ჩემს წინადადებას დათანხმდნენ. ასე აღმოჩნდა ჭიჭალუა "ესპანიოლში".

ჩემი აზრით, ოთარს ესპანეთში დამკვიდრების შანსი აქვს. მისი იმედი არა მხოლოდ მე მაქვს, არამედ მწვრთნელებსაც. ყველა ამბობს, რომ 16 წლის ბავშვს დიდი ასაკის მოთამაშის აზროვნება და გონიერება აქვს. მწვრთნელმა მითხრა, ეს ბავშვი შვილივით შემიყვარდაო. ეს იმ დროს, როდესაც ძალიან ბევრი რეკლამირებული მოთამაშე უკან გაუშვეს. ოთარის პოზიციაზე მოსკოვის "სპარტაკის" მოთამაშე, რუსეთის ნაკრების კანდიდატი ჩამოიყვანეს და წინასწარ ისეთ ლეგენდებს ჰყვებოდნენ, ვიფიქრე, ვარსკვლავი მოგვყავსო. მაგრამ მწვრთნელმა პირდაპირ უთხრა, რომ ოთარის კონკურენტად ვერ გამოდგებოდა.

რომ იცოდეთ, ჭიჭალუას ვარჯიშებზე სხვა გუნდების სელექციონერებიც აკვირდებოდნენ და კონტრაქტის გაფორმების სურვილი "ვილიარეალისა" და "სარაგოსას" წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. მაგრამ "ესპანიოლი" მისი ხელიდან გაშვებას არ აპირებს, 18 წლის რომ გახდება, მერე უკვე პროფესიონალურ ხელშეკრულებას შესთავაზებენ. მთავარია, შრომა არ დაიზაროს და არ ჩათვალოს, რომ უკვე ვარსკვლავია. პირიქით, კარიერის აწყობას ახლა იწყებს".

მაისურაძე გვიყვება, როგორ მოხვდა ესპანეთში: "უკვე 12 წელია, რაც ესპანეთში ვცხოვრობ. 20 წლიდან სეგუნდა "ბ" დივიზიონის "ორიჰუელას" ახალგაზრდულ და ძირითად გუნდებში ვთამაშობდი. მაგრამ მერე ფეხი სამ ადგილას მოვიტეხე და კარიერა ველარ გავაგრძელე. ფეხბურთის გარეშე ცხოვრება არ მსურდა და ესპანეთის ფედერაციაში ლიცენზირება გავიარე. ბავშვთა მწვრთნელად საფეხბურთო აკადემია "დეპორტივო ვილა ოლიმპიცაში" ვმუშაობდი – ეს ბარსელონაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ცნობილი საფეხბურთო სკოლაა და ყველა ასაკში 42 გუნდი ჰყავს, ფილიალები აქვს აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. არ გამოვრიცხავ, მალე რომელიმე ქართულ სკოლასთანაც ვითანამშრომლოთ, ერთკვირიანი კემპები მოვაწყოთ და ესპანეთში ნიჭიერი ბავშვები წავიყვანოთ.

მენეჯერობა შარშან დავიწყე და წარსულში საკმაოდ ცნობილ ფეხბურთელთან, ისიდრო ივერიო ლუისთან ერთად, სამენეჯერო სააგენტო ჩამოვაყალიბე. ვთანამშრომლობთ ესპანეთის პრიმერა, სეგუნდა და სეგუნდა B-ს დივიზიონის გუნდებთან.

სხვათა შორის, ოთარის გარდა, "ესპანიოლში" კიდევ 3 ქართველი ბიჭი იყო ჩამოსული. მართალია, ახლა მხოლოდ ჭიჭალუა დატოვეს, მაგრამ მათგან ორი, გეგი კეკუა და ლუკა სტეფანიშვილი, მომავალ სინჯებზე კიდევ მიიწვიეს, რადგან ისინიც მოეწონათ და დიდი ალბათობაა, დეკემბერში ჩამოიყვანონ".

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# დავით სირაძე: კრილიასთან თამაში არ მსურს

რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლას ორი ისეთი გუნდი შეეცდება, სადაც ქართველები თამაშობენ. პლეი ოფის საგზური მოიპოვეს ხაბაროვსკის „სკა-ენერგიამ" და ნალჩიკის 'სპარტაკმა".

**გიორგი დარასელიას** გაწვრთნილ „სკა-ენერგიაში" ხუთი ქართველი თამაშობს – **ლაშა სალუქვაძე, გიორგი ნავალოვსკი, შოთა გრიგალაშვილი, გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე**. ხაბაროვსკულმა გუნდმა, რომელსაც პრემიერლიგაში აღზევება სურდა, „უფასთან" 0:0 ითამაშა და საქმე გაირთულა.

მაგრამ ხაბაროვსკელებს კონკურენტმა ნალჩიკის „სპარტაკმა" უშველა, , სადაც თავდამსხმელი **დავით სირაძე** და ფლანგის ნახევარმცველი **გუჯა რუხაია** გამოდიან: ყაბარდო-ბალყარეთის გუნდმა შინ კალინინგრადის „ბალტიკას" 2:0 მოუგო და ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად, მე-3 ადგილი გაინაღდა. რუსეთის პირველ ლიგაში 17 გუნდი თამაშობს და ისე გამოვიდა, რომ პირველად ყველა 32 შეხვედრა სწორედ "სკა-ენერგიამ" ჩაატარა.

დარასელიას შეგირდები პლეი ოფის ორ შეხვედრაში რუსეთის პრემიერლიგის მე-13-ადგილოსანს შეხვდებიან, ნალჩიკელები კი - მე-14-ადგილოსანს, მატჩები კი 29 მაისსა და 4 ივნისს გაიმართება. მათი მეტოქეები 26 მაისს, პრემიერლიგის ბოლო ტურში ამ ოთხეულიდან გაირკვევა – პერმის "ამკარი", ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა", სამარის "კრილია სოვეტოვი" და "როსტოვი".

"უფასთან" შეხვედრა გამოტოვა **გუჯა რუხაიამ**, რომელიც 2012 წლის 20 ნოემბრის შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა – 25 წლის ქართველი კრასნოიარსკის "ენისეისთან" დაშავდა და



დავით სირაძე

დღემდე მკურნალობს. სამაგიეროდ, ბოლო ტურში შეუცვლელად ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა დავით სირაძემ. 31 წლის თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ პრემიერლიგაში დაბრუნდება.

"დარწმუნებული ვარ, "სპარტაკი" რუსული ფეხბურთის ელიტაში დასაბრუნებლად მზად არის. რა თქმა უნდა, პრემიერლიგის გუნდთან მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ "სპარტაკი" შარშანდელზე ძლიერი გუნდია და რაც მთავარია, ჩვენს კონკურენტებზე უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვართ. ფეხბურთელები მზად ვართ, მოედანზე თავი დავდოთ და მიზანს მივაღწიოთ. 25 მაისს ბოლო შეხვედრა გვაქვს, მაგრამ უკვე პლეი ოფის მატჩებისთვის ვემზადებით. სიმართლე გითხრათ, დიდად არც მადარდებს, ვის შევხვდებით და არ ვარჩევ, რომელია სასურველი თუ არასასურველი მეტოქე. ჩვენთვის ეს სულერთია. მხოლოდ "კრილიასთან" შეხვედრა არ მინდა, რადგან იქ ალეკო ამისულაშვილი თამაშობს. აჯობებს, სამარელები პლეი ოფს ასცდნენ და მომავალ წელს პრემიერლიგაში შევხვდეთ" – ამბობს დავით სირაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

**"ზუგდიდმა" უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი ძალიან სუსტად ჩაატარა – 10 მატჩში ერთადერთი ქულა მოიპოვა და ჩემპიონატის ფორმატიდან გამომდინარე, უმაღლეს ლიგაში დარჩენა უკვე დაბევებული რომ არ ჰქონოდა, ეს ძალიან გაუჭირდებოდა. სეზონის დასრულებისთანავე ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ქომეთიანმა მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა იტვირთა და გადადგომის შესახებ განაცხადა. გუშინ კი 57 წლის სპეციალისტმა "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალში მწვრთნელობას აღარ აპირებს. ქომეთიანს სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ვესაუბრეთ.**



ელგუჯა ქომეთიანი

# ელგუჯა ქომეთიანი: სამწვრთნელო კარიერა დავასრულე

## პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრება

**- როგორც ჩანს, თქვენი განცხადება არა ცხელ გულზე გაკეთებული, არამედ დიდი ხნის ნაფიქრი ყოფილა.**

- დიახ, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, თანამდებობა დავტოვო. მეტიც, მომავალში მწვრთნელად ველარ მიხილავთ. უკვე იმ ასაკში ვარ, რომ ასპარეზი სხვებს დავუთმო. რაც მთავარია, "ზუგდიდის" მიერ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ნაჩვენები შედეგი სხვა არჩევანს აღარ მიტოვებს. მომხდარზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრება. შექმნილი სიტუაციით უბრალოდ, განადგურებული ვარ და ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადამედგა. შემთხვევით ვისარგებლებ და მადლობას გადავუხდი ჩემს ფეხბურთელებსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში მიმუშავია. მადლიერი ვარ ოთარ გაბელიასი, რომლის დიდი წვლილია იმაში, რომ "ზუგდიდი" ზედა ექვსეულში მოხვდა.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- ამწუთას არავითარი გეგმა არ გამაჩნია. ფეხბურთის გარდა, სხვა საქმეში არ გამოვდგები და თუ "ზუგდიდი" ჩემს სამსახურს სხვა ამპლუაში ისურვებს, სიამოვნებით დავთანხმდები. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**- გასაგებია, რომ თვითკრიტიკული ხართ, რაც ბევრ თქვენს კოლეგას აშკარად აკლია. თუმცა წარმოუდგენელია, ამ წარუმატებლობას სხვა მიზეზებიც არ ჰქონდეს.**

- მაშინ, როცა კლუბში ხელფასები თვეობით არ რიგდებოდა და ძირითად შემადგენლობაში 16-17 წლის ბიჭები თამაშობდნენ, უკეთესი შედეგი გვქონდა. მას შემდეგ სამი წელი გავიდა და წესით, ჩემს გაზრდილ ფეხბურთელებს უნდა მოემატებინათ, მაგრამ პირიქით მოხდა. ასე რომ, დამნაშავე მე ვარ. რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც იყო – წამყვან ფეხბურთელთა ტრავმები და ინფრასტრუქტურული პრობლემები, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. რა თქმა უნდა, საპრიზო სამეულში მოხვედრის ამბიცია და შანსი არ გვქონია, მაგრამ წამყვან ქართულ კლუბებთან უფრო ღირსეულად ბრძოლა გვმართებდა.

**- გასული სეზონიდან პოზიტიურს საერთოდ ვერაფერს გაიხსენებთ?**

- მეორე ეტაპიდან ვერაფერს, პირველ ეტაპზე კი რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩი ჩავატარეთ.

**- ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით?**

- უკვე რამდენიმე თვეა, მიზეზთა გამო, ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე ველარ ვვარჯიშობთ, რამაც გუნდს დაღი დაასვა. ვარჯიშებს სოფელ რუხისა და კახათის მოედნებზე ვატარებდით, სადაც მოედნის საფარიც არ იყო კარგ მდგომარეობაში და არც ელემენტარული ჰიგიენური პირობები გახლდათ დაცული. წარმოიდგინეთ, ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები დასაბანად ქალაქის აბანოში დაგვყავდა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ვარჯიში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დამთრგუნველია და პრაქტიკულად, შეუძლებელია, მან მოედანზე შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინოს.

**- "ზუგდიდს" ზამთარში უკვე გარანტირებული ჰქონდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა. რომ არა ჩემპიონატის ამჟამინდელი ფორმატი, თქვენი ფეხბურთელები უფრო დიდი მონდომებით ხომ არ ითამაშებდნენ?**

- რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა. ჩემმა ფეხბურთელებმა ბრძოლის ჟინი დაკარგეს, მაგრამ ესეც ჩემი ბრალია. მაგალითად, ანთალიურ შეკრებაზე "ზუგდიდი" საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ექვსი საკონტროლო მატჩიდან სამი მოიგო, ხოლო სამი შეხვედრა ფრედ დაასრულა.

**- რა ფინანსური და საკადრო რესურსებით შეხვდება "ზუგდიდი" მომავალ სეზონს?**

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. იცით, რომ კლუბს კერძო სპონსორი არ ჰყავს და მთლიანად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კმაყოფაზეა. საბედნიეროდ, გასული სეზონი ფინანსური კუთხით ნორმალურად ჩავამთავრეთ. სახელფასო დავალიანება არ არსებობს, უახლოეს დღეებში ფეხბურთელები მაისის ხელფასებსაც მიიღებენ, პრემია კი გასაცემი არ არის, რადგან მიმდინარე წელს ჩემპიონატის ერთი მატჩიც არ მოგვიგია.

რაც შეეხება მომავალს, ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება და უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი დაფინანსდება. როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის კლუბების რაოდენობის 16-მდე გაზრდა იგეგმება და ამ იდეას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები – ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ ყველა უმაღლესლიგელს სტაბილური დაფინანსება ექნება. სხვაგვარად, სამწუხაროდ, ჩვენი ჩემპიონატის დონის ამაღლების გზები, ჯერჯერობით, არ ჩანს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# სირბილაძის მარცხი

ფინეთის ჩემპიონატის მერვე ტურში "ინტერ ტურკუ", რომლის ღირსებასაც **ირაკლი სირბილაძე** იცავს, "როვანიემს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. "ინტერის" ქართველმა თავდამსხმელმა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

"ინტერი", რომელიც შარშან ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მიმდინარე ვეიკაუსლიგაში არასახარბიელოდ ასპარეზობს და დღეისთვის მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. სირბილაძემ, რომელიც გასულ სეზონში ფინეთის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მიმდინარე ჩემპიონატში 7 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

"ინტერი" ევროპის ლიგის გათამაშებაში იასპარეზებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## პირველი ლიგა, XXXII ტური

### ბ ჯგუფი

**სპარტაკი – ადელი 4:0**

20.05. თბილისი. „ბენდელა". 100 მაყურებელი

1:0 გ. ნარიმანიძე (25), 2:0 ზ. მეტრეველი (31), 3:0 ბ. კახიძე (47, საკუთარ კარში), 4:0 თ. მაქაცარია (90)

სპარტაკი: ვ. ზუხბაია, ლ. ჭაფოძე, ნ. მგელაძე, ლ. თვალავაძე (54. ა. ხუბეჟოვი), კ. ხიზანეიშვილი, უ. ბურძენაძე, თ. შონია, გ. ცერცვაძე, გ. ნარიმანიძე (59. ლ. კემუხტაშვილი), კ. კაკაშვილი, ზ. მეტრეველი (63. თ. მაქაცარია)

სათადარიგოები: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

ადელი: გ. რომანაძე, კ. ბაგალიშვილი, ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე (59. ნ. ყიფიანი), თ. მჟავანაძე, თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი (66. თ. გიორგაძე), თ. ხაბელაშვილი (67. ლ. მიქაძე), გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე, ბ. კახიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

გაფრთხილება: ზ. მეტრეველი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**კოლხეთი (ხ) – მერცხალი 4:0**

21.05. ხობი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 კ. გოგენია (13), 2:0 პ. გაბრავა (21), 3:0 გ. ლომაია (38), 4:0 ბ. ბუკია (74)

კოლხეთი: ლ. ჭურღულია, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, პ. გაბრავა, კ. გოგენია (46. რ. ჩიტაია) გ. ლომაია (46. რ. ცობეხია), ბ. ბუკია, გ. პაჭკორია, ლ. ჯიქიძე (46. თ. ღლონტი), ლ. ქაშიბაძე, ი. გერგაია

სათადარიგოები: ლ. გოგენია, ლ. მეფიშვილი, ვ. ფირცხელავა, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: ლ. ნოდია

მერცხალი: ნ. თავბერიძე, გ. ხამაშურიძე (46. ვ. მგელაძე), ს. გ. ჩიგოგიძე, გ. მექვაბიშვილი, გ. მალაზონია, გიორგი გოგუა (46. ი. ხუცურიანი), ლ. კოტრიკაძე, ი. კალაჯიშვილი, გ. ჟღენტი, ვ. ჯაყელი (54. გ. პაპკოვი), ლ. ესაძე

სათადარიგო: ი. მურუსიძე

მწვრთნელი: ს. გაგუა

არბიტრი: ჯ. ბიუშვილი

**ლოკომოტივი – ალგეთი 3:1**

21.05. საბურთალოს საფეხბურთო კომპლექსი. 300 მაყურებელი

0:1 ს. ჭიკაიძე (22), 1:1 მ. ცინცაძე (31), 2:1 ენდიკა ბორდასი (76), 3:1 დ. დარციმელია (90, პენალტით)

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. გაბაძე, გ. მაკასარაშვილი, ენდიკა ბორდასი, რ. ჩიტეიშვილი, ლ. კიკაბიძე (46. ა. გუგუშვილი), ჯ. ყანჩაშვილი (72. გ. ლუკავა), ე. სულთანიშვილი, ა. მზევაშვილი (87. ო. პატარკაციშვილი), მ. ცინცაძე, დ. დარციმელია

სათადარიგოები: ბ. ტყემალაძე, დ. გუჯაბიძე, გ. დუმბაძე, ნ. ნივნივაძე

მწვრთნელი: ჟერარდ სარაგოსა

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, შ. გალეგაშვილი (46. ი. ალასანია), მ. მახათაძე (88. ბ. ბახტურიძე), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ა. ნოზაძე, უ. მამულაშვილი (62. ი. სვანიძე), ი. ჯოჯიშვილი, გ. ტუხაშვილი, ს. ჭიკაიძე

სათადარიგოები: გ. ჯოხაძე, გ. ქარჩილაძე, ლ. ჯოხაძე, ს. პილიევი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: ენდიკა ბორდასი, ა. მზევაშვილი; მ. მახათაძე, ა. ნოზაძე, თ. ბახტურიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**სამტრედია – სამგურალი 4:1**

21.05. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 100 მაყურებელი

1:0 გ ბოხუა (16), 1:1 ზ. კუხალაშვილი (38), 2:1 გ. მელქაძე (43), 3:1 ნ. ჩიხლაძე (56), 4:1 ნ. ჩიხლაძე (90)

სამტრედია: დ. კეკელიძე, დ. ჩხიკვაძე, ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, ბ. გედენიძე (70. გ. ხველიძე), ა. დვალიშვილი, მ. ჟვანია (48. ნ. ჩიხლაძე), ლ. ხაჭაპურიძე, თ. კიკაბიძე (85. ბ. ბახტაძე), გ. მელქაძე, გ. ბოხუა

სათადარიგოები: ბ. ახობაძე, გ. რუხაძე, ზ. ნიკურაძე, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ბიბილაშვილი, ზ. ჩიხლაძე (55. ჯ. ჯანელიძე), ლ. კირკიტაძე (46. უ. ბანძელაძე), ნ. ბაბუნიძე, ო. ტორაძე, თ. კაპანაძე, ი. ხვადაგიანი, ზ. კუხალაშვილი, ლ. ნავერიანი, ა. ფანცხავა (68. გ. თევდორაძე)

სათადარიგოები: ა. მეტონიძე, ბ. ფანცხავა, გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: ა. ფანცხავა

არბიტრი: შ. ქუხილავა

შუქურა – ლიახვი 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 29 | 24 | 2 | 6 | 77-14 | 74 |
| 2. ლოკომოტივი | 29 | 18 | 6 | 5 | 68-28 | 60 |
| 3. შუქურა | 29 | 18 | 4 | 7 | 54-24 | 58 |
| 4. კოლხეთი | 29 | 17 | 3 | 9 | 41-27 | 54 |
| 5. სამტრედია | 29 | 16 | 4 | 9 | 49-37 | 52 |
| 6. სამგურალი | 30 | 13 | 7 | 10 | 59-48 | 46 |
| 7. ალგეთი | 29 | 10 | 3 | 16 | 39-51 | 33 |
| 8. მერცხალი | 29 | 5 | 10 | 4 | 36-50 | 25 |
| 9. ჩხერიმელა | 29 | 6 | 2 | 21 | 33-86 | 20 |
| 10. ლიახვი | 29 | 4 | 6 | 19 | 28-72 | 18 |
| 11. ადელი | 29 | 4 | 3 | 22 | 26-73 | 15 |

### მომდევნო ტური. 25 მაისი

ალგეთი – სამტრედია
მერცხალი – ლოკომოტივი
ლიახვი – კოლხეთი (ხ)
ადელი – შუქურა
ჩხერიმელა – სპარტაკი

### II ლიგა

#### დასავლეთის ზონა. XXIV ტური

| | |
|---|---|
| ეგრისი – საირმე | 0:5 |
| მარგვეთი-2006 – გურია-2 | 4:1 |
| მაჭახელა – ენგური | 7:0 |
| საპოვნელა – სამეგრელო | 6:0 |
| ტორპედო-2011 – კოლხეთი-2 | 2:2 |
| ბახმარო – ლაზიკა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 22 | 18 | 2 | 2 | 67-11 | 56 |
| 2. ლაზიკა | 22 | 17 | 2 | 3 | 68-16 | 53 |
| 3. საპოვნელა | 22 | 16 | 3 | 3 | 61-17 | 51 |
| 4. ბახმარო | 23 | 13 | 6 | 4 | 49-31 | 45 |
| 5. საირმე | 23 | 13 | 1 | 9 | 45-30 | 40 |
| 6. მარგვეთი | 22 | 12 | 1 | 9 | 62-36 | 37 |
| 7. გურია-2 | 22 | 11 | 0 | 11 | 39-37 | 33 |
| 8. კოლხეთი-2 | 22 | 5 | 7 | 10 | 31-35 | 22 |
| 9. შუქურა-2 | 22 | 6 | 2 | 14 | 23-54 | 20 |
| 10. სამეგრელო | 22 | 5 | 5 | 12 | 25-72 | 20 |
| 11. ენგური | 22 | 4 | 4 | 14 | 30-59 | 16 |
| 12. ტორპედო | 22 | 3 | 3 | 16 | 29-78 | 12 |
| 13. ეგრისი | 22 | 1 | 4 | 17 | 17-70 | 7 |

#### აღმოსავლეთის ზონა. XXIII ტური

| | |
|---|---|
| ივერია – გაგრა-2 | 3:1 |
| სპარტაკი-2 – ლაგოდეხი | 2:0 |
| აფხაზეთი/ნ. დინამო – იბერია | 2:3 |
| დუშეთი – აბული | 0:3 |
| ალგეთი-XXI – ლიახვი-2 | 3:4 |
| საქ. უნივერსიტ. – ქართლი-2011 | 2:4 |
| იუსი ბესტი – ფარავანი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი | 23 | 20 | 3 | 0 | 82-11 | 63 |
| 2. ივერია | 23 | 17 | 1 | 5 | 74-39 | 52 |
| 3. საქ. უნივერს. | 23 | 15 | 3 | 5 | 61-33 | 48 |
| 4. იუსი ბესტი | 22 | 14 | 6 | 2 | 62-18 | 48 |
| 5. სპარტაკი-2 | 22 | 12 | 2 | 8 | 48-34 | 38 |
| 6. გაგრა-2 | 23 | 11 | 1 | 11 | 64-50 | 34 |
| 7. დუშეთი | 23 | 9 | 3 | 11 | 39-42 | 30 |
| 8. აბული | 22 | 7 | 7 | 8 | 32-40 | 28 |
| 9. ლიახვი-2 | 22 | 7 | 3 | 12 | 33-45 | 24 |
| 10. იბერია | 22 | 6 | 4 | 12 | 41-66 | 22 |
| 11. ალგეთი-XXI | 22 | 6 | 0 | 16 | 33-53 | 18 |
| 12. აფხაზ./ნ. დინ. | 23 | 6 | 0 | 17 | 31-91 | 18 |
| 13. ლაგოდეხი | 22 | 4 | 2 | 16 | 33-66 | 14 |
| 14. ფარავანი | 16 | 2 | 1 | 13 | 15-60 | 7 |

*შენიშვნა: ფინანსური დავალიანების გამო „დუშეთი" მოიხსნა გათამაშებიდან და დარჩენილ მატჩებში ჩაეთვლება ტექნიკური წაგება (0:3).*

### დუბლების ჩემპიონატი

#### ბოლო ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ) – ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| მერანი – დინამო (თბ) | 0:2 |
| დილა – სიონი | 3:3 |
| ტორპედო – ჩიხურა | 1:0 |
| მეტალურგი – ზუგდიდი | 5:1 |
| კოლხეთი – ზესტაფონი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 33 | 25 | 2 | 6 | 87-35 | 77 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 33 | 19 | 7 | 7 | 64-31 | 64 |
| 3. ზუგდიდი | 33 | 16 | 7 | 10 | 50-50 | 55 |
| 4. ჩიხურა | 33 | 16 | 6 | 11 | 45-41 | 54 |
| 5. ტორპედო | 33 | 14 | 7 | 12 | 50-40 | 49 |
| 6. ზესტაფონი | 33 | 14 | 6 | 13 | 76-61 | 48 |
| 7. დილა | 33 | 13 | 8 | 12 | 48-41 | 47 |
| 8. მეტალურგი | 33 | 13 | 5 | 15 | 59-53 | 44 |
| 9. კოლხეთი | 33 | 12 | 5 | 16 | 39-58 | 41 |
| 10. დინამო (ბთ) | 33 | 9 | 5 | 19 | 39-62 | 32 |
| 11. სიონი | 33 | 6 | 8 | 19 | 36-75 | 26 |
| 12. მერანი | 33 | 6 | 4 | 23 | 20-66 | 22 |

### ჭაბუკთა ლიგა

#### 1995-96 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| ტორპედო – ბაია | 3:0 |
| ლოკომოტივი – საბურთალო | 3:0 |
| მეტალურგი – ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| მერანი – 35-ე ს.ს. | 0:1 |
| ზუგდიდი – დინამო (თბ) | 3:2 |
| სიონი – დინამო (ბთ) | 0:0 |
| კოლხეთი – დილა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 27 | 20 | 5 | 2 | 62-19 | 65 |
| 2. მეტალურგი | 27 | 20 | 3 | 4 | 67-25 | 63 |
| 3. დილა | 27 | 19 | 4 | 4 | 54-22 | 61 |
| 4. ლოკომოტივი | 27 | 17 | 4 | 6 | 73-29 | 55 |
| 5. საბურთალო | 27 | 16 | 2 | 9 | 54-36 | 50 |
| 6. დინამო (თბ) | 27 | 15 | 2 | 10 | 70-39 | 47 |
| 7. ზუგდიდი | 27 | 12 | 4 | 11 | 41-52 | 40 |
| 8. ტორპედო | 27 | 11 | 7 | 9 | 55-39 | 40 |
| 9. ზესტაფონი | 27 | 10 | 5 | 12 | 37-42 | 35 |
| 10. დინამო (ბთ) | 27 | 8 | 6 | 13 | 27-37 | 30 |
| 11. სიონი | 27 | 7 | 7 | 13 | 33-39 | 28 |
| 12. 35-ე ს.ს. | 27 | 7 | 3 | 17 | 29-54 | 24 |
| 13. კოლხეთი (ფ) | 27 | 5 | 8 | 14 | 20-57 | 23 |
| 14. ბაია | 27 | 5 | 7 | 15 | 15-37 | 22 |
| 15. ჩიხურა | 27 | 4 | 4 | 19 | 26-79 | 16 |
| 16. მერანი | 27 | 2 | 5 | 20 | 28-72 | 11 |

#### 1997-98 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი – საბურთალო | 0:2 |
| მერანი – 35-ე ს.ს. | 0:4 |
| ტორპედო – ბაია | 3:0 |
| ზესტაფონი – ჩიხურა | 1:0 |
| მეტალურგი – ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| ზუგდიდი – დინამო (თბ) | 0:4 |
| სიონი – დინამო (ბთ) | 3:1 |
| კოლხეთი – დილა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 27 | 23 | 4 | 0 | 133-8 | 73 |
| 2. დინამო (თბ) | 27 | 23 | 2 | 2 | 109-17 | 71 |
| 3. ლოკომოტივი | 27 | 22 | 2 | 3 | 99-20 | 68 |
| 4. დილა | 27 | 17 | 2 | 8 | 40-25 | 53 |
| 5. მეტალურგი | 27 | 15 | 2 | 10 | 45-33 | 47 |
| 6. 35-ე ს.ს. | 27 | 14 | 4 | 9 | 49-22 | 46 |
| 7. ტორპედო | 27 | 13 | 4 | 10 | 55-40 | 43 |
| 8. ბაია | 27 | 12 | 6 | 9 | 46-39 | 42 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 27 | 12 | 3 | 12 | 38-37 | 39 |
| 10. ზესტაფონი | 27 | 10 | 4 | 13 | 32-64 | 34 |
| 11. კოლხეთი (ფ) | 27 | 7 | 4 | 16 | 23-43 | 25 |
| 12. მერანი | 27 | 5 | 8 | 14 | 26-45 | 23 |
| 13. ზუგდიდი | 27 | 5 | 6 | 16 | 15-57 | 21 |
| 14. დინამო (ბთ) | 27 | 5 | 4 | 18 | 16-78 | 19 |
| 15. ჩიხურა | 27 | 1 | 5 | 21 | 12-95 | 8 |
| 16. სიონი | 27 | 1 | 2 | 24 | 11-126 | 5 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# უმაღლეს ლიგაში




რამდენი გუნდი გააგორებს ბურთს ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატში?

# გუნდი იქნება?

„ქართულ ფეხბურთში ყველაზე დიდი პრობლემა მუნიციპალური და კერძო გუნდების თანაარსებობა და მათ შორის სამართლიანობის ზღვრის დაცვაა. „თორმეტთა საბჭოზე" სახელმწიფო კლუბების აკრძალვის საკითხზე ვიმსჯელეთ. ამას განვითარება არ მოჰყვა. მე, როგორც კერძო მფლობელს, სახელმწიფო გუნდების არსებობა მიუღებლად მიმაჩნია - ბიუჯეტში გადასახადს ვიხდი, რომელიც ჩემი კონკურენტების გაძლიერებას ხმარდება. ჩემთვის მისაღებია სახელმწიფოს მიერ გუნდების დაფინანსების ფორმა, რომელიც თანაბრობის პრინციპზე აგებული: სახელმწიფო იყოს ფეხბურთში და ერთნაირად დააფინანსოს თითოეული კლუბი ან ყველას კერძო ინვესტორი მოუძებნოს", - განაცხადა „ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** და კლუბი და მის ინფრასტრუქტურა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს გადასცა.

ამ განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და მას შემდეგ დაიწყო ლაპარაკი - რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფო ფეხბურთში? საკითხის განხილვაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** აქტიურად ჩაერთო. მან საინტერესო კომენტარი გააკეთა.

„მაისის ბოლოს სამინისტრო წარმოადგენს პროექტს, რომელიც კერძო და მუნიციპალურ კლუბებს თანაბარ პირობებში ჩააყენებს. ამიტომაც უკვე ვმუშაობთ პროექტზე, რომელსაც თვის ბოლომდე ჯერ გუნდებს გავაცნობთ, შემდეგ - საზოგადოებას. ჩვენი პოზიცია ასეთია: საკუთრების ორივე ფორმის მქონე კლუბებზე ერთნაირად ვიზრუნოთ და უპირატესობა არავის მივანიჭოთ. უპირველესად, მისახედია ის კლუბები, რომელთა ბიუჯეტები ხელოვნურად გაზარდეს. ერთადერთი გამოსავალი გუნდების მუნიციპალიტეტებზე გადაცემა იყო, თუმცა საკითხს დაფიქრება სჭირდება, რადგან მუნიციპალიტეტები თანაბრად არ ფინანსდება.

საუკეთესო ვარიანტია - სპორტი და კლუბური სისტემა კერძო ინვესტორზე რომ იყოს დამოკიდებული. ამისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ბაზარი, რომელიც ვითარებას დაარეგულირებს და ფეხბურთს ინვესტორისთვის მიმზიდველს გახდის. ჩვენი სწორედ ამ ბაზრის დაარსებას უნდა შევუწყოთ ხელი. ფეხბურთში მდგომარეობის გამოსწორება სპორტის სხვა სახეობებსაც გადაეცემა" – ამბობს ყიფიანი.

ამასობაში, ათასგვარი ჭორი ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად, მომავალი წლიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 18-მდე გაიზრდება. „ლელოს" უთხრეს, რომ ეს იქნება მიზნობრივი, გრძელვადიანი დაფინანსება, გუნდებს ტრანსპორტირების საკითხებსაც მოუგვარებენ და მთავრობა ამას სახელმწიფო მნიშვნელობის სოციალური პროექტის რანგში აიყვანს. რატომ? პროექტის თანახმად, თითო გუნდში მინიმუმ 50 კაცი დასაქმდება, მთლიანად ლიგაში კი - 900. ამას დაემატება პირველი ლიგის გუნდების დაფინანსებაც. საერთო ჯამში, კლუბების დაფინანსებით დაახლოებით 10 ათასი ადამიანი ისარგებლებს და სოციალურ პრობლემებს ოდნავ მაინც მოევლება.

ინიციატორები იმედოვნებენ, რომ პროექტის განხორციელებით ქართული ფეხბურთი ფეხზე დადგება და გარკვეული პერიოდის შემდეგ ის საფუძველი ჩამოყალიბდება, კომერციულ რელსებზე რომ გადავიდეს და სპონსორებისთვის დღევანდელზე მიმზიდველი გახდეს. არ ვიცით, ეს რამდენად რეალური და კონკრეტული პროექტია, მაგრამ ამ ჩანაფიქრის არსებობა რამდენიმე ცნობილმა საფეხბურთო პირმა დაგვიდასტურა.

რამდენად მისაღები იქნება უმაღლეს ლიგაში 18 გუნდი? ამის შესახებ დავეკითხეთ კერძო კლუბის წარმომადგენელს, რომელიც სახელმწიფოს მიერ გუნდების დაფინანსებას ეწინააღმდეგება.

„28 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა გაიმართება და იქ ყველა საჭირბოროტო საკითხზე ვილაპარაკებთ. 18-გუნდიან ჩემპიონატზე მართლაც იყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ერთ-ერთი ვარიანტია. ცხადია, სხვა წინადადებებიც განიხილება. მთავარია, გუნდებს მყარი ფინანსური გარანტიები ჰქონდეთ და უმაღლესი ლიგის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ამ კუთხით, „ტორპედოს" პრობლემები არ აქვს. და თუ გუნდებს ექნებათ ნორმალური სტადიონი, მოედანი და ჩემპიონატის სრულყოფილად დასრულების საშუალება, იყოს 18 გუნდი, რა პრობლემაა?" – ამბობს ქუთაისის „ტორპედოს" აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი პაპიაშვილი**.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლეგიონერი

# ლობჟანიძის კრივბასი იშლება

ქართველი ლეგიონერის გუნდი უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში არ ითამაშებს

26 წლის ქართველი მცველის, **უჩა ლობჟანიძის** „კრივბასი" შესაძლოა დაიშალოს. კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოცხადდა, რომ „კრივბასი" ბოლო ტურში სათამაშოდ აღარ წავა ლუცკში „ვოლინთან" მატჩისთვის. „კრივბასს" ტექნიკური წაგება ჩაეთვლება, თუმცა არა გვგონია, ეს აკმარონ მათ.

„მიზეზი კლუბის უმძიმესი ფინანსური სიტუაციაა. იმედს გამოვთქვამთ, რომ კლუბში შექმნილ მძიმე ვითარებას გაგებით მოეკიდებით", - წერია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

29 ტურის შემდეგ „კრივბასი" მე-6 ადგილზეა და ევროზონაში მოხვედრის შანსი აღარ აქვს.

სეზონის დასაწყისში ამ გუნდში იჯარით **ჯაბა კანკავაც** თამაშობდა, რომელიც შემდეგ „დნიპროში" დაბრუნდა. უჩა ლობჟანიძემ 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა (21 სასტარტოში). მის ანგარიშზე სეზონში ერთი საგოლე პასი და 7 გაფრთხილებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპული ბიბლიოთეკა

## ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# სანტა ფე ცალი ფეხით ნახევარფინალში



„სანტა ფემ“ ამოცანა თითქმის გადაწყვიტა

**რეალ გარსილასო-სანტა ფე 1:3**

**გოლები:** 0:1 მესა (20), 0:2 მედინა (23), 0:3 კუერო (54), 1:3 რამუა (64).

**რეალ გარსილასო** (3-4-1-2): კარანსა - გუადალუპე (46. უერტა), ლოხასი, ბოგადო - ჯ. ერერა, რეტამოსო, ო. გამარა (58. რამუა), სანტილიანი (74. ე. აკოსტა) - ფ. რამოსი - მონტესი, ვ. ფერეირა

**სანტე ფე** (4-3-1-2): კ. ვარგასი - ანჩიკო, კ. ვალდესი, მესა, მ. გარსია - დ. ტორესი, ბედოია, ჯ. ვალენსია - ო. პერესი (90. კინონესი) - კუერო (57. მარტინეს ბორხა), მედინა (77. ე. მოლინა).

**ფლუმინენსე-ოლიმპია 0:0**

**ფლუმინენსე** (4-3-2-1): დიეგო კავალიერი - ბრუნო (73. რაფაელ სობისი), დიგაო, ლეანდრო ეუსებიო, კარლინიოსი - ედინიო (85. სამუელ როსა), ჟეანი, რაინერი - ვაგნერი (77. ფელიპე), ველინგტონ ნემი - ფრედი.

**ოლიმპია** (3-5-2): მ. სილვა - მანსური, ე. მირანდა, კანდია - ხორხე ბაესი (56. არიოსა), ა. ხიმენესი (66. ე. პერესი), არანდა, რ. სალინასი, რ. ორტისი - ბარეირო, სალგეირო (46. კასტორინო).

**გაძევება:** არანდა (82. ოლიმპია).

ლიბერტადორესის თასზე პირველი მეოთხედფინალები გაიმართა და ორი წყვილიდან ერთში გამარჯვებულის ვინაობა თითქმის გაირკვა. პერუს ქალაქ კუსკოში, რომელიც ზღვის დონიდან 3 400 მეტრი სიმაღლეზე მდებარეობს, „რეალ გარსილასომ“ „სანტა ფეს“ უმასპინძლა და ისეთი ანგარიშით წააგო, რომ საპასუხო შეხვედრამ ფორმალური ხასიათი შეიძინა.

კოლუმბიელებმა მასპინძელთა მცველების შეცდომებით ისარგებლეს და 54-ე წუთისთვის სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

*„ჩვენი გუნდი ძალიან კარგად თამაშობს. კუსკოშიც მოსაგებად ჩამოვედით და საბედნიეროდ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ვიცოდით, რომ მასპინძლები ორმატჩიანი დუელის ბედის გადაწყვეტას აქ ეცდებოდნენ და ჩვენ სივრცეებს დაგვიტოვებდნენ. კონტრშეტევებზე ძალიან კარგად ვითამაშეთ და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ,“* - განაცხადა **კარლოს ვალდესმა**, „სანტა ფესა“ და კოლუმბიის ნაკრების მცველმა.

კოლუმბიის 7-გზის ჩემპიონთა მხრიდან გოლები **ფრანსისკო მესამ**, **ვილდერ მედინამ** და **ჯეფერსონ კუერომ** გაიტანეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე გოლი, როდესაც კუეროს საგოლე პასი „გარსილასოს“ პარაგვაელმა მცველმა **როლანდო ბოგადომ** გაუკეთა და კოლუმბიელთა შემტევი ცარიელ კართან დატოვა. მასპინძლებმა „სანტა ფეს“ ცვლილებაზე შემოსული **ალფრედო რამუას** ულამაზესი გოლით უპასუხეს, მაგრამ ამ ბურთს დიდი არაფერი შეუცვლია. აღსანიშნავია, რომ 26-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 0:2 იყო, პერუელებმა პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ 11-მეტრიანი **ფაბიო რამოსმა** ვერ გამოიყენა. საბოლოოდ, „რეალ გარსილასო“, რომელიც 2007 წელს დაარსდა და ტურნირის დებიუტანტია, უშანსოდ დამარცხდა, ხოლო „სანტა ფემ“ ნახევარფინალში ცალი ფეხი შედგა. ამ ეტაპზე კოლუმბიის 2012 წლის აპერტურას ჩემპიონი ისტორიაში ერთხელ, 1961 წელს არის გასული.

მეორე მეოთხედფინალში „ფლუმინენსემ“ „ოლიმპიას „ უმასპინძლა და ლიბერტადორესის თასის 3-გზის მფლობელს გოლი ვერ გაუტანა, თუმცა არც საკუთარ კარში გაუშვა. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ზუსტი დარტყმის განხორციელებას ვერაფრით ახერხებდნენ. მატჩის 82-ე წუთზე სტუმართა ნახევარმცველმა **ედუარო არანდამ** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, მაგრამ „ფლუს“ ესეც ვერ დაეხმარა. გოლების გატანა შეეძლოთ **ფრედს**, **ველინგტონ ნემს** და ცვლილებაზე გამოსულ **რაფაელ სობისს**, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრაზილიელებს არ გაუმართლათ და გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლეს. ამ წყვილში ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება.

საპასუხო მატჩები ერთი კვირის შემდეგ, ბოგოტასა და ასუნსიონში გაიმართება.

## ამბები

### ევროპა ლიგის გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგაში

ფრანგული გაზეთი "ფრანს ფუტბოლი" აცხადებს, რომ უეფა დღეს გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, 2015/16 წლების სეზონიდან, ევროპა ლიგის გამარჯვებული, ჩემპიონთა ლიგის საგზურს მიიღებს. მსგავსი სისტემა უკვე მოქმედებს ევროპულ კალათბურთსა და სამხრეთ ამერიკაში. კალათბურთში, ევროთასის მფლობელი, მომავალი სეზონის ევროლიგაზე მონაწილეობს, სამხრეთ ამერიკაში კი კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული, ლიბერტადორესის თასის საგზურს იღებს.

ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს ამ გადაწყვეტილებით ევროპა ლიგის პრესტიჟის აწევა სურს. აქვე აღვნიშნოთ, რომ მსგავსი მოსაზრება არაერთხელ გაჟღერებულა, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ჟურნალისტების მიერ და თუ ფრანგული გამოცემის ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, ეს გადაწყვეტილება ევროპა ლიგის პრესტიჟზე უთუოდ დადებითად იმოქმედებს.

### ბელჰანდას წასვლა უნდა

"მონპელიეს" ერთ-ერთმა ლიდერმა **იუნეს ბელჰანდამ** განაცხადა, რომ ზაფხულში გუნდიდან წასვლას იმედოვნებს, თუმცა მას მხოლოდ წამყვანი 4 ჩემპიონატიდან (ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია) ერთ-ერთში სურს თამაში. ცოტა ხნის წინ, 23 წლის ნახევარმცველმა, რომელმაც ლიგა 1-ის 30 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა, "ფენერბაჰჩეს" წინადადებაზე უარი თქვა.

*"ისე არ გამიგოთ, თითქოს თურქეთის ჩემპიონატს არ ვაფასებდე. ასე ნამდვილად არაა. "გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხეფინალში გავიდა, "ფენერბაჰჩე" კი ევროპა ლიგის ნახევარფინალში, იმ დროს, როდესაც იქ ფრანგული გუნდი ვერ მოხვდა. უბრალოდ, მე ევროპის რომელიმე ტოპ ლიგაში მსურს თამაში,"* – განაცხადა ბელჰანდამ.

მაროკოელი, რომელიც "მონპელიეს" აღზრდილია, პროფესიულ დონეზე 2009 წლიდან თამაშობს. ბელჰანდა **რენე ჟირარის** გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია და 2012 წლის ჩემპიონობაში მას **ოლივიე ჟირუზე** ნაკლები წვლილი სულაც არ მიუძღვის. მაშინ ყველას ეგონა, რომ ბელჰანდა მიბაძავდა ჟირუს და გუნდიდან წავიდოდა, მაგრამ ის "მონპელიეს" ერთგული დარჩა.

### კლაუდიო რეინა ნიუ იორკის პირველი თანამშრომელია

"ნიუ იორკ სიტი" (New York City FC) გახლავთ ახალი საფეხბურთო კლუბი, რომელიც აშშ-ის პროფესიულ ლიგას, ანუ იმავე MLS-ს, 2015 წლიდან შეუერთდება. კლუბი 2013 წლის 21 მაისს დაარსდა და მისი მფლობელები "მანჩესტერ სიტი" და ბეისბოლის კლუბი "ნიუ იორკ იანკისი" არიან. "ნიუ იორკ სიტი" გახდება პირველი კლუბი, რომელიც უშუალოდ ქალაქ ნიუ იორკში მდებარეობს, რადგან "ნიუ იორკ რედ ბულსი" ნიუ ჯერსის ბინადარია.

ახალი საფეხბურთო კლუბის პირველი თანამშრომელი გახდა "მანჩესტერ სიტის" და აშშ-ის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **კლაუდიო რეინა**, რომელიც სპორტული ოპერაციების დირექტორად დაინიშნა. რეინა, რომელმაც ნაკრებში 111 თამაში (8 გოლი) ჩაატარა და კარიერა "ნიუ იორკ რედ ბულსში" დაასრულა, ახალი გამოწვევით უზომოდ კმაყოფილი იყო:



კლაუდიო რეინა სიტიში თამაშის დროს

*"ეს სამსახური ჩემთვის იდეალურია, რადგან მე აშშ-ის ნაკრების და "მანჩესტერ სიტის" ყოფილი ფეხბურთელი ვარ. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ისევ მაქვს კავშირი "სიტისთან", რომელიც მუდამ ჩემს გულში იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ნიუ იორკში ფეხბურთის უამრავი მოყვარული ცხოვრობს და აქ ბევრი სპონსორის შოვნა შეიძლება, ჩვენი გუნდის საქმე ნამდვილად კარგად იქნება. ის ფაქტი, რომ "ნიუ იორკ სიტის" პარტნიორი "იანკისი" გახლავთ, უკვე წარმატების საწინდარია,"* – განაცხადა რეინამ.

აქვე გეტყვით, რომ გუნდის შესაძენად "მანჩესტერ სიტიმ" და "იანკისმა" 100 მილიონი დოლარი გადაიხადეს. აქედან, თანხის უდიდესი ნაწილი "სიტიმ" გაიღო, შესაბამისად, საკონტროლო პაკეტის მფლობელიც სწორედ მანჩესტერული გუნდია.

### პანათინაიკოსმა ლიცენზია ვერ მიიღო

ბერძნული ფეხბურთის გრანდმა, რომელმაც 2012/13 წლების სეზონი ჩააგდო და ევროტურნირების საგზურის გარეშე დარჩა, მომავალი სეზონისთვის ლიცენზია ვერ მიიღო და თუ აპელაციამაც არ გაჭრა, საბერძნეთის 20-გზის ჩემპიონი უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩება. "მწვანეების" ხელმძღვანელებმა მიღებული გადაწყვეტილების გამო გაკვირვება გამოთქვეს და განაცხადეს, რომ კლუბმა წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის ფინანსური გარანტიები. ჟურნალისტების აზრით, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის მიზეზი გახდა ის სერიოზული ფინანსური დავალიანება, რომელიც "პანათინაიკოსს" აქვს (35 მილიონი ევრო).

"პანას" გარდა, ლიცენზიაზე უარი ეთქვათ "არისს", "პანიონიოსს", ოფის, "პანთრაიკოსს" და "იანინას". გარდა ამისა, ლიცენზიები ვერ მიიღეს უმაღლესი ლიგიდან გავარდნილმა "კერკირამ" და აეკმა. აპელაციის შესატანად რვავე გუნდს 5 დღე აქვს.

### მენეზს ლაკაზეტი შეცვლის

**ჟერემი მენეზი** საფრანგეთის ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდა და მისი ადგილი **ალექსანდრ ლაკაზეტმა** დაიკავა. "პარი სენ ჟერმენის" და საფრანგეთის ნაკრების ექიმებთან გავლილი კონსულტაციის შემდეგ, **დიდიე დეშამმა** გადაწყვიტა, რომ 26 წლის მენეზისთვის დასვენების საშუალება მიეცა და მის ნაცვლად ეროვნულ გუნდში "ლიონის" 21 წლის შემტევს უხმო.



ლაკაზეტი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია

ლაკაზეტს ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია, თუმცა მას ყველა ასაკობრივი ჯგუფი აქვს გამოვლილი და ყველგან ერთ-ერთი ლიდერი იყო. ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონში 3 გოლის გამტანმა ფეხბურთელმა, 2008 წელს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშა, 2010-ში კი 19-წლამდელთა პირველობაზე, სადაც ფინალში გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა (საფრანგეთმა ესპანეთს 2:1 მოუგო). 2011 წელს ლაკაზეტმა ახალგაზრდულ მუნდიალზე იასპარეზა, სადაც 5 გოლით, **ალვარო ვასკესთან** და **ენრიკესთან** ერთად, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები 5 ივნისს მონტევიდეოში ურუგვაის დაუპირისპირდება, 9 ივნისს კი პორტუ ალეგრიში ბრაზილიის ნაკრებს შეხვდება.

**გვერდი მოამზადა ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი. პრემიერლიგა. 2012/13 სეზონი. ფეხბურთელთა სტატისტიკა

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. დავიდ დე ხეა (ესპ) | 07.11.1990 | 28 (0) |
| 13. ანდერს ლინდეგორი (დან) | 13.04.1984 | 10 (0) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. რაფაელი (ბრ) | 09.07.1990 | 28 (27) |
| 3. პატრის ევრა (საფ) | 15.05.1981 | 34 (34) |
| 4. ფილ ჯონსი | 21.02.1992 | 17 (13) |
| 5. რიო ფერდინანდი | 07.11.1978 | 28 (26) |
| 6. ჯონი ევანსი (ჩრ. ირლ) | 03.01.1988 | 23 (21) |
| 12. კრის სმოლინგი | 22.11.1989 | 15 (10) |
| 15. ნემანია ვიდიჩი (სერ) | 21.10.1981 | 19 (18) |
| 28. ალექს. ბიუტნერი (პოლ) | 11.02.1989 | 5 (4) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. ანტონიო ვალენსია (ეკვ) | 04.08.1985 | 30 (24) |
| 8. ანდერსონი (ბრ) | 13.04.1988 | 17 (9) |
| 11. რაიან გიგზი (უელ) | 29.11.1973 | 22 (12) |
| 16. მაიკლ კერიკი | 28.07.1981 | 36 (34) |
| 17. ნანი (პორ) | 17.11.1986 | 11 (7) |
| 18. ეშლი იანგი | 09.07.1985 | 19 (17) |
| 22. პოლ სქოულზი | 16.11.1974 | 16 (8) |
| 23. ტომ კლევერლი | 12.08.1989 | 22 (18) |
| 24. დარენ ფლეტჩერი (შოტ) | 01.02.1984 | 3 (2) |
| 25. ნიკ პაუელი | 23.03.1994 | 2 (0) |
| 26. შინჯი კაგავა (იაპ) | 17.03.1989 | 20 (17) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 10. უეინ რუნი | 24.10.1985 | 27 (22) |
| 14. ხავიერ ერნანდესი (მექ) | 01.06.1988 | 22 (9) |
| 19. დენი უელბეკი | 26.11.1990 | 27 (13) |
| 20. რობინ ვან პერსი (ჰოლ) | 06.08.1983 | 38 (35) |

### მანჩესტერ სიტი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ჯო ჰარტი | 19.04.1987 | 38 (38) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. მიკა რიჩარდსი | 24.06.1988 | 7 (7) |
| 3. მაიკონი (ბრ) | 26.07.1981 | 9 (4) |
| 4. ვენსან კომპანი (ბელ) | 10.04.1986 | 26 (26) |
| 5. პაბლო საბალეტა (არგ) | 16.01.1985 | 30 (29) |
| 6. ჯოლეონ ლესკოტი | 16.08.1982 | 26 (17) |
| 13. ალექს. კოლაროვი (სერ) | 10.11.1985 | 20 (11) |
| 22. გაელ კლიში (საფ) | 26.07.1985 | 28 (26) |
| 28. კოლო ტურე (კოტ) | 19.03.1981 | 15 (10) |
| 33. მატია ნასტასიჩი (სერ) | 28.03.1993 | 21 (21) |
| 44. კარიმ რეკიკი (ჰოლ) | 02.12.1994 | 1 (1) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. ჯეიმს მილნერი | 04.01.1986 | 26 (19) |
| 8. სამირ ნასრი (საფ) | 26.06.1987 | 28 (22) |
| 11. სკოტ სინკლერი | 25.03.1989 | 12 (2) |
| 14. ხავი გარსია (ესპ) | 08.02.1987 | 24 (17) |
| 17. ჯეკ როდუელი | 11.03.1991 | 11 (6) |
| 18. გარეთ ბარი | 23.02.1981 | 31 (27) |
| 21. დავიდ სილვა (ესპ) | 08.01.1986 | 32 (29) |
| 42. იაია ტურე (კოტ) | 13.05.1983 | 32 (32) |
| 62. აბდულ რაზაკი (კოტ) | 11.11.1992 | 3 (0) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 10. ედინ ჯეკო (ბოს) | 17.03.1986 | 32 (16) |
| 16. სერხიო აგუერო (არგ) | 02.06.1988 | 30 (22) |
| 32. კარლოს ტევესი (არგ) | 05.02.1984 | 34 (28) |

### ჩელსი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. პეტრ ჩეხი (ჩეხ) | 20.05.1982 | 36 (36) |
| 22. როს ტერნბული | 04.01.1985 | 3 (2) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ბრანისლავ ივანოვიჩი (სერ) | 22.02.1984 | 34 (33) |
| 3. ეშლი კოული | 20.12.1980 | 31 (31) |
| 4. დავიდ ლუისი (ბრ) | 22.04.1987 | 30 (29) |
| 19. პაულუ ფერეირა | 18.01.1979 | 2 (0) |
| 24. გარი კეჰილი | 19.12.1985 | 26 (24) |
| 26. ჯონ ტერი | 07.12.1980 | 14 (11) |
| 28. სესარ ასპილიკუეტა (ესპ) | 28.08.1989 | 27 (24) |
| 34. რაიან ბერტრანი | 05.08.1989 | 19 (14) |
| 57. ნათან აკე (ჰოლ) | 18.02.1995 | 3 (1) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 6. ორიოლ რომეუ (ესპ) | 24.09.1991 | 6 (4) |
| 7. რამირესი (ბრ) | 24.03.1987 | 35 (28) |
| 8. ფრენკ ლამპარდი | 20.06.1978 | 29 (21) |
| 10. ხუან მატა (ესპ) | 28.04.1988 | 35 (31) |
| 11. ოსკარი (ბრ) | 09.09.1991 | 34 (24) |
| 12. ჯონ ობი მიკელი (ნიგ) | 22.04.1987 | 22 (19) |
| 17. ედენ აზარი (ბელ) | 07.01.1991 | 34 (31) |
| 21. მარკო მარინი (გერ) | 13.03.1989 | 6 (2) |
| 30. იოსი ბენაიუნი (ისრ) | 05.05.1980 | 12 (4) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. ფერნანდო ტორესი (ესპ) | 20.03.1984 | 36 (28) |
| 13. ვიქტორ მოზესი (ნიგ) | 12.12.1990 | 24 (13) |
| 29. დემბა ბა | 25.05.1985 | 14 (11) |

### არსენალი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ვოიცეხ შჩესნი (პოლ) | 18.04.1990 | 25 (25) |
| 21. ლუკაშ ფაბიანსკი (პოლ) | 18.04.1985 | 4 (4) |
| 24. ვიტო მანონე (იტ) | 02.03.1988 | 9 (9) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. ბაკარი სანია (საფ) | 14.02.1983 | 25 (25) |
| 4. პერ მერტეზაკერი (გერ) | 29.09.1984 | 34 (33) |
| 5. ტომას ვერმალენი (ბელ) | 14.11.1985 | 29 (25) |
| 6. ლორან კოშელნი (საფ) | 10.09.1985 | 25 (20) |
| 17. მანო მონრეალი (ესპ) | 26.02.1986 | 10 (9) |
| 25. კარლ ჯენკინსონი | 08.02.1992 | 14 (14) |
| 28. კირან გიბსი | 26.09.1989 | 27 (23) |
| 49. იგნასიო მიკელი (ესპ) | 28.09.1992 | 1 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. აბუ დიაბი (საფ) | 11.05.1986 | 11 (10) |
| 7. ტომაშ როსიცკი (ჩეხ) | 04.10.1980 | 10 (7) |
| 8. მიკელ არტეტა (ესპ) | 26.03.1982 | 34 (34) |
| 10. ჯეკ უილშირი | 01.01.1992 | 25 (20) |
| 14. თეო უოლკოტი | 16.03.1989 | 32 (24) |
| 15. ალექს ოქსლ.-ჩემბერლენი | 15.08.1993 | 25 (11) |
| 16. აარონ რემსი (უელ) | 26.12.1990 | 36 (21) |
| 19. სანტი კასორლა (ესპ) | 13.12.1984 | 38 (37) |
| 22. ფრანსის კოკლენი (საფ) | 13.05.1991 | 11 (3) |
| 23. ანდრეი არშავინი (რუს) | 29.05.1981 | 7 (0) |
| 47. სერჟ ნიარბი (გერ) | 14.07.1995 | 1 (0) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. ლუკას პოდოლსკი (გერ) | 04.06.1985 | 33 (25) |
| 12. ოლივიე ჟირუ (საფ) | 30.09.1986 | 34 (24) |
| 27. ჟერვინიო (კოტ) | 27.05.1987 | 18 (12) |

### ტოტენჰემი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 24. ბრედ ფრიდელი (აშშ) | 18.05.1971 | 11 (11) |
| 25. უგო ლორისი (საფ) | 26.12.1986 | 27 (27) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. იუნეს კაბული (საფ) | 04.01.1986 | 1 (1) |
| 5. იან ვერტონგენი (ბელ) | 24.04.1987 | 34 (34) |
| 13. ვილიამ გალასი (საფ) | 17.08.1977 | 19 (16) |
| 16. კაილ ნაუტონი | 11.11.1988 | 14 (13) |
| 28. კაილ უოლკერი | 28.05.1990 | 36 (36) |
| 20. მაიკლ დოუსონი | 18.11.1983 | 27 (23) |
| 32. ბენუა ასუ-ეკოტო (კამ) | 24.03.1984 | 15 (12) |
| 33. სტივენ კოლკერი | 29.12.1991 | 18 (17) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. კლინტ დემპსი (აშშ) | 09.03.1983 | 29 (22) |
| 6. ტომ ჰადლსტოუნი | 28.12.1986 | 20 (11) |
| 7. აარონ ლენონი | 16.04.1987 | 34 (33) |
| 8. სკოტ პარკერი | 13.10.1980 | 21 (15) |
| 11. გარეთ ბეილი (უელ) | 16.07.1989 | 33 (33) |
| 19. მუსა დემბელე (ბელ) | 16.07.1987 | 32 (28) |
| 22. გილფი სიგურდსონი (ის) | 08.09.1989 | 33 (12) |
| 23. ლუის ჰოლტბი (გერ) | 18.09.1990 | 11 (4) |
| 29. ჯეიკ ლივერმორი | 14.11.1989 | 11 (4) |
| 30. რანიერ სანდრო (ბრ) | 15.03.1989 | 22 (22) |
| 46. ტომ კეროლი | 28.05.1992 | 7 (0) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 10. ემანუელ ადებაიორი (ტოგო) | 26.02.1984 | 25 (18) |
| 18. ჯერმეინ დეფო | 07.10.1982 | 34 (27) |

### ევერტონი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. იან მუხა (სლოვ) | 05.12.1982 | 2 (2) |
| 24. ტიმ ჰოვარდი (აშშ) | 06.03.1979 | 36 (36) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ტონი ჰიბერტი | 20.02.1981 | 6 (4) |
| 3. ლეიტონ ბეინსი | 11.12.1984 | 38 (38) |
| 5. ჯონ ჰეიტინგა (ჰოლ) | 15.11.1983 | 26 (17) |
| 6. ფილ იაგიელკა | 17.08.1982 | 36 (36) |
| 8. ბრაიან ოვიედო (კოსტ) | 18.02.1990 | 15 (1) |
| 15. სილვენ დისტენი (საფ) | 06.12.1977 | 34 (31) |
| 23. შეიმუს კოულმენი (ირლ) | 11.10.1988 | 26 (24) |
| 34. შეინ დაფი (ირლ) | 01.01.1992 | 1 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. დარონ გიბსონი (ირლ) | 25.10.1987 | 23 (22) |
| 11. კევინ მირალიაში (ბელ) | 05.10.1987 | 27 (23) |
| 16. თომ. ჰიტცლშპერგერი (გერ) | 05.04.1982 | 7 (4) |
| 14. სტივენ ნეისმიტი (შოტ) | 14.09.1986 | 31 (13) |
| 18. ფილ ნევილი | 21.01.1977 | 18 (18) |
| 20. როს ბერკლი | 05.12.1993 | 7 (2) |
| 21. ლეონ ოსმანი | 17.05.1981 | 36 (36) |
| 22. სტივენ პიენაარი (სარ) | 17.03.1982 | 35 (35) |
| 25. მარუან ფელაინი (ბელ) | 22.11.1987 | 31 (31) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. ნიკიცა იელავიჩი (ხორ) | 27.08.1985 | 37 (26) |
| 27. აპოსტოლოს ველიოსი (საბ) | 08.01.1992 | 6 (0) |
| 28. ვიქტორ ანიჩებე (ნიგ) | 23.04.1988 | 26 (19) |

### ლივერპული

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბრედლი ჯონსი (ავსტრ) | 19.03.1982 | 7 (7) |
| 25. პეპე რეინა (ესპ) | 31.08.1982 | 31 (31) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. გლენ ჯონსონი | 23.08.1984 | 36 (36) |
| 3. ხოსე ენრიკე (ესპ) | 23.01.1986 | 29 (25) |
| 5. დანიელ აგერი (დან) | 12.12.1984 | 35 (35) |
| 16. სებასტიან კოატესი (ურუ) | 07.10.1990 | 5 (2) |
| 35. კონორ კოდი | 25.02.1993 | 1 (0) |
| 23. ჯეიმი კარაგერი | 28.01.1978 | 24 (16) |
| 34. მარტინ კელი | 27.04.1990 | 4 (4) |
| 37. მარტინ შკრტელი (სლოვ) | 15.12.1984 | 25 (23) |
| 47. ანდრე უისდომი | 09.05.1993 | 12 (12) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 8. სტივენ ჯერარდი | 30.05.1980 | 36 (36) |
| 10. ფილიპე კოუტინიო (ბრა) | 12.06.1992 | 13 (12) |
| 11. უსამა აისადი (მარ) | 15.08.1988 | 4 (0) |
| 14. ჯორდან ჰენდერსონი | 17.06.1990 | 30 (16) |
| 19. სტიუარტ დაუნინგი | 22.07.1984 | 29 (25) |
| 21. ლუკას ლეივა (ბრა) | 09.01.1987 | 26 (24) |
| 24. ჯო ალენი (უელ) | 14.03.1990 | 27 (21) |
| 31. რაჰემ სტერლინგი | 08.12.1994 | 24 (19) |
| 33. ჯონჯო შელვი | 27.02.1992 | 19 (9) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. ლუის სუარესი (ურუ) | 24.01.1987 | 33 (33) |
| 15. დენიელ სტარიჯი | 01.09.1989 | 21 (12) |
| 30. სუსო (ესპ) | 19.11.1993 | 14 (8) |
| 29. ფაბიო ბორინი (იტა) | 29.03.1991 | 13 (5) |
| 51. ჟორდან იბე | 08.12.1995 | 1 (1) |

### ვესტ ბრომვიჩი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბენ ფოსტერი | 03.04.1983 | 30 (30) |
| 13. ოლივერ მაიჰილი (უელ) | 09.11.1982 | 8 (8) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. იონას ოლსონი (შვედ) | 10.03.1983 | 36 (36) |
| 4. გორან პოპოვი (მაკ) | 02.10.1984 | 12 (10) |
| 6. ლაიამ რიჯუელი | 21.07.1984 | 30 (28) |
| 23. გარეთ მაკაული (ჩრ. ირლ) | 05.12.1979 | 36 (36) |
| 25. კრეიგ დოუსონი | 06.05.1990 | 1 (1) |
| 28. ბილი ჯონსი | 24.03.1987 | 27 (24) |
| 30. გარბრიელ ტამაში (რუმ) | 09.11.1983 | 11 (7) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. სტივენ რიდი (ირლ) | 10.03.1981 | 11 (11) |
| 5. კლაუდიო იაკობი (არგ) | 18.07.1987 | 30 (29) |
| 7. ჯეიმს მორისონი (შოტ) | 25.05.1986 | 35 (33) |
| 11. კრის ბრანტი (ჩრ. ირლანდია) | 14.12.1984 | 31 (23) |
| 14. ჯერომ ტომასი | 23.03.1983 | 10 (4) |
| 15. ჯორჯ ტორნი | 04.01.1993 | 5 (3) |
| 17. გრემ დორანსი (შოტ) | 05.05.1987 | 26 (21) |
| 21. იუსუფ მულუმბუ (კონგო) | 25.01.1987 | 28 (28) |
| 22. ზოლტან გერა (უნგ) | 22.04.1979 | 16 (14) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 8. მარკუს როსენბერგი (შვედ) | 27.09.1982 | 24 (5) |
| 9. შეინ ლონგი (ირლ) | 22.01.1987 | 34 (25) |
| 20. რომელუ ლუკაკუ (ბელ) | 13.05.1993 | 35 (20) |
| 24. პიტერ ოდემვინგი (ნიგ) | 15.07.1981 | 25 (13) |
| 32. მარც-ანდრე ფორჩუნი (საფ) | 02.07.1981 | 21 (9) |
| 43. ისაია ბრაუნი | 07.01.1997 | 1 (0) |

### სუონსი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. მიხელ ვორმი (ჰოლ) | 20.10.1983 | 26 (26) |
| 25. გერჰარდ ტრემელი (გერ) | 16.11.1978 | 14 (12) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. კაილ ბარტლი | 22.05.1991 | 2 (1) |
| 4. ჩიკო ფლორესი (ესპ) | 06.03.1987 | 26 (26) |
| 3. ნილ ტეილორი (უელ) | 07.02.1989 | 6 (4) |
| 5. ალან ტეიტი | 02.09.1982 | 3 (2) |
| 6. ეშლი უილიამსი (უელ) | 23.08.1984 | 37 (37) |
| 16. გარი მონკი | 06.03.1979 | 11 (10) |
| 21. დაუიტ ტიენდალი (ჰოლ) | 21.10.1985 | 14 (11) |
| 22. ანხელ რანხელი (ესპ) | 28.10.1982 | 33 (30) |
| 33. ბენ დევისი (უელ) | 24.04.1993 | 37 (33) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. ლეონ ბრიტონი | 16.09.1982 | 33 (30) |
| 11. პაბლო ერნანდესი (ესპ) | 11.04.1985 | 30 (27) |
| 12. ნათან დაიერი | 29.11.1987 | 37 (25) |
| 15. უეინ რუტლეჯი | 07.01.1985 | 36 (30) |
| 20. ჯონათან დე გუზმანი (ჰოლ) | 13.09.1987 | 37 (33) |
| 24. კი სუნ-იუნი (ს. კორ) | 24.01.1989 | 29 (20) |
| 26. კემი აგუსტიენი (ჰოლ) | 20.08.1986 | 18 (4) |
| 27. მარკ გოვერი | 05.10.1978 | 1 (0) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. მიგელ მიჩუ (ესპ) | 21.03.1986 | 35 (35) |
| 17. იტაი შეხტერი (ისრ) | 22.02.1987 | 18 (7) |
| 14. როლან ლამა (ბელ) | 31.12.1987 | 5 (1) |
| 19. ლუკ მური | 13.02.1986 | 17 (4) |

### ვესტ ჰემი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 22. იუსი იესკელაინენი (ფინ) | 19.04.1975 | 38 (38) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. უინსტონ რიდი (ახ. ზელ) | 03.07.1988 | 36 (36) |
| 3. ჯორჯ მაკარტნი (ჩრ.ირლ) | 29.04.1981 | 12 (9) |
| 5. ჯეიმს ტომკინსი | 29.03.1989 | 26 (18) |
| 17. ჯო ოგრაიენი (ირლ) | 17.02.1986 | 33 (32) |
| 18. ემანუელ პოგატეცი (ავს) | 16.01.1983 | 6 (1) |
| 19. ჯეიმს კოლინზი (უელ) | 23.08.1983 | 29 (29) |
| 20. გი დემელი (კოტ) | 13.06.1981 | 31 (28) |
| 27. ჟორდან სპენსი | 24.05.199 | 4 (0) |
| 33. დენიელ პოტსი | 13.04.1994 | 2 (1) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. კევინ ნოლანი | 24.06.1982 | 35 (25) |
| 7. მეტიუ ჯარვისი | 22.05.1986 | 32 (29) |
| 10. ჯეკ კოლისონი (უელ) | 02.10.1988 | 17 (5) |
| 14. მეტიუ ტეილორი | 27.11.1981 | 28 (14) |
| 16. მარკ ნოუბლი | 08.05.1987 | 28 (25) |
| 21. მოჰამედ დიამე (სენ) | 14.06.1987 | 33 (31) |
| 26. ჯო კოული | 08.11.1981 | 17 (7) |
| 32. გარი ონილი | 18.05.1983 | 24 (17) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 8. ენდი კეროლი | 06.01.1989 | 26 (22) |
| 9. კარლტონ კოული | 12.11.1983 | 27 (14) |
| 11. მოდიბო მაიგა (მალი) | 03.09.1987 | 17 (2) |
| 12. რიკარდუ ვას ტე (პორ) | 01.10.1986 | 24 (18) |
| 29. მარუან შამახი (მარ) | 10.01.1984 | 3 (2) |

### ნორვიჩი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ჯონ რადი | 24.10.1986 | 15 (15) |
| 28. მარკ ბანი | 16.11.1984 | 23 (22) |
| 42. მაიკლ კემპი (ჩრ.ირლ) | 22.08.1984 | 3 (1) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. რასელ მარტინი (შოტ) | 04.01.1986 | 31 (30) |
| 3. სტივენ უიტაკერი (შოტ) | 16.06.1984 | 13 (12) |
| 5. სებასტიან ბასონგი (კამ) | 09.07.1986 | 34 (34) |
| 6. მაიკლ ტერნერი | 09.11.1983 | 26 (25) |
| 18. ხავიერ გარიდო (ესპ) | 15.03.1985 | 34 (34) |
| 20. ლეონ ბარნეტი | 30.11.1985 | 8 (6) |
| 23. მარკ ტირნი | 23.08.1985 | 1 (1) |
| 24. რაიან ბენეტი | 06.03.1990 | 15 (10) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. ბრედლი ჯონსონი | 28.04.1987 | 37 (37) |
| 7. რობერტ სნოდგრასი (შოტ) | 07.09.1987 | 37 (35) |
| 8. ჯონათან ჰაუსონი | 21.05.1988 | 30 (22) |
| 11. სენდრიუ სერმანი | 20.08.1986 | 4 (4) |
| 12. ენტონი პიკლინგტონი | 06.06.1988 | 30 (25) |
| 14. ვესლი ჰულაჰანი (ირლ) | 20.05.1982 | 33 (28) |
| 15. დევიდ ფოქსი | 13.12.1983 | 2 (0) |
| 17. ელიოტ ბენეტი | 18.12.1988 | 24 (9) |
| 27. ალექსანდერ ტეტი (ნორვ) | 04.04.1986 | 27 (21) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. გრანტ ჰოლტი | 12.04.1981 | 34 (28) |
| 10. საიმონ ჯექსონი (კან) | 28.03.1987 | 13 (5) |
| 16. კეი ანსუ კამარა (ს.ლეონე) | 01.09.1984 | 11 (7) |
| 19. ლუსიანო ბეკიო (არგ) | 28.12.1983 | 8 (2) |
| 25. კრის მარტინი | 04.11.1988 | 1 (0) |
| 37. გარი კეინი | 28.07.1993 | 4 (1) |

### ფულჰემი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. მარკ შვარცერი (ავსტრ) | 06.10.1972 | 36 (36) |
| 13. დევიდ სტოკდეილი | 20.09.1985 | 2 (2) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. იონ არნე რიისე (ნორ) | 24.09.1980 | 31 (29) |
| 4. ფილიპ სენდეროსი (შვეიც) | 14.02.1985 | 21 (18) |
| 5. ბრედ ჰანგელანდი (ნორვ) | 20.06.1981 | 35 (35) |
| 6. კრის ბერდი (ჩრ.ირლ) | 25.02.1982 | 19 (14) |
| 17. მეტიუ ბრიგსი | 19.03.1991 | 5 (3) |
| 18. არონ ჰიუზი (ჩრ. ირლ) | 08.11.1979 | 24 (23) |
| 25. სტანისლავ მანოლევი (ბულ) | 16.12.1985 | 5 (4) |
| 27. საშა რიტერი (გერ) | 23.03.1983 | 35 (35) |
| 40. ალექს სმიტი | 31.10.1991 | 1 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. სტივ სიდუელი | 14.12.1982 | 28 (24) |
| 8. პაიტიმ კასამი (შვეიც) | 02.06.1992 | 2 (0) |
| 12. ემანუელ ფრიმპონგი (განა) | 10.01.1992 | 6 (2) |
| 14. გეორგიოს კარაგუნისი (საბ) | 06.03.1977 | 25 (20) |
| 15. კირან რიჩარდსონი | 21.10.1984 | 15 (13) |
| 16. დემიენ დაფი (ირლ) | 02.03.1979 | 31 (27) |
| 19. მამადუ დიარა (მალი) | 18.05.1981 | 8 (7) |
| 21. კარიმ ფრაი (თურ) | 19.11.1993 | 7 (2) |
| 24. აშკან დეჟაგა (ირ) | 05.07.1986 | 21 (13) |
| 31. ალექს კაჩანიკლიჩი (შვედ) | 13.08.1991 | 20 (16) |
| 33. ეიონგ ენო (კამ) | 23.03.1986 | 9 (8) |
| 28. ერბი ემანუელსონი (ჰოლ) | 16.06.1986 | 13 (5) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. დიმიტარ ბერბატოვი (ბულ) | 30.01.1981 | 33 (32) |
| 10. მლადენ პეტრიჩი (ხორ) | 01.01.1981 | 23 (9) |
| 11. ბრაიან რუისი (კოსტ) | 18.08.1985 | 29 (26) |
| 20. უგო როდალიეგა (კოლ) | 25.07.1985 | 29 (14) |

### სტოუკ სიტი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ასმირ ბეგოვიჩი (ბოს) | 20.06.1987 | 38 (38) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ჯეფ კემერონი | 11.07.1985 | 35 (29) |
| 4. რობერტ ჰუთი (გერ) | 18.08.1984 | 35 (35) |
| 17. რაიან შოუკროსი | 04.10.1987 | 37 (37) |
| 28. ენდი უილკინსონი | 06.08.1984 | 24 (19) |
| 30. რაიან შოტონი | 30.09.1988 | 23 (20) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 6. გლენ უელანი (ირლ) | 13.01.1984 | 32 (31) |
| 7. ჯერმეინ პენანტი | 15.01.1983 | 1 (1) |
| 8. უილსონ პალასიოსი (ჰონ) | 29.07.1984 | 4 (0) |
| 12. მარკ უილსონი (ირლ) | 17.08.1987 | 19 (19) |
| 15. სტივენ ნზონზი (საფ) | 15.12.1988 | 35 (35) |
| 16. ჩარლი ადამი (შოტ) | 10.12.1985 | 27 (22) |
| 18. დინ უაიტჰედი | 21.01.1982 | 26 (12) |
| 21. მაიკლ კაიტლი | 24.01.1986 | 22 (14) |
| 22. ბრეკ ში (აშშ) | 28.02.1990 | 2 (0) |
| 26. მეთიუ ეთერინგტონი | 14.08.1981 | 31 (21) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. კენუაინ ჯონსი (ტრინ) | 05.10.1984 | 26 (10) |
| 10. მაიკლ ოუენი | 14.12.1979 | 8 (0) |
| 19. ჯონათან უოლტერსი (ირლ) | 20.09.1983 | 38 (38) |
| 25. პიტერ კრაუჩი | 30.01.1981 | 34 (28) |
| 33. კემერონ ჯერომი | 14.10.1986 | 26 (8) |

### საუთჰემპტონი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. კელვინ დევისი | 29.09.1976 | 10 (9) |
| 12. პაულო გასანიგა (არგ) | 02.01.1992 | 9 (9) |
| 31. არტურ ბორუცი (პოლ) | 20.02.1980 | 20 (20) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ნათანიელ კლაინი | 05.04.1991 | 34 (34) |
| 3. მაია იოშიდა (იაპ) | 24.08.1988 | 32 (31) |
| 5. იოს ჰოიველდი (ჰოლ) | 22.04.1983 | 25 (23) |
| 6. ჟოზე ფონტე (პორ) | 22.12.1983 | 27 (25) |
| 13. დენიელ ფოქსი (შოტ) | 29.05.1986 | 20 (14) |
| 22. ფრეიზერ რიჩარდსონი | 29.10.1982 | 5 (2) |
| 23. ლუკ შოუ | 12.07.1995 | 25 (22) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. მორგან შნაიდერლინი (საფ) | 08.11.1989 | 36 (36) |
| 21. გულერმე დო პრადო (ბრა) | 31.12.1981 | 18 (8) |
| 8. სტივენ დევისი (ჩრ.ირლ) | 01.01.1985 | 32 (22) |
| 10. გასტონ რამირესი (ურუ) | 02.12.1990 | 26 (20) |
| 16. ჯეიმს ვორდ-პრაუსი | 01.11.1994 | 15 (4) |
| 18. ჯეკ კორკი | 25.06.1989 | 28 (28) |
| 20. ადამ ლალანა | 10.05.1988 | 30 (26) |
| 27. რიჩარდ ჩამბოუ | 02.02.1985 | 3 (0) |
| 33. სტივენ დე რიდერი (ბელ) | 25.02.1987 | 4 (0) |
| 42. ჯეისონ პანჩეონი | 26.06.1986 | 32 (25) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. რიკი ლამბერტი | 16.02.1982 | 38 (35) |
| 9. ჯეი როდრიგესი | 29.07.1989 | 35 (24) |
| 24. ემანუელ მაიუკა (ზამ) | 21.11.1990 | 11 (1) |

### ასტონ ვილა

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. შეი გივენი (ირლ) | 20.04.1976 | 2 (2) |
| 22. ბრედ გუზანი (აშშ) | 09.09.1984 | 36 (36) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. რონ ვლაარი | 16.02.1985 | 27 (27) |
| 6. კირან კლარკი (ირლ) | 26.09.1989 | 29 (28) |
| 15. ეშლი ვესვუდი | 01.04.1990 | 30 (28) |
| 27. ჯო ბენეტი | 28.03.1990 | 25 (21) |
| 29. ენდა სტივენსი (ირლ) | 09.07.1990 | 7 (6) |
| 30. ერიკ ლიშაი (აშშ) | 17.11.1988 | 17 (9) |
| 32. ნათან ბეიკერი | 23.04.1991 | 25 (25) |
| 34. მეტიუ ლოუტონი | 09.06.1989 | 37 (37) |
| 37. დერიკ უილიამსი (ირლ) | 17.01.1993 | 1 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. სტივენ აირლენდი (ირლ) | 22.08.1986 | 13 (9) |
| 8. კარიმ ელ-აჰმადი (მარ) | 27.01.1985 | 20 (12) |
| 10. შარლ ნზოგბია (საფ) | 28.05.1986 | 21 (11) |
| 12. მარკ ოლბრაიტონი | 18.11.1989 | 9 (4) |
| 16. ფაბიან დელფი | 21.11.1989 | 24 (19) |
| 18. იაკუბა სილა (საფ) | 29.11.1990 | 11 (7) |
| 24. საიმონ დოუკინსი | 01.12.1987 | 4 (4) |
| 25. ბარი ბენანი შოტ | 01.12.1989 | 24 (18) |
| 38. გარი გარდნერი | 29.06.1992 | 2 (0) |
| 31. კრის ჰერდი (ავსტრ) | 04.04.1989 | 9 (9) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. დარენ ბენტი | 06.02.1984 | 16 (8) |
| 11. გაბრიელ აგბონლაჰორი | 13.10.1986 | 28 (24) |
| 14. ბრეტ ჰოლმანი (ავსტრ) | 27.03.1984 | 27 (16) |
| 20. კრისტიან ბენტეკე (ბელ) | 03.12.1990 | 34 (32) |
| 21. ჟორდან ბაუერი | 02.07.1991 | 10 (3) |
| 26. ანდრეას ვაიმანი (ავსტ) | 05.08.1991 | 30 (26) |

### ნიუკასლი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ტიმ კრული (ჰოლ) | 03.04.1988 | 24 (24) |
| 21. რობერტ ელიოტი | 30.04.1986 | 10 (9) |
| 37. სტივენ ჰარპერი | 03.02.1974 | 6 (5) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ფაბრისიო კოლოჩინი (არგ) | 22.01.1982 | 22 (22) |
| 3. დავიდე სანტონი (იტა) | 02.01.1991 | 31 (31) |
| 5. დენი სიმპსონი | 04.01.1987 | 19 (18) |
| 6. მაიკ უილიამსონი | 08.11.1983 | 19 (19) |
| 13. მაპუ იანგა-მბივა (საფ) | 15.05.1989 | 14 (11) |
| 14. ჯეიმს პერჩი | 28.09.1985 | 27 (19) |
| 16. რაიან ტეილორი | 19.08.1984 | 1 (0) |
| 19. მასადიო აიდარა (საფ) | 02.12.1992 | 4 (2) |
| 26. მატიუ დებუში (საფ) | 28.07.1985 | 14 (14) |
| 27. სტივენ ტეილორი | 23.01.1986 | 25 (24) |
| 34. ჯეიმს ტავერნიე | 31.10.1991 | 2 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. მუსა სისოკო (საფ) | 16.08.1989 | 12 (12) |
| 8. ვურნონ ანიტა (ჰოლ) | 04.04.1989 | 25 (17) |
| 10. ატემ ბენ არფა (საფ) | 07.03.1987 | 19 (16) |
| 15. დენ გოსლინგი | 02.02.1990 | 3 (0) |
| 18. ხონას გუტიერესი (არგ) | 05.07.1983 | 34 (34) |
| 20. გაელ ბიგირიმანა (ბურ) | 22.10.1993 | 13 (3) |
| 22. სილვენ მარვო (საფ) | 15.04.1986 | 22 (10) |
| 24. შეიკ ტიოტე (კოტ) | 21.06.1986 | 24 (22) |
| 25. გაბრიელ ობერტანი (საფ) | 26.02.1989 | 14 (4) |
| 31. შეინ ფერგიუსონი (ჩრ. ირლ) | 12.07.1991 | 9 (4) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. პაპის სისე (სენ) | 03.06.1985 | 36 (36) |
| 11. იოან გუფრანი (საფ) | 25.05.1986 | 15 (14) |
| 23. შოლა ამეობი (ნიგ) | 12.10.1981 | 23 (4) |
| 28. სემი ამეობი | 01.05.1992 | 8 (1) |
| 30. ნილ რეინჯერი | 11.04.1991 | 2 (0) |
| 49. ადამ კემპბელი | 01.01.1995 | 3 (0) |

### სანდერლენდი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 22. მიმონ მინიოლე (ბელ) | 06.08.1988 | 38 (38) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. ფილიპ ბერდსლი (შოტ) | 28.06.1985 | 18 (11) |
| 12. მეტიუ კილგალონი | 08.01.1984 | 6 (6) |
| 16. ჯონ ოში (ირლ) | 30.04.1981 | 34 (34) |
| 18. კადერ მანგანე (სენ) | 23.03.1983 | 2 (0) |
| 19. ტიტუს ბრემბლი | 21.07.1981 | 16 (12) |
| 24. კარლოს კუელიარი (ესპ) | 23.08.1981 | 26 (26) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. დენი როუზი | 02.07.1990 | 27 (25) |
| 4. ალფრედ ნდიაიე (საფ) | 06.03.1990 | 16 (15) |
| 6. ლი კატერმოული | 21.03.1988 | 10 (10) |
| 7. სებასტიან ლარსონი (შვედ) | 06.06.1985 | 38 (36) |
| 8. კრეიგ გარდნერი | 25.11.1986 | 33 (32) |
| 14. ჯეკ კოლბეკი | 24.10.1989 | 35 (30) |
| 15. დევიდ ვონი (უელ) | 18.02.1983 | 24 (6) |
| 21. ადამ ჯონსონი | 14.07.1987 | 35 (35) |
| 23. ჯეიმს მაკლინი (ირლ) | 22.04.1989 | 36 (24) |
| 28. სტეფან სესინიონი (ბენინი) | 01.06.1984 | 35 (34) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 9. დენი გრემი | 12.08.1985 | 31 (21) |
| 10. კონორ უიკჰემი | 31.03.1993 | 1 (0) |
| 26. სტივენ ფლეტჩერი (შოტ) | 26.03.1987 | 28 (28) |
| 30. მიკაელ მანდრონი (საფ) | 11.10.1994 | 2 (0) |
| 34. ბილი ნოტი | 28.11.1992 | 1 (0) |
| 36. სკოტ ჰარისონი | 03.09.1993 | 12 (3) |

### უიგანი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ხოელ რობლესი (ესპ) | 17.06.1990 | 9 (9) |
| 26. ალი ალ ჰაბსი (ომ) | 30.12.1981 | 29 (29) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. ანტოლინ აკლარასი (პარ) | 30.07.1982 | 10 (8) |
| 5. გარი კოლდუელი (შოტ) | 12.04.1982 | 25 (25) |
| 17. ემერსონ ბოისი (ბარბ) | 24.09.1979 | 36 (36) |
| 21. ივან რამისი (ესპ) | 25.10.1984 | 16 (16) |
| 23. რონი სტამი (ჰოლ) | 18.06.1984 | 17 (11) |
| 24. ადრიან პისკუ (ესპ) | 25.02.1987 | 5 (3) |
| 25. რომან გოლოგარტი (ესპ) | 21.03.1992 | 3 (2) |
| 31. მეინორ ფიგეროა (ჰონდ) | 02.05.1983 | 33 (33) |
| 33. პაულ შარნერი (ავს) | 11.03.1980 | 14 (14) |
| 44. ედუ კამპაბადალი (ესპ) | 26.01.1993 | 1 (0) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. ჯეიმს მაკარტი (ირლ) | 12.11.1990 | 38 (38) |
| 6. დევიდ ჯონსი | 04.11.1984 | 13 (8) |
| 8. ბენ უოტსონი | 09.07.1985 | 12 (7) |
| 10. შონ მელონი (შოტ) | 24.01.1983 | 36 (34) |
| 14. ხორდი გომესი (ესპ) | 24.05.1985 | 32 (17) |
| 16. ჯეიმს მაკარტური (შოტ) | 07.10.1987 | 33 (24) |
| 18. როჯერ ესპინოსა (ჰონდ) | 25.10.1986 | 12 (6) |
| 20. ფრეიზერ ფაივი (შოტ) | 27.03.1993 | 1 (0) |
| 22. ჟან ბოსეჟური (ჩილე) | 01.06.1984 | 34 (32) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. არუნა კონე (კოტ) | 11.11.1983 | 34 (32) |
| 9. ფრანკო დი სანტო (არგ) | 07.04.1989 | 35 (24) |
| 11. ანხელო ენრიკესი (ჩილე) | 13.04.1994 | 4 (0) |
| 15. კალუმ მაკმანამანი | 25.04.1991 | 20 (8) |
| 32. რიო მიაიჩი (იაპ) | 14.12.1992 | 4 (0) |

### რედინგი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ადამ ფედერიჩი (ავსტრ) | 31.01.1985 | 21 (21) |
| 21. ალექს მაკარტი | 03.12.1989 | 13 (13) |
| 41. სტიუარტ ტეილორი | 28.11.1980 | 4 (4) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. კრისტოფერ განტერი (უელ) | 21.07.1989 | 20 (20) |
| 3. ნიკი შორი | 19.02.1981 | 17 (16) |
| 5. ალექს პირსი (შოტ) | 09.11.1988 | 19 (18) |
| 6. ადრიან მარიაპა (იამ) | 03.10.1986 | 29 (29) |
| 15. შონ მორისონი | 08.01.1991 | 16 (16) |
| 17. კასპარ გორკსი (ლატ) | 06.11.1981 | 14 (14) |
| 23. იან ჰარტი (ირლ) | 31.08.1977 | 16 (15) |
| 24. შონ კამინგსი | 28.02.1989 | 9 (9) |
| 27. სტივენ კელი (ირლ) | 06.09.1983 | 18 (16) |
| 29. დანიელ კარიშუ (პორ) | 04.08.1988 | 3 (1) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 4. ჯემ კარაჯანი (თურ) | 21.02.1989 | 21 (21) |
| 8. მიკელე ლიგერტვუდი (ანტიგ) | 12.11.1982 | 30 (29) |
| 11. ჯობი მაკანუფი (იამ) | 09.11.1981 | 38 (38) |
| 12. გარეთ მაკლირი (იამ) | 15.05.1987 | 31 (15) |
| 14. ჯიმი კებე (მალი) | 19.01.1984 | 18 (16) |
| 16. ჯეი ტაბი (ირლ) | 21.02.1984 | 12 (12) |
| 19. ჰალ რობსონ-კანუ (უელ) | 21.05.1989 | 25 (13) |
| 20. დენი გატრი | 18.04.1987 | 21 (19) |
| 28. ჰოუპ აკპანი (ნიგ) | 14.08.1991 | 9 (6) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 7. პაველ პოგრებნიაკი (რუს) | 08.11.1983 | 29 (26) |
| 9. ადამ ლე ფონდრე | 02.12.1986 | 34 (11) |
| 10. ნოელ ჰანტი (ირლ) | 26.12.1983 | 24 (10) |
| 30. ნიკ ბლექმენი | 11.11.1989 | 11 (3) |
| 33. ჯეისონ რობერტსი (გრენ) | 25.01.1978 | 11 (8) |
| 44. დომინიკ სამუელი | 01.04.1994 | 1 (0) |

### ქუინზ პარკი

**მეკარეები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. რობერტ გრინი | 18.01.1980 | 16 (14) |
| 33. ჟულიო სეზარი (ბრ) | 03.09.1979 | 24 (24) |

**მცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 3. არმან ტრაორე (სენ) | 08.10.1989 | 26 (24) |
| 5. კრისტოფერ სამბა (კონგო) | 28.03.1984 | 10 (10) |
| 6. კლინტ ჰილი | 19.10.1978 | 31 (31) |
| 15. ნედუმ ონუოჰა (ირლ) | 12.11.1986 | 23 (15) |
| 19. ჟოზე ბოსინგვა (პორ) | 24.08.1982 | 23 (22) |
| 20. ფაბიო და სილვა (ბრ) | 09.07.1990 | 21 (13) |
| 21. ტალ ბენ-ჰაიმი (ისრ) | 31.03.1982 | 3 (2) |
| 27. მაიკლ გრანტი (ირლ) | 23.10.1992 | 1 (1) |

**ნახევარმცველები:**

| | | |
|---|---|---|
| 2. სამბა დიაკიტე (მალი) | 24.01.1989 | 14 (11) |
| 4. შონ დერი | 06.12.1977 | 18 (10) |
| 7. ჟუ სუნ პარკი (ს. კორ) | 25.02.1981 | 20 (15) |
| 10. ადელ ტაარაბტი (მარ) | 24.05.1989 | 31 (25) |
| 11. შონ რაიტ-ფილიპსი | 25.10.1981 | 20 (14) |
| 14. ესტებან გრანერო (ესპ) | 02.07.1987 | 24 (19) |
| 16. ჯერმეინ ჯენასი | 18.02.1983 | 13 (8) |
| 29. ენდროს ტაუსენდი | 16.07.1991 | 17 (12) |
| 40. სტეფანმბია (კამ) | 20.05.1986 | 29 (29) |

**თავდამსხმელები:**

| | | |
|---|---|---|
| 8. ენდი ჯონსონი | 10.02.1981 | 3 (2) |
| 12. ჯეიმი მაკი (შოტ) | 22.09.1985 | 29 (17) |
| 18. ლოიკ რემი (საფ) | 02.01.1987 | 14 (13) |
| 25. ბობი ზამორა | 16.01.1981 | 21 (16) |
| 23. დევიდ ჰოილეტი (კან) | 05.06.1990 | 26 (15) |
| 37. ჯეი ბოთროიდი | 05.05.1982 | 4 (2) |

*შენიშვნა: ფეხბურთელთა დაბადების თარიღის გასწვრივ მითითებულია წლეულს პრემიერლიგაში (ფრჩხილებში სასტარტო შემადგენლობაში) ჩატარებული თამაშების რაოდენობა*

მილანი

# პაცინის თვეები გაუცდება

## მილანმა საპატა გაიფორმა



ჯამპაოლო პაცინი საოპერაციოა

სერია A-ს უკანასკნელ ტურში, „სიენა"-"მილანის" შეხვედრაში **ჯამპაოლო პაცინიმ** ტრავმა მიიღო, რომელიც უმძიმესი გამოდგა. კლუბის ექიმებმა უკვე დაადასტურეს, რომ 28 წლის ფორვარდს ქირურგიული ჩარევა სჭირდება, სარეაბილიტაციო პერიოდი კი მინიმუმ ოთხ თვეს წაიღებს. ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„თამაშის დროს ფეხში ტკივილები ვიგრძენი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ ტრავმა ასეთი მძიმე გამოდგებოდა. ოპერაცია უნდა გავიკეთო და სარეაბილიტაციო პერიოდი 4-5 თვეს წაიღებს. როგორც ექიმებმა მითხრეს, მცირე გართულების შემთხვევაში, შესაძლოა 6 თვეც კი გამიცდეს. იმაში მაინც გამიმართლა, რომ წინ ხანგრძლივი პაუზაა - ყველაფერს გავაკეთებ, რომ „მილანს" ოქტომბრის დასაწყისში დავუბრუნდე".*

ჯამპაოლო პაცინის ბევრი კონფედერაციათა თასზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში მოიაზრებდა, მაგრამ როგორც გამოჩნდა, არა **ჩეზარე პრანდელი**. ერთ-ერთ წინა ნომერში, „სკუადრა აძურას" გაფართოებული შემადგენლობა გაგაცანით, სადაც პაცოს გვარი არ ფიგურირებს... შესაბამისად, ამ კუთხით, არც „აძურა" და არც თვითონ ფეხბურთელი არაფერს კარგავენ.

ამასობაში, „მილანმა" 26 წლის მცველი **კრისტიან საპატა** ესპანური „ვილიარეალიდან" გამოისყიდა. კოლუმბიელმა არაერთხელ განაცხადა, რომ ძალიან უნდოდა ლომბარდიულ გრანდთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულების გაფორმება და სანადელი აუხდა. კონტრაქტის მიხედვით, საპატა „მილანში" კიდევ მინიმუმ სამი წელი უნდა დარჩეს, მისი სატრანსფერო ღირებულება კი ექვსი მილიონი ევროა. კმაყოფილმა საპატამ ემოციები არც ჟურნალისტებთან დამალა:

*„იტალიაში თავს დიდებულად ვგრძნობ და ძალიან მიხარია, რომ „მილანთან" ხელშეკრულება გავაფორმე. ვფიქრობ, დიდი მიზნის მიღწევა შეგვიძლია და ამას მომდევნო სეზონშივე დავამტკიცებთ. განსაკუთრებული მადლობა მასიმილიანო ალეგრის, რომელიც ბოლომდე მენდო და საერთოდაც, ჩემი ტრანსფერის ინიციატორი გახლდათ. დიდი იმედი მაქვს, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი მომავალშიც ალეგრი იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# იგუაინი იუვეს უახლოვდება

## ტურინელები მადრიდში გაემგზავრნენ

**გონსალო იგუაინის** ტრანსფერი მწიფდება და ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე, არგენტინელი ფორვარდის „რეალიდან" „იუვენტუსში" გადაბარგების ამბავს გამცნობთ. „გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ ტურინული კლუბის მესვეურები კონტრაქტის დეტალებზე უკვე შეუთანხმდნენ ფეხბურთელს და მიზნის მიღწევამდე მადრიდელებთან კონსენსუსის მიღწევა დარჩა.



გონსალო იგუაინი

ესპანელები 25 წლის შემტევში 30 მილიონ ევროს ითხოვენ, იტალიელები კი 22 მილიონის გადასახდელად არიან მზად. „გაძეტას" მტკიცებით, ტურინელები თანხის 25 მილიონ ევრომდე აწევას აპირებენ და მოლაპარაკების დასკვნითი ნაწილის გასამართად მადრიდში გაემგზავრნენ. პიემონტელებს კიდევ ერთი პირობა აქვთ: აღნიშნული თანხა ორი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. საბოლოო სიტყვა ესპანელებზეა - ძნელად წარმოსადგენია, რომ გარიგება არ შედგეს, რადგან აღნიშნული ტრანსფერით ყველა მხარე დაინტერესებულია. იგუაინის ტურინში შესაძლო გადაბარგებას თვით **დიეგო არმანდო მარადონა** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

*„გონსალოს კარგად ვიცნობ და ვიცი, რა შეუძლია მას. თუ იტალიაში გადავა და რეგულარულად თამაშის საშუალება მიეცემა, დარწმუნებული ვარ, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს. მეტიც, ჩემი პროგნოზით, იგუაინი სერია A-ს მომდევნო გათამაშების ბომბარდირი გახდება. იტალიის ჩემპიონატს კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორ ფორვარდებს უადვილდებათ იქ თამაში. ჩემი აზრით, იგუაინი სწორედ კალჩოსთვის არის ზედგამოჭრილი. იმედია, აღნიშნული ტრანსფერი შედგება".*

იგუაინის სავარაუდო ტრანსფერს **ჯანლუიჯი ბუფონიც** გამოეხმაურა და არგენტინელი ტურინში მიიპატიჟა - ჯიჯის თქმით, გონსალოს თავისუფლად შეუძლია გახდეს სწორედ ის ტოპ-ფორვარდი, რომელზეც ამდენი ხანია ლაპარაკობენ. იტალიის ნაკრების კიპერი იმედოვნებს, რომ იგუაინის ტრანსფერი მალე გაფორმდება.

**ლაშა ნიკლაური**

პარსჟერმაინი

# იბრას იტალია მოენატრა

## თუმცა პსჟ-ს დატოვებას არ ჩქარობს

**ზლატან იბრაჰიმოვიჩს** კარიერის დიდი ნაწილი იტალიაში აქვს გატარებული და ბუნებრივია, რომ მისი პერსონა აპენინებზე დღემდე აქტუალურია. 31 წლის თავდამსხმელს „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და მის სერია A-ში შესაძლო დაბრუნებაზე ჩამოუგდო სიტყვა. ამასთან, იტალიისა და საფრანგეთის შედარება სთხოვა...

### იტალიაში დაბრუნება

არაერთხელ მითქვამს, რომ კარიერას ამა და ამ გუნდში დავასრულებდი, მაგრამ შემდეგ სიტყვა ვერ შემისრულებია. ამიტომ, მომავალთან დაკავშირებით პროგნოზების კეთებას მოვერიდები. დღეს, პსჟ-ს ფეხბურთელი ვარ და მთელი ჩემი ფიქრები ამ გუნდს დასტრიალებს. ქვეყნის ჩემპიონები გავხდით და ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ვიასპარეზეთ, რაც მომავლის რწმენას მაძლევს. დარწმუნებული ვარ, მომდევნო სეზონში კიდევ უკეთესად გავირჯებით და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე გამარჯვების რეალური შანსი გვექნება. ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, მართლაც დავბრუნდე იტალიაში, მაგრამ არა ამ ზაფხულს.

### იტალია - საფრანგეთი

უნდა ვაღიარო, რომ იტალიაში უფრო კარგად ვგრძნობდი თავს და ის დრო მენატრება კიდეც. ალბათ იმიტომ, რომ აპენინებზე ფეხბურთს გაცილებით დიდი ყურადღება ექცევა და შესაბამისად, ფეხბურთელიც მეტად დაფასებულია. მე მომწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა და ამ მხრივ, იტალიაში გაცილებით კომფორტული გარემოა. პარიზში ისე შეიძლება ისეირნო საათობით, რომ არავინ ყურადღება არ მოგაქციოს - ასეთი რამ არც ჰოლანდიაში ხდებოდა და არც ესპანეთში. იტალიაში სულ სხვა გარემოა - როდესაც სადმე სავახშმოდ შევდიოდი, მომსახურე პერსონალიც კი ფეხბურთზე მელაპარაკებოდა და ჩემს სანახავად რესტორნების მფლობელები გამოდიოდნენ. ეს ის გარემოა, სადაც თავს გაცილებით კარგად ვგრძნობ და კარიერის დასრულების შემდეგ, სწორედ იტალიაში ვფიქრობ დასახლებას.

**ლაშა ნიკლაური**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ამბები



კარლო ანჩელოტი

### ანჩელოტის საკითხი ორშაბათამდე არ გაირკვევა

„პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელის **კარლო ანჩელოტის** საკითხი 27 მაისამდე არ გაირკვევა. საქმე იმაშია, რომ კლუბის პრეზიდენტი **ნასერ ალ-ხელაიფი** პარიზში არ იმყოფება და 27 რიცხვამდე არც აპირებს საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლას. იტალიელი სპეციალისტის საკითხს **ლეონარდო** ვერ გადაწყვეტს, პრეზიდენტის ჩარევაა საჭირო.

შეგახსენებთ, რომ ანჩელოტის გადაბირება მადრიდის „რეალს" სურს, რომელიც სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიოს** გამოეთხოვება. უკვე ცნობილია, რომ კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ პსჟ „რეალს" 7,5 მილიონ ევროს სთხოვს კომპენსაციად.



მესუთ იოზილი

### იოზილი ხელფასის გაზრდას ითხოვს

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ „რეალის" გერმანელი ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** კლუბის ხელმძღვანელობისგან კონტრაქტის ფინანსური ნაწილის გადახედვას ითხოვს, მოკლედ, რომ ვთქვათ მას ხელფასის გაზრდა სურს.

24 წლის ფეხბურთელი „სამეფო კლუბში" 2010 წელს გადავიდა, მაშინ მან 6-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა იოზილის ხელფასი სეზონში 5 მილიონი ევროა.

ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ ის მეტ ჯამაგირს იმსახურებს. ამიტომაც მადრიდში იმყოფება მისი მამა და აგენტი **მუსტაფა იოზილი**, რომელიც „რეალის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ იოზილი ერთ-ერთი იმათგანია „რეალში", რომელსაც **ჟოზე მოურინიოსთან** ურთიერთობა ვერ აეწყო.

### ვილანოვა OUT, ვალვერდე IN?



ტიტო ვილანოვა



ერნესტო ვალვერდე

ესპანურ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმაა „ბარსელონას" მწვრთნელის საკითხზე. მიიჩნევენ, რომ **ტიტო ვილანოვას** ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მომავალ სეზონში გუნდის გაწვრთნა სრულფასოვნად არ შეეძლება.

ვილანოვა ეს დღეები ნიუ იორკშია, სადაც მორიგ პროცედურებს გადის. „ბარსელონას" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ანდონი სუბისარეტამ** უარყო ვილანოვას გაშვების ალბათობა, თუმცა ამან ხმები არ შეაჩერა.

მეტიც, პრესაში უკვე საუბრობენ სავარაუდო შემცვლელზე, „ვალენსიას" 49 წლის მწვრთნელ **ერნესტო ვალვერდეზე**. ვალვერდემ სეზონის განმავლობაში შეცვალა არგენტინელი მაურისიო პელეგრინო. ახლა მას „ვალენსია" ახალ ხელშეკრულებას სთავაზობს, მაგრამ მწვრთნელი უარზეა.

### რიომ გააგრძელა

„მანჩესტერ იუნაიტედის" 34 წლის მცველმა **რიო ფერდინანდმა** კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. *„ძალიან მიხარია ამ დიად კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება. ცხოვრება ოცნებასავით მაქვს"*, - დაწერა ფერდინანდმა საკუთარ „ტვიტერზე".

ფერდინანდი „იუნაიტედში" 2002 წლიდან თამაშობს. ამ დროისთვის ფეხბურთელის ანგარიშზე „წითელი ეშმაკების" მაისურით 400-ზე მეტი ჩატარებული მატჩი და 7 გოლია. „მანჩესტერ იუნაიტედის" რიგებში ფერდინანდმა ინგლისის ჩემპიონატი 6-ჯერ მოიგო და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რიო ფერდინანდი

ბაიერნი

# ჰაინკესის ფლირტი რეალთან

## ვან ბუიტენი სკამზე: დორტმუნდთან ბოატენგი ითამაშებს!


იუპ ჰაინკესი

**იუპ ჰაინკესის** „რეალში“ შესაძლო დანიშვნის შესახებ ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაციები ვრცელდება. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის, რომ 68 წლის გერმანელ სპეციალისტს, რომელიც ჩემპიონთა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალების შემდეგ „ბაიერნს“ დაემშვიდობება, სამწვრთნელო კარიერის დასრულება არ გადაუწყვეტია - მან მხოლოდ ის თქვა, რომ ბუნდესლიგაში აღარ იმუშავებს.

ამას წინათ ვწერდით, რომ ჰაინკესის გადაბირება მადრიდის „რეალს“ სურს. სიახლე ისაა, რომ იუპის ესპანელმა მრჩეველმა **ენრიკე რეიესმა** რადიო „კოპეს“ უთხრა, გამორიცხული არაა, რომ ჰაინკესი მადრიდული გრანდის თავკაცად დაინიშნოსო.

*„რეალთან“ არათუ არ შევთანხმებულვართ, არამედ მოლაპარაკებებიც არ გვქონია, - აღნიშნა რეიესმა, - თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰაინკესის „რეალში“ დანიშვნა გამორიცხულია. თუკი ფლორენტინო პერესი დარეკავს, დავելაპარაკები. იუპმა მხოლოდ ის თქვა, რომ ბუნდესლიგაში აღარ იმუშავებს, სამწვრთნელო კარიერის დასრულების შესახებ კი არაფერი უთქვამს.“*

ესპანურ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, პერესის ფავორიტი **კარლო ანჩელოტია**, ჰაინკესს კი, „რეალის“ პრეზიდენტი ანჩელოტის ალტერნატივად განიხილავს. ჩვენი ესპანელი კოლეგები ჰაინკესისა და „რეალის“ შეფების მოლაპარაკებებზე მას მერე ალაპარაკდნენ, რაც რეიესი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნახეს...

### იუპმა ბოატენგი არჩია

ამასობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობა საბოლოოდ გამოიკვეთა. პრინციპში, დიდ საიდუმლოს არც აქამდე წარმოადგენდა ის, თუ ვის ათამაშებდა „დონ იუპი“ „უემბლიზე“ სასტარტოში - კითხვის ნიშანი რეალურად მხოლოდ ერთ პოზიციაზე იყო: ვინ ითამაშებდა დაცვის ცენტრში, **დანტეს** გვერდით - **დანიელ ვან ბუიტენი** თუ **ჟერომ ბოატენგი**. გუშინდელი ვარჯიშების შემდეგ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა დაასკვნეს, რომ ჰაინკესი სასტარტოსთვის ბოატენგს ამზადებს.

*„ჟერომი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია, - აღნიშნა ჰაინკესმა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ, - თანაც, ზუსტად ვიცი, რომ ეს მისი მაქსიმუმი არაა - ბოატენგი პროგრესს აუცილებლად განაგრძობს.“* 24 წლის ცენტრალურ მცველს ამ დღეებში რეკორდმაისტერის კაპიტანი **ფილიპ ლამიც** ხშირად აქებს - ნებისმიერ ტაქტიკას და ნებისმიერი სტილის თავდამსხმელს ერგებაო.

ცხადია, ჰაინკესმა იცის, რომ ბოატენგის თამაში გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული - ჟერომი ხანდახან ზედმეტად უხეშობს ხოლმე და შეცდომების დაშვებაც „ეხერხება“, მაგრამ იუპმა უპირატესობა მაინც მას მიანიჭა და არა აყლაყუდა ბელგიელ ვან ბუიტენს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ „დორტმუნდის“ წინააღმდეგ ზოგადად ბოატენგი უფრო ხშირად თამაშობს ხოლმე, ვიდრე ვან ბუიტენი. ბოლო სამ წელიწადში ჟერომმა „ბორუსიას“ წინააღმდეგ 7-ჯერ იასპარეზა (ორი მოგება, ორი ფრე, სამი მარცხი), ვან ბუიტენმა კი მხოლოდ სამჯერ (1/1/1).

### რიბერის ფორმულა: ჯერ ჰეთ-თრიკი, მერე კონტრაქტი

**ფრანკ რიბერის** არაერთხელ უთქვამს, კარიერის „ბაიერნში“ დასრულება მინდაო, მაგრამ მიუნხენური კლუბის ფანები მაინც ნერვიულობენ იმაზე, რომ შესაძლოა, 30 წლის ფრანგმა ბავარიული გრანდი დატოვოს. თუმცა რიბერიმ ფანები დაამშვიდა: *„ახალი კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ მგონი გავაფორმებ. ვფიქრობ, რომ საჩქარო არაფერია და მიმაჩნია, რომ ახალი ხელშეკრულების შესახებ გამოცხადების საუკეთესო მომენტი სამი ტიტულის მოგების შემდეგ იქნება. როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც მოვიგებთ და გერმანიის თასსაც, კონტრაქტზე სერიოზულად მერე ვიფიქრებ.“*

შეგახსენებთ, რომ რიბერი 2010 წელსაც ასე მოიქცა: მილანის „ინტერთან“ წაგებული ფინალის შემდეგ მარიენპლატზე, რატუშის აივანზე გამოაცხადა, „ბაიერნში“ კიდევ ხუთი წელი ვრჩებიო. მაშინ გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა 2015 წლამდე აქვს, ახლა კი „ბაიერნის“ ბოსები მას კონტრაქტის მინიმუმ 2017 წლამდე გახანგრძლივებას სთავაზობენ.

შეგახსენებთ, რომ ფრანკ რიბერი „ბაიერნში“ 2007 წელს მარსელის „ოლიმპიკიდან“ გადავიდა და ბავარიულმა გრანდმა მაშინ მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაიხადა.

მიმდინარე სეზონის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ახლა მხოლოდ ხვალინდელ ფინალზე ფიქრობს: *„ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის გარდა ყველაფერი მოვიგე და იმედი მაქვს, რომ შაბათს ლიგის თასსაც ავწევ. თუ ამ ტიტულსაც მოვიგებთ, ჩავთვლი, რომ ჩემი კარიერა „ბაიერნში“ სრულყოფილია,“* - და მიუნხენური გრანდიდან ალბათ მართლა კარიერის ბოლომდე დარჩება.



ვან ბუიტენის ნაცვლად ბოატენგი!

დორტმუნდი



სოკრატისი თითქმის დორტმუნდელია

## სოკრატისი დორტმუნდს უახლოვდება!

„ვერდერის“ ცენტრალური მცველის, **სოკრატის პაპასტატოპულოსისთვის** გაჩაღებულ ბრძოლაში ფავორიტად აქამდე „ლევერკუზენი“ მიიჩნეოდა - „ფარმაცევტები“ 24 წლის ბერძენ უკანახაზელს კონტრაქტის 2018 წლამდე გაფორმებას სთავაზობდნენ. მაგრამ გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, ტრანსფერი ჩაიშალა, რადგან სოკრატისმა „ლევერკუზენს“ უარი შეუთვალა.

„ბილდის“ ინფორმაციით, უარის მიზეზი ისაა, რომ მან სხვა, გაცილებით უკეთესი კლუბიდან მიიღო შეთავაზება: ბერძენს დორტმუნდის „ბორუსიაში“ ეპატიჟებიან. ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი სოკრატისს 2016 წლამდე კონტრაქტს სთავაზობს, ხოლო „ვერდერს“ 9 მილიონ ევროს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ბერძენი მცველი „ბორუსიას“ უკვე შეუთანხმდა, ახლა კი კლუბები უნდა მორიგდნენ.

ვერდერი

# ახალი შააფი დუტია!

## ბრემენელები რობინს შეუთანხმდნენ, რას იტყვის გერმანიის საფეხბურთო კავშირი


თომას შააფს ვერდერში რობინ დუტი შეცვლის

„ვერდერში“ **თომას შააფს რობინ დუტი** შეცვლის - ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია. ბრემენული კლუბის მენეჯერმა **თომას აიხინმა** გუშინ გამოცემა „ვეზერ კურიერს“ ოფიციალურად დაუდასტურა, რომ დუტთან, რომელიც ამჟამად გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია, შეთანხმებას მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრაიბურგისა“ და „ლევერკუზენის“ ყოფილი დამრიგებელი „ვერდერის“ ახალი შააფი გახდება. მისი დანიშვნის საბოლოო დადასტურებამდე საფეხბურთო კავშირის პოზიციის დაფიქსირებაღაა დარჩენილი.

გუშინვე გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც დაადასტურა, რომ „ვერდერმა“ და დუტმა 2016 წლამდე გაფორმებული კონტრაქტის განყვეტა ითხოვეს. პრეზიდიუმი დუტის საკითხს მომავალ კვირაში განიხილავს და ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ დუტს „ვერდერში“ წასვლის ნებას დართავენ.

*„იმედი გვაქვს, რომ რობინ დუტი გათავისუფლების ფურცელს მიიღებს. მასთან მოლაპარაკებები წარმატებით დავასრულეთ. დუტი სწორედ ის სპეციალისტია, რომლის დანიშვნა ყველაზე მეტად გვინდოდა. მიმაჩნია, რომ „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი სწორედ რობინი უნდა იყოს. იგი ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს და არაერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი სპეციალისტია,“* - ეს აიხინის სიტყვებია.

### პეტერსენი სრულფასოვანი ბრემენელია

აქვე კიდევ ერთი სიახლე ბრემენული კლუბიდან: თავდამსხმელი **ნილს პეტერსენი**, რომელმაც ახლახან გასრულებული სეზონი „ვერდერში“ არენდით გაატარა („ბაიერნიდან“ იყო განათხოვრებული), ამიერიდან სრულფასოვანი ბრემენელია. „მუსიკოსები“ და ბავარიელები 24 წლის პეტერსენის ტრანსფერზე შეთანხმდნენ.

ცენტრფორვარდი **ნილს პეტერსენი** „ბაიერნმა“ 2010 წელს „კოტბუსიდან“ გადაიბირა (მაშინ ნილსი მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა) და 2010/2011 წლების სეზონში რეკორდმაისტერის ფორმით ბუნდესლიგის 9 მატჩში 2 გოლის გატანა შეძლო, ჩემპიონთა ლიგაში კი სამჯერ ათამაშეს. მომდევნო სეზონიდან „ბაიერნმა“ პეტერსენი „ვერდერში“ გაანათხოვრა. ნილსი ბრემენულ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ტრანსფერის თანხა არ გახმაურებულა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა


ნილს პეტერსენი ბრემენში რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფა

# თბილისი 2015-ის საგზურისთვის ბერლინსა და ვარშავაში იბრძოლებენ

## უეფამ ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის ფინალისტი სტადიონები დაასახელა

უეფამ დაასახელა 2014/15 წლების სეზონის ევროთასების ფინალური მატჩების მასპინძელი სტადიონები. 2015 წლის მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" უმასპინძლებს. 2015 წლის ევროპალიგის ფინალი კი ვარშავის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ეს გადაწყვეტილებები უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ლონდონის შეკრებაზე მიიღეს.

ბერლინის სტადიონი 1936 წელს გაიხსნა ოლიმპიური თამაშებისთვის. 1963 წლიდან ამ სტადიონზე „ჰერტა" თამაშობს, რომლის ღირსებასაც **ლევან კობიაშვილი** იცავს. 1974 წლის მუნდიალზე ამ სტადიონმა სამ მატჩს უმასპინძლა. 2006 წელს კიდევ ერთი მუნდიალი ჩატარდა გერმანიაში, „ოლიმპიურმა" სტადიონმა ამჯერად 6 მატჩს უმასპინძლა. მათ შორის ფინალს იტალიასა და საფრანგეთს შორის (გავიხსენოთ ცნობილი ინციდენტი **ზინედინ ზიდანსა** და **მარკო მატერაცის** შორის). ამ სტადიონზე 1985 წლიდან იმართება გერმანიის თასის ფინალები.

სტადიონს რეკონსტრუქცია 2006 წლის მუნდიალის წინ ჩაუტარეს. სტადიონზე 74 ათასი გულშემატკივარი ეტევა. „ოლიმპიაშტადიონი" დიდი მუსიკალური კონცერტების მასპინძელიცაა.

ვარშავის სტადიონმა უმასპინძლა ევრო 2012-ის გახსნის მატჩს. სტადიონი მდინარე ვისტულას აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. 1983 წელს პაპმა **იოანე პავლე II**-მ ამ სტადიონზე მესა ჩაატარა, რომელსაც 100 ათასი ადამიანი დაესწრო. სტადიონი ხელახლა 2012 წლის იანვარში გაიხსნა, მას გასაშლელი სახურავი აქვს. „ეროვნულზე" 57 ათასი ადამიანი ეტევა.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ამ ორ სტადიონზე გამარჯვებული გუნდები ევროპის სუპერთასისთვის თბილისში ჩამოვლენ აგვისტოში სათამაშოდ.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის ევროპალიგის ფინალს 15 მაისს „ამსტერდამ არენამ" უმასპინძლა, ხოლო 25 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ლონდონურ „უემბლიზე" გაიმართება. 2014 წლის ფინალისტი სტადიონები შარშან გაირკვა: ჩემპიონთა ლიგის ფინალი ლისაბონში, „ესტადიუ დუ სპორტზე" გაიმართება. ევროპალიგის ფინალს კი ტურინში, „იუვენტუსის" ახალი სტადიონი უმასპინძლებს.


ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" 2 წელში ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება

### კონგრესი

24 მაისს ლონდონში უეფას XXXVII კონგრესი გაიმართება, რომელზეც ყოველწლიური მოხსენებით წარდგება უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი, გაიმართება აღმასკომის არჩევნები, მიიღებენ რასიზმთან მებრძოლ რეზოლუციას, იმსჯელებენ გიბრალტალის უეფას წევრად მიღებაზე და განიხილავენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ვარშავის ეროვნულმა სტადიონმა ევრობატალიებს უმასპინძლა, ჯერი ევროპალიგაზეა






ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. ალიევის ტურნირი

# მეორე გუნდით ალიევზე

გუშინ ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მახაჩყალაში გაემგზავრა, სადაც ამ უქმეებზე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ალი ალიევის სახელობის 44-ე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ამ მეტად ძლიერ და პრესტიჟულ შეჯიბრებაში წარმატების მოპოვებას **ლაშა ლომთაძე** (55), **ბექა ლომთაძე** (60), **ზურაბ იაკობაშვილი, თენგიზ ჩოჩიშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი** (სამივე - 66), **იაკობ მაქარაშვილი, ომარ სანოძე, გოგა ხუჭუა** (74), **ნოდარ ეგაძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე, არჩილ ქიტიაშვილი** (ორივე - 96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) შეეცდებიან. როგორც ვხედავთ, ჩვენი ნაკრები დაღესტანში მეორე შემადგენლობით იასპარეზებს, რადგან მწვრთნელები ლიდერებს თვის ბოლოს იტალიაში გასამართი „დიდი პრიზისთვის" ინახავენ.

ტურნირი, რომელიც ალი ალიევისავე სახელობის 5-ათასიან დარბაზში ტარდება, ბოლო წლებში ერთ-ერთი ავტორიტეტული გახდა მთელ მსოფლიოში და გამონაკლისი არც წლევანდელი იქნება. როგორც დაღესტნური სპორტული საიტები შეჯიბრების მთავარ მსაჯ **აბაიდულა ოსმანოვზე** დაყრდნობით იუწყებიან, მასში მონაწილეობას უცხოეთიდან საქართველოს გარდა, თურქეთის, ირანის, პოლონეთის, გერმანიის, უნგრეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის და ყაზახეთის გუნდები მიიღებენ. თუმცა ეს მაინც წინასწარი მონაცემია და არაა გამორიცხული, სია კიდევ გაიზარდოს. ჩამოთვლილებს საკუთრივ რუსეთის რეგიონების გუნდებიც დაემატებიან - დაახლოებით 30 კაცი და ერთი ამდენივე თავად დაღესტნის ნაკრები. ადგილობრივები უკვე კარგა ხანია, მახაჩყალაში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გადიან შეკრებას, თუმცა ამ დღეებში მაინც მოიცალეს და იქაურ საფეხბურთო კლუბ „ანჟის" რუსეთის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლის მოპოვება მიულოცეს (საერთოდ, იქაური მოჭიდავეები მეგობრობენ ფეხბურთელებთან და პერიოდულად ესწრებიან მათ მატჩებს ან - პირიქით, ცოტა ხნის წინ კი „ანჟი" შეუერთდა მოძრაობას - „შევინარჩუნოთ ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში"). დაღესტნელებს თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი გამოჰყავთ, ვისაც კი ტრავმა არ აწუხებს - რუსეთის პირველობისა და ივან იარიგინის მემორიალის ექვსეულში მოხვედრილები... წინასწარი მონაცემებით, ყველა გუნდი ლამის ოპტიმალურადაა დაკომპლექტებული, რადგან ამ სტარტს მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებლად განიხილავენ. მაგალითად, ერთ კვირაზე მეტია, თურქები უკვე მახაჩყალაში ერთობლივ შეკრებას გადიან მასპინძლებთან და მძიმე წონის გარდა, ყველგან პირველი ნომრები ჰყავთ. მახაჩყალაში ასევე ერთობლივ წვრთნებს გადიან ყაზახები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები და მომავალი მსოფლიოს პირველობის მასპინძელი უნგრელები ევროპის ვიცე-ჩემპიონ **დანიელ ლიგეტისა** (120) და ოლიმპიური პრიზიორის, მარტში თბილისში ევროპულ ფინალში ნაჭიდავები **გაბორ ჰატოშის** წინამძღოლობით. შეგახსენებთ, რომ ჰატოშს ოლიმპიური ჯილდო უზბეკთა ნატურალიზებული ოსის - **სოსლან თიგიევის** დოპინგზე ჩავარდნის გამო მიეცა, არადა, თურმე მადიარებს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ თავისუფალ ჭიდაობაში მედალი არ ჰქონიათ.



უცნაური ბედისწერაა, რომ ალიევის ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაკლისი სწორედ მასპინძლებს ექნებათ - წინასწარი მონაცემით, ტრავმის გამო არ იჭიდავებს მათთან გაზრდილი ყაბარდოელი მძიმეწონოსანი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **ბილიალ მახოვი**. ამდენად, მას ბრიტანულ თამაშებში მოძმანაშვილთან რევანშის შანსიც არ ექნება. სამაგიეროდ, წინასწარი მონაცემებით, იქნებიან ევროპის ჩემპიონი **აბდუსალამ გადისოვი** (96) და **ლუკა კურტანიძის** ოდინდელი მეტოქეები - 31 წლის **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96) და 35 წლის **კურამაგომედ კურამაგომედოვი** (120), რომელიც ასაკს არა და არ ეპუება.

სპორტსმენთა გარდა, სოლიდურია მსაჯთა წარმომადგენლობაც, რაც ასევე ტურნირის ავტორიტეტითაა განპირობებული - მას საერთაშორისო კატეგორიის 30 არბიტრი მოემსახურება, ფილა-ს დელეგატი კი ოლიმპიური კატეგორიის პოლონელი მსაჯი **ანჟეი გლაზი** იქნება. დღეს ის მსაჯებისთვის სემინარს ჩაატარებს და ახალ წესებს გააცნობს, რადგან ტურნირი სწორედ განახლებული წესებით ჩატარდება და ამ მხრივ ერთ-ერთი პიონერი იქნება.

**ირაკლი თავაძე**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი



ნინო სალუქვაძე

# დუეტით გერმანიაში

ხვალ მიუნხენში მსოფლიოს თასის გათამაშება იწყება ტყვიის სროლაში, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობას მხოლოდ ორი სპორტსმენი მიიღებს - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**. ისინი ტურნირში ზეგ ჩაებმებიან - 26 მაისს, როცა სპორტული პისტოლეტიდან ისვრიან. პნევმატურში ქადაგიძე 28 მაისს იასპარეზებს, სალუქვაძე კი ამ ტიპის იარაღით შეჯიბრების ბოლო დღეს, 29-ში გამოვა.

ეს ამ რანგის მესამე ტურნირია მიმდინარე სეზონში, თუმცა ჩვენებისთვის მეორეა, რადგან გამოტოვეს 4-13 მაისს ამერიკულ ფორტ ბენინგში გამართული შეჯიბრება. მიზეზი არახელსაყრელი კალენდარია - პირველი ასეთი ეტაპი აპრილის დასაწყისში კორეულ ჩანჯოუში ჩატარდა და იქ გამოვიდნენ, რასაც იმხელა გზაზე გადაფრენ-გადმოფრენა დასჭირდა, მერე კიდევ ლამის ამდენივე წინ და უკან ფრენა აშშ-ში წასვლაზე უწევდათ, რასაც ისევ ევროპაში - მიუნხენსა და ესპანურ გრანადაში გასამართი შეჯიბრებები ერთვოდა და გვარიანი ფრენა გამოუდიოდათ. ამიტომ ამერიკული ტურნირი გამოტოვეს. გერმანიის გარდა, ჩვენები 3-12 ივლისს გრანადაშიც გამოვლენ, რასაც ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ხორვატულ ოსიეკში ევროპის ჩემპიონატი მოჰყვება სპორტული პისტოლეტიდან სროლაში.

უფროსების პარალელურად, ტურნირებში ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. ერთ-ერთი პირველი მათგანი 3-10 ივნისს გერმანულ ზულში გასამართი ტრადიციულად დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იქნება. იქ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით ორი ჩვენებური გამოვა - **ლიზი კილაძე** და ნინო სალუქვაძის შვილი **ცოტნე მაჭავარიანი**, რომელიც მამის კვალსაც მისდევს და ტყვიის სროლის გარდა, რაგბიშიც ვარჯიშობს, საბოლოო არჩევანი კი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# სამივე პრიზიორი ცნობილია

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო რაუნდში კიდევ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა: „იმედი" - „ბათუმი" 29:35, თსუ-„მერანი" - „ქუთაისი" 34:19; სტუ - „ქუთაისი" 34:21, თსუ-„მერანი" - „იმედი" 38:26.

ამდენად, შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ეროვნული ჩემპიონატის სამივე პრიზიორის ვინაობა ცნობილია:

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 15 | 0 | 0 | 551:386 | 30 |
| ბათუმი | 10 | 1 | 4 | 418:335 | 21 |
| მერანი | 8 | 1 | 6 | 415:340 | 17 |
| იმედი | 4 | 0 | 11 | 491:596 | 8 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 15 | 283:392 | 0 |

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: „ქუთაისი" - „ბათუმი", თსუ-„მერანი" - სტუ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ანამ დაასრულა, მაკა ნახევარფინალშია

ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ამჟამად 778 ქულით მსოფლიო რეიტინგში 83-ე ადგილზეა. გუშინ იგი სტრასბურგის საერთაშორისო ტურნირზე რეიტინგით 49-ე ადგილზე მყოფ 19 წლის კანადელ ეუჟენ ბუშარს დაუპირისპირდა და შეხვედრა ორ სეტში დათმო - 3:6, 2:6. ორი წრის დაძლევით ჩვენებური რეიტინგს 70 ქულით გაამდიდრებს.

მართალია, ანა სტრასბურგს დაემშვიდობა, მაგრამ მალე პარიზში საფრანგეთის ღია პირველობის ძირითად ბადეში ჩაებმება. ამჟამად საკვალიფიკაციო ეტაპის ორთაბრძოლები მიმდინარეობს და ანას მეტოქის ვინაობაც მალე გაირკვევა.

იტალიურ კასერტაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) წარმატებით ასპარეზობს **მაკა ჩახნაშვილი**. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენებურმა სტარტზე კაროლინა პილოტს (იტალია) აჯობა (6:4, 7:6), მერე მე-3 ნომრად განთესილ რუმინელ კრისტინა დინუს აჯობა (6:3, 3:6, 7:6), გუშინ მეოთხედფინალში კი ტურნირის მე-7 ნომერი - ჩერნოგორიელი დანკა კოვინიჩი დაჯაბნა - 7:6, 6:2 და ნახევარფინალში გავიდა (მაკამ, რომელიც კლასიფიკაციაში 87 ქულით 410-ეა, უკვე 24 სარეიტინგო ქულა შეიმატა), სადაც მე-2 ნომერ რენატა ვორაკოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ თანამემამულე დენისა ალერტოვას აჯობა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში მელანი კლაფნერი (ავსტრია) და ბეატრის ჰადად მაია (ბრაზილია) ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**



მაკა ჩახნაშვილი

ჭადრაკი

# ქალები - სამოცდამეათედ

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში 26 მაისს საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე საიუბილეო ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მანდილოსანი წრიული სისტემით შეხვდება ერთმანეთს.



საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები - საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი **მაია ლომინეიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი**, საჭადრაკო ოლიმპიადების პრიზიორები - საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი **ნინო ხურციძე** და 2010 წლის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული **სალომე მელია**, თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული **მერი არაბიძე**, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული **სოფიკო გურამიშვილი**, ასევე, დიდოსტატები - **ნინო ბაციაშვილი, მაკა ფურცელაძე, სოფიკო გვეტაძე**, საერთაშორისო ოსტატი, ორგზის საქართველოს ჩემპიონი **ინგა ხურცილავა, ანა კუჭავა** და **ლიკა კობეშავიძე**.

ჩემპიონატში არ იასპარეზებენ 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები, საქართველოს სამგზის ჩემპიონი **ნანა ძაგნიძე** და საქართველოს ორგზის ჩემპიონი **ლელა ჯავახიშვილი**, ასევე 2012 წლის ეროვნული ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი, საჭადრაკო ოლიმპიადების პრიზიორი, ფიდეს ქალთა გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშების პირველი ეტაპის გამარჯვებული **ბელა ხოტენაშვილი**, რომელიც ივნისში გრან პრის მეორე რაუნდში (სომხეთი) მოსინჯავს ძალებს.

ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 16.000 ლარი, რომელიც ტურნირის ხუთ საუკეთესო მოთამაშეზე ასე განაწილდება: I ადგილი - 5000 ლარი, II - 4000, III - 3500, IV - 2000, V - 1500 ლარი. 2 ივნისს მოასპარეზენი დაისვენებენ.

**ვაჟა დანელია**

# ინწკირველის მემორიალზე

ამაგდარი ქართველი მწვრთნელის, სახელოვანი მოჭადრაკეების აღმზრდელ შოთა ინწკირველის ტრადიციულ მემორიალში ამჯერად ნორჩები მონაწილეობენ.

**7-წლიან** ბიჭებში 5 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ალექსანდრე ყორღანაშვილი მეწინავეობს. მას თითო ქულით 5 მოასპარეზე ჩამორჩება.

**9-წლიან** გოგონებში 4-4 ქულით სალომე თუშიშვილი, ნეკა პავლიაშვილი და მარიამ მირინაშვილი ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს სათავეში. ნახევარნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ეთერ ხებრელაშვილმა და ლიზი გურიელმა. ამავე ასაკის ბიჭებში 5 ტურის შემდეგ 5 ქულით ნიკოლოზ კაჭარავა ლიდერობს. აქაც 5 მეტოქეს თითო ქულით ნაკლები აქვს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# ეს გოგო კარგად ჭიდაობს!

## ისტორიული შედეგი გვანცა კარელიძისგან

გორელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ, **გვანცა კარელიძემ** (38 კგ) ამას წინათ ანთალიაში გამართულ კადეტთა საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. შედეგი ისტორიულია, რადგან ჭიდაობაში ქართველ გოგონებს აქამდე არასოდეს დაუმსახურებიათ მედალი საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოში პირველად, გორის ჭიდაობის დარბაზში ვარჯიში გოგონებმა დაახლოებით ხუთი წლის წინათ **დავით პოლოსიანის** ხელმძღვანელობით დაიწყეს. ძალიან ნელა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ მათი რაოდენობა გაიზარდა. მერე ქალთა ნაკრების შექმნაც მოხერხდა და, მართალია, მონაწილეთა მცირე რაოდენობით, მაგრამ საქართველოს პირველობებზე მათაც დაიწყეს ასპარეზობა. დათო პოლოსიანს წლეულს თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვაჟთა ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელად გადასვლის მერეც არ მიუტოვებია ქალთა გუნდი, თუმცა ამჯერად უფრო კურატორის ფუნქციას ასრულებს და ამჟამინდელ მწვრთნელებს **აჩიკო ბარამიძეს** და **ოთარ ტლაშაძეს** უდგას გვერდში.

ანთალიის შეჯიბრებაზე საქართველოს კადეტთა ნაკრების რიგებში ვაჟებთან ერთად, გვანცა კარელიძე და **ანი ნაზარაშვილი** (49 კგ) იყვნენ. ამ უკანასკნელმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა წააგო. გვანცამ კი ორ თურქ მეტოქეს სძლია, აზერბაიჯანელთან თავად დამარცხდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი ირგუნა. „ძალიან გახარებული ვარ ამ მედლის მოპოვებით და, ცხადია, უპირველესად იმით, რომ ეს პირველმა მე შევძელი. საქართველოში ქალთა ჭიდაობა ამ ეტაპზე ნაკლებადაა განვითარებული, ჯერჯერობით ცოტანი ვვარჯიშობთ, მაგრამ ეს დროებითი პრობლემა მგონია. ანთალიიის შეჯიბრებაზე სხვების გამოსვლასაც ვაკვირდებოდი და ვნახე, რომ ქართველებს საკმაოდ დიდი პოტენციალი გვაქვს. განსაკუთრებით ტექნიკით ვართ სხვებზე წინ. ილეთებიც მეტი ვიცით და მათი უკეთ შესრულებაც შეგვიძლია. ჭიდაობაში თავიდან ჩემი დის მიბაძვით მოვედი და ახლა თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ უამისოდ ცხოვრება ველარც კი წარმომიდგენია" - გვითხრა გვანცა კარელიძემ. „სექცია რამდენჯერმე დაშლის საფრთხის წინაშე იდგა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა მის შესანარჩუნებლად. კარელიძის პირველი მედალი ჩემთვის და ყველასთვის დიდი სტიმულია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ ისეთი დაფინანსება არა გვაქვს, რომ შეჯიბრებებზე ხშირად გამოვიდეთ. ვიმედოვნებ, დაფინანსება საგაისო ბიუჯეტში მაინც აისახება. ამჯერად კი ანთალიაში ვაჟთა ნაკრებთან ერთად გოგონების გამგზავრება **ლუკა კურტანიძის** მხარდაჭერით მოხერხდა, სპორტის სამინისტრომ დაგვაფინანსა და მოხარული ვარ, რომ წარმატებას მივაღწიეთ. მართალია, ახლა ვაჟების ნაკრებში ვარ და ძველებური ინტენსივობით ვერ ვიმუშავებ ქალთა გუნდთან, მაგრამ მათთვის დროს მაინც აუცილებლად გამოვნახავ ხოლმე. შეუძლებელია, საქმე რომელშიც ამხელა შრომა მაქვს ჩადებული, უყურადღებოდ მივატოვო" - თქვა დავით პოლოსიანმა.


გვანცა კარელიძე და მწვრთნელი დავით პოლოსიანი

მანვე გვითხრა, რომ გორის გარდა ქალთა ჭიდაობის სექციები უკვე ამუშავდა საგარეჯოში, ამბროლაურსა და თბილისში. კარელიძის და კადეტ გოგონათა გუნდის მომდევნო შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატი იქნება და იგი იმედს გამოთქვამს, რომ დაფინანსება მოხერხდება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ფოტო: qartlisport.ge

შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ამბობენ, რომ „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას ავალდებულებს უზრუნველყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეცადინეობა და ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიება. მაინტერესებს კონკრეტულად რაზეა ლაპარაკი?

**ვახტანგ სანებლიძე**
თბილისი

**პასუხი:** დიახ, 2010 წელს 9 მარტის თქვენ მიერ ხსენებულ კანონში მართლაც შევიდა ცვლილება. აი, ისიც:

„სპორტის შესახებ"

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N24-25/3, 6 ნოემბერი, 1996, გვ. 21) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 18. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების სპორტული

საქმიანობა

პატიმრობის \თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, როგორც წესი, უზრუნველყოფს კონტროლს მათში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ატარებს აუცილებელ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელ მეცადინეობათა ჩატარების პირობებს შესაბამისი ინვენტარითა და მოწყობილობით..

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

კანონი ხელმოწერილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წლის 9 მარტს.

გამოხმაურება

# ტრიატლონის ძიებაში

ინტერესით გავეცანი ვალერიან როგავას ღია წერილს საქართველოს სპორტის ხელმძღვანელებისადმი, რომელიც თქვენი გაზეთის 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. მოუთმენლად ველოდით რეაგირებას, რადგან ტრიატლონი, რომლის საქართველოში დანერგვაზეც იყო წერილში ლაპარაკი, მსოფლიოში პოპულარული სპორტის სახეობა გახდა, რასაც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მისი შეტანაც ადასტურებს. სულაც არ ვფიქრობ, რომ წერილი უყურადღებოდ დარჩება, ეს შეუძლებელია, რადგან ჩვენ სპორტული ქვეყანა ვართ და მით უფრო, რომ საქმე ეხება ოლიმპიურ პროგრამას.

ქუთაისში ვართ ენთუზიასტები, მოვკიდებდით ხელს ამ საშურ საქმეს, მაგრამ არ ვიცით რით დავიწყოთ, ვის მივმართოთ. მადლობელი დაგრჩებით თუ შესაბამისი ფედერაციის (თუ არსებობს ასეთი) კოორდინატებს მოგვაწვდით.

**ბეჟან კვიმსაძე**
ქუთაისი

**პასუხი:** როგორც გვითხრეს, ტრიატლონი უყურადღებოდ არ დარჩება და მის დასანერგად კონკრეტული გეგმა მუშავდება. თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაციას: ელექტროფოსტა: Pentatlon.5@hotmail.com. ტელ: 2.22.77.90; 593.32.19.00.

უნივერსალური ორთაბრძოლები. საქართველოს ჩემპიონატი

# დასკვნითი ეტაპი გორში

**ამას წინათ, საქართველოს უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაციამ (პრეზიდენტი ტარიელ შერვაშიძე) ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონატის დასკვნითი, ფინალური შეხვედრები გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის დარბაზში გამართა. ეს სახეობა ჩვენი ქვეყნისთვის ახალია, თუმცა სწრაფად ვითარდება საქართველოში.**

დღესდღეობით უნივერსალური ორთაბრძოლების ათამდე კლუბი ფუნქციონირებს სხვადასხვა ქალაქში. პირველი ჩემპიონატი ოთხ ეტაპად დაიყო. პირველი გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩატარდა, მეორე - ქუთაისში, მესამე - თბილისში. ფინალურ ეტაპზე გორში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში 9 ორთაბრძოლა შედგა, ბოლოს კი ჩვენებმა სამი სარეიტინგო ორთაბრძოლა გამართეს ამერიკელებთან.



პირველი ჩემპიონატის ფინალის პირველ შეხვედრაში (65 კგ) **ზვიად ლაზიშვილმა** მოუგო **თორნიკე თოთლაძეს**. საბოლოოდ კი კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: **65 კგ.** 1. გელა ბარათაშვილი, 2. რამაზ ბებნაძე, 3. მერაბ დვალიშვილი; **70 კგ.** 1. ლევან მაყაშვილი, 2. რაულ თუთარაული; **77 კგ.** 1. ლევან მათიაშვილი, 2. ზვიად ქობალია, 3. შოთა აკულაშვილი; **84 კგ.** 1. გიორგი ბუტიკაშვილი, 2. გიორგი ქველაძე. სარეიტინგო ორთაბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს **ნოდარ კუდუხაშვილმა** (84 კგ), **ემზარ ტყეშელაშვილმა** (93) და **გიორგი სეთურიძემ** (+93).

ჩემპიონატის ორგანიზატორები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტი, კლუბ „გორი ფაითის" ხელმძღვანელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კრივში **ბექა ლობჟანიძე** და უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაციის შიდა ქართლის ორგანიზაციის თავკაცი **გიორგი კაბულაშვილი**. პირველი ჩემპიონები საზღვარგარეთ გამართავენ სარეიტინგო შეხვედრებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

უტრეხტი

# ოლიმპიური ფესტივალი

## ჩაჩუა მოსკოვიდან ჩამოხტება

13-20 ივლისს ჰოლანდიურ უტრეხტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი იმართება, რომელშიც საქართველო სპორტის 9 სახეობიდან 6-ში მიიღებს მონაწილეობას: ძიუდო, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, ჩოგბურთი და საგზატკეცილო ველოსპორტი. მონაწილეთა რაოდენობა 27 ან 28 იქნება. აქედან ძიუდოში 8 ბიჭი და 4 გოგო გვეყოლება, მძლეოსნობაში - 4 ბიჭი და 3 გოგო, ველოსპორტში - 2 ბიჭი, ცურვაში - 1 ბიჭი, ტანვარჯიშში - 1 გოგო და ჩოგბურთში - 2-2 გოგო-ბიჭი. შესაძლოა, მძლეოსნობას კიდევ ერთი მონაწილე დაემატოს და მაშინ რაოდენობა 28-მდე გაიზრდება.

ამათგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მონაწილეა გარკვეული - სპორტულ ტანვარჯიშში მოსკოვში მცხოვრები **თამარ ჩაჩუა** იასპარეზებს. სამწუხაროდ, სპორტის ამ სახეობაში საქართველოში მოვარჯიშენი აღარ დარჩნენ. თითქმის გარკვეულია მოცურავის ვინაობაც, მაგრამ ფედერაცია ჯერ კიდევ აკვირდება კანდიდატებს და არ ჩქარობს მის დასახელებას.

ფესტივალის პროგრამაში ხსენებული 6-ის გარდა, სპორტის კიდევ სამი სათამაშო სახეობა შედის: კალათბურთი, ფრენბურთი და ხელბურთი, მაგრამ იქ მონაწილეებს უკვე რეიტინგით იწვევენ. სამწუხაროდ, ამ სახეობებში ჯერ ასე მაღალი რეიტინგი არ გვაქვს და, შესაბამისად, ვერც მონაწილეთა შორის ვხვდებით.

უტრეხტულ ფესტივალში პირველად დაუშვეს გოგონები საგზატკეცილო ველორბოლაში. ასევე პირველად იქნება მედალი ოქროს შემცველი, თუმცა მისი რაოდენობა და ხარისხი ჯერ უცნობია. პირველად აიღებენ სისხლის დოპინგსაც, რაც სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და ექიმებს მეტი სიფრთხილისკენ უბიძგებს.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ნაცუ ბაშო. 12-26 მაისი

# გაგამარუ აღარ ხუმრობს

ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტი **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ, 206 კგ) ბრწყინვალედ ასპარეზობს ზაფხულის ბაშოზე. ქართველი მიწოლით ვერას გახდა **დაიდოსთან** ორთაბრძოლაში, ამიტომ გამოეცალა მეტოქეს და დოჰიოს ცენტრში წააქცია. თეიმურაზს 9-3 ბალანსი აქვს და ჩვენებურის მომდევნო მეტოქე **იოშიკაძე** (2:5 ურთიერთშეხვედრებში) იქნება.

ზედიზედ მეორე ორთაბრძოლა მოიგო **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**). ჩვენებური პირველად ხვდებოდა **ჯოკორიუს**, რომელსაც შანსი არ დაუტოვა, ულამაზესი ილეთით დააგდო თიხნარზე. ლევანმა ორი ერთმანეთზე უკეთესი ბრძოლა მოიგო, თუმცა ძალიან გვიან გამოფხიზლდა - 2-10 ბალანსი აქვს. ქართველის მომდევნო მეტოქე „მატადორი" **ამინიშიკია** (6:7 ურთიერთშეხვედრებში).

ზაფხულის ბაშოს 12-12 მოგებით მონღოლი **ჰაკუჰო** და იაპონელი **კისენოსატო** ლიდერობენ.

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): კისენოსატო-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი), კოტოოშუ-აოიამა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი); გოეიდო-შოჰოზანი (ცუკიჰიზა), ტოჩინოშინი-ჯოკორიუ (უვატენაგე), გაგამარუ-დაიდო (ჰატაკიკომი).

**სატურნირო მდგომარეობა**

12-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი).

10-2: კაკურიუ (ოძეკი)

9-3: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (ოძეკი), მიოგირიუ (მაეგაშირა 1), ჩიოტაირიუ (მ 10), გაგამარუ (მ 11)... 2-10: ტოჩინოშინი (მ 2).

**XIII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი, კისენოსატო-კაკურიუ, გოეიდო-ტაკაიასუ, ტოჩინოშინი-ამინიშიკი, გაგამარუ-იოშიკაძე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სუპერლიგა 2012-13. ფინალი

| | შსს აკადემია | ოლიმპი |
|---|---|---|
| | 74 | 67 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 19 | 22 | 8 | 25 |
| ოლიმპი | 25 | 17 | 12 | 13 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 38 | 3 | 9 | 4 | 3 | 1 | 12 |
| როგავა | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოქოლიშვილი | 16 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ლონდარიძე | 11 | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 |
| პრევიტი | 28 | 7 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ლომოური | 10 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ქუნასი | 18 | 4 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ბექაური | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩიბექი | 36 | 12 | 2 | 4 | 1 | 0 | 22 |
| რეიმონდი | 36 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 15 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოკი | 32 | 4 | 5 | 1 | 2 | 0 | 13 |
| ბერიშვილი | 34 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 19 |
| თენიეშვილი | 8 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ფაცაცია | 34 | 8 | 4 | 3 | 0 | 1 | 9 |
| დვალიშვილი | 17 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| მური | 23 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 9 |
| მილოშევიჩი | 37 | 10 | 5 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ანდრიუკაიტისი | 11 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |

*მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი*

# მეოთხე რაუნდისთვის შემონახული სამქულიანები



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტები, „შსს აკადემია" და „ოლიმპი" რაც მეტად უახლოვდებიან სეზონის დასასრულს, მით მეტად იძაბება სიტუაცია. ეს ერთი მხრივ კარგია, დაძაბულობა მოედანზე მატჩის საინტერესოობაზე პირდაპირპროპორციულად მოქმედებს. თუმცა მთავარია, ემოციები მოედნის გარეთ არ გავიდეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **გია კაზანჯიანმა** აღნიშნა - მეტოქემ ბინძური თამაში დაგვიპირისპირა, რისი საშუალება მსაჯებმაც მისცეს. მომდევნო მატჩში ჩვენც ვიცით როგორ ვითამაშებთო... მწვრთნელმა იქვე დაამატა - წაგებას მსაჯებს არ ვაბრალებ, ჩვენი ბრალია, განსაკუთრებით ბევრი შეცდომა მეოთხე პერიოდში დავუშვითო.

მართლაც, „შსს აკადემიამ" განსაკუთრებით კარგად მეოთხე რაუნდი ჩაატარა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ემოციები და დაძაბულობა ვახსენეთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინა ორი ფინალისგან განსხვავებით, გუშინ ბოლო წამებამდე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. წინასწარ იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ერთ ჩაგდებულ ან აცილებულ საჯარიმოს შეხვედრის ბედის გადაწყვეტა შეეძლო. ასეც მოხდა: საფინალო სირენამდე 2:16 წუთით ადრე საჯარიმოს ხაზზე დადგა შსსელი **კირკ არჩიბეკი** და ორივე ტყორცნა გამოიყენა - 67:65. გავიდა 33 წამი და საპირისპირო კალათთან საჯარიმოს სატყორცნად ოლიმპელი **სტევან მილოშევიჩი** მოემზადა, თუმცა ორივე სროლა გაუცუდდა და... ამას მოჰყვა **ილია ლონდარიძის** (შსს) სამი ქულა, რომელმაც აკადემიელები სირენამდე 1:11 წუთით ადრე 70:65 დააწინაურა. დარჩენილ დროში შსს-მ მიღწეულის შენარჩუნება შეძლო და ფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდა.

დავწერეთ მატჩის ბოლო წუთებზე, მაგრამ არაფერი გვითქვამს ზოგად სურათზე.

*- წარმოუდგენელია, მაგრამ მეტოქე ამის გამო პატივისცემას იმსახურებს - პირველ ტაიმში „ოლიმპმა" 10-დან 7 სამქულიანი ჩააგდო,* - აღნიშნა შსს-ელთა დამრიგებელმა **გიორგიოს კეცელიდისმა. მიხეილ ბერიშვილის** ანგარიშზე 5-დან 4 სამიანი იყო. სწორედ შორეული ტყორცნების შედეგად დაწინაურდა „ოლიმპი" 8 ქულით, მაგრამ „შსს აკადემიას" კალათბურთელები საპასუხოდ ფარქვეშიდან უტევდნენ და პირველ ნახევარში სამწამიანი ზონიდან ჩაგდებული ქულებით მეტოქეს 20:12 აჯობეს. ლოგიკური იყო პირველი ტაიმის შედეგიც, რომელიც „ოლიმპმა" მინიმალური სხვაობით, 42:41 მოიგო.

მესამე ათწუთეულში ორივე გუნდმა დაცვის სიმტკიცე გვიჩვენა, სულ 20 ქულა ჩააგდო. მეოთხეში კი შსს ბოლომდე გაიხსნა - თუ მანამდე, 30 წუთში მხოლოდ ერთი სამიანი ჰქონდა ჩაგდებული, ბოლო რაუნდში **დეონტა ვონმა, აკაკი ლომოურმა** და **ბენჟამინ რეიმონდმა** აკადემიელებს სამქულიანებით 9 ქულა მოუტანეს. ამას კი **სოკის** („ოლიმპი") სამიანი მოჰყვა და ბოლო სამ წუთში რა მოხდა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ისიც დავწერეთ, რომ სერიას „შსს აკადემია" იგებს - 2:1. მეოთხე შეხვედრა დღეს 18 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ სერია სამ მოგებამდეა.

მატჩის შემდეგ, მართებული რამ თქვა გიორგიოს კეცელიდისმა:

- არავის არაფერს ვაბრალებ, უბრალოდ, სამომავლოდ გასათვალისწინებლად ვამბობ: ფინალურ სერიაში მატჩებს შორის ერთმატჩიანი დასვენება უნდა იყოს, რათა კალათბურთელებმა ძალების აღდგენა მოასწრონ და უფრო ხარისხიანი მატჩები ვიხილოთ. ეს მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# აკადემია და ქუთაისი 1 საუკეთესოა

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მე-7 ტურის მატჩები გაიმართა. A ჯგუფში კვლავ შესანიშნავად ასპარეზობს და ჯერაც დაუმარცხებელია თბილისის „აკადემია". ეს გუნდი ყველასგან აშკარად გამორჩეულია და გათამაშების უმთავრესი ფავორიტია.

აკადემიელებმა მეშვიდე ტურში პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ „არმიას" მოუგეს - 31:7. ლიდერს კვალში უდგას რუსთავის „ხარები", რომელმაც შინ დიდი ანგარიშით სძლია ოზურგეთის „არწივებს".

B ჯგუფში დაუმარცხებელი ქუთაისის პირველი გუნდია. მეშვიდე ტურში აქ მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. თბილისის „ივერია მგლებმა" თანაქალაქელ „ჯვაროსნებს" აჯობეს - 34:7. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**VII ტური**

აკადემია-არმია 31:7, ხარები-არწივები 43:0, ქუთაისი 2-იმერეთი 48:3, ვეფხვები-ყოჩები (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 29 ქულა, 2. ხარები - 25, 3. ხულიგანა - 18, 4. არმია - 14, 5. ქუთაისი 2 - 10, 6. არწივები - 9, 7. ყოჩები - 9, 8. ვეფხვები - 4, 9. იმერეთი - 2.

**VIII ტური**

არმია-ხარები, ყოჩები-ქუთაისი 2, არწივები-პატარძეული, იმერეთი-ხულიგანა.

**B ჯგუფი**

**VII ტური**

ივერია მგლები-ჯვაროსნები 34:7, ლელო-ჯიქები (გადაიდო), ტაო-ნიქარა (გადაიდო), ჯიქები-ქუთაისი 1 (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 1 - 20 ქულა, 2. ჯიქები - 19, 3. ლოკომოტივი - 16, 4. ლელო - 15, 5. არმაზი - 13, 6. ივერია მგლები - 11, 7. ნიქარა - 8, 8. ჯვაროსნები - 1, 9. ტაო - 0.

**VIII ტური**

ლოკომოტივი-ივერია მგლები, ნიქარა-არმაზი, ჯვაროსნები-ტაო, ჯიქები-ქუთაისი 1.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ბესტი სამყურების წინამძღოლი

ირლანდიის ნაკრები ივნისის ტესტებზე ჩრდილოეთ ამერიკაში ითამაშებს, სადაც აშშ-ისა და კანადის ეროვნულ გუნდებს დაუპირისპირდება. „სამყურების" მწვრთნელთა შტაბმა 28 მორაგბეს უხმო. ამათგან ექვსი დებიუტანტია, რადგან წამყვანი მოთამაშეების ნაწილი „ბრიტანელი ლომების" ავსტრალიურ ტურნეში არიან მიწვეულნი.

ირლანდიის ნაკრების კაპიტნობა კი, „ალსტერის" შერკინების კვაჭს **რორი ბესტს** ანდეს, რომელიც ამ ფორმაციის ნაკრებში ყველაზე გამოცდილი და ავტორიტეტულია.

*„ჩრდილოამერიკული ტურნესთვის საკმაოდ საინტერესო გუნდი შევარჩიეთ. გამოცდილება და ახალგაზრდობა დაბალანსებულადაა შერწყმული. მოუთმენლად ველი მათთან მუშაობის დაწყებას მომავალ კვირაში.*

*აშშ-ისა და კანადის ნაკრებებმა საკმაოდ მოუმატეს 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ და კარგად ვიცით, რომ უმძიმესი მატჩები გველის"* - თქვა ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **ლის კისმა.**

შეგახსენებთ, რომ „სამყურები" აშშ-ის ნაკრებს 8 ივნისს ჰიუსტონში დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის თავზე კი, ტორონტოში კანადის ეროვნულ გუნდს ეთამაშებიან.

**ირლანდია**

რორი ბესტი, დარენ კევი, ტომ კარტი, დაკლან ფიცპატრიკი, იან ჰენდერსონი, კრის ჰენრი, პედი ჯექსონი, პაულ მარშალი, სტუარტ ოლდინგი, ენდრიუ ტრიმბლი, დენ ტუოჰი (ყველა-ალსტერი), ისააკ ბოსი, ჯიმი ჰეგანი, იან მადიგანი, ფერგიუს მაკფოდენი, კევინ მაკლუჰინი, მაიკ როსი, რიჩარდ სტრაუსი, დივინ ტონერი (ყველა-ლენსტერი), რობი ჰანსენი, კირან მარმიონი, მაიკ მაკკარტი (სამივე-ქონოთი), ფელიქს ჯოუნზი, დავიდ კილკოენი, ტომ ოდონელი, პიტერ ომაჰონი, მაიკ შერი, საიმონ ზებო (ყველა-მანსტერი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მაორები ჩრდილოეთ ამერიკაში

ახალი ზელანდიის მაორები წლეულს ნოემბრის ტესტებზე ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრებიან. მაორები, ფაქტობრივად, ახალი ზელანდიის A ნაკრებია, რომელიც 3 ნოემბერს ტორონტოში კანადის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, ერთი კვირის თავზე კი, ფილადელფიაში ამერიკელ „არწივებს" ეთამაშებიან.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩების მერე აშშ-ისა და კანადის ნაკრებები საქართველოში გამოემგზავრებიან და „ბორჯღალოსნებს" 16 და 23 ნოემბერს გაეჯიბრებიან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაორების ნაკრები ჩვენი გუნდის სავარაუდო მეტოქედ მოიაზრებოდა. აქედან გამომდინარე, ნოემბრის ტესტებზე საქართველოს ნაკრების სავარაუდო მეტოქეთა შორის იაპონიის, ფიჯისა და ტონგას ეროვნული გუნდები დარჩნენ.

*„ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებს უნიკალური ისტორია აქვს, დიდი სარაგბო კულტურითა და იდენტობით. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს ტექნიკურ სპონსორ „ადიდასთან". ამასთან ერთად, ახალი ხელშეკრულება გავაფორმეთ „ამერიკან ინტერნეიშენელ გრუპთან", რომლის დახმარებითაც განვითარების საკმაოდ სერიოზული პროგრამა დავგეგმეთ. სწორედ ამ გეგმის ნაწილია მაორების ჩრდილოეთ ამერიკაში სტუმრობა.*

*აშშ-ისა და კანადის ნაკრებებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები 2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში. მაორებს მათთან მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევთ, რაც ვფიქრობთ, ორივე გუნდისთვის სარგებლობის მომტანი იქნება."* - თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **სტივ ტიუმ.**

„ამერიკან ინტერნეიშენალ გრუპის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ ჰენკოკი** ამაყობს, იმით, რომ მის კომპანიას საშუალება ეძლევა რაგბის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანოს:

*„ძალიან გვიხარია, რომ მაორების ჩრდილოეთ ამერიკაში ჩამოყვანა მოვახერხეთ. როგორც ახალი ზელანდიისა და აშშ-ის რაგბის კავშირების პარტნიორები ყოველთვის მზად ვართ, ოვალური ბურთით თამაშის პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი მთელს მსოფლიოში."* - თქვა მან.

**ბესიკ ჯანგავაძე**




მაორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# მისტერ მასტერსი

გასულ კვირას, სახელოვანმა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რომელიც მრავალი წელია ატარებს "გრუნტის მეფის" სახელს, თავისივე რეკორდი გააუმჯობესა "მასტერსის" სერიის ტურნირებზე მოგებების რაოდენობით. ახლა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ATP-ის ეგიდით ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებზე 24 გამარჯვებით იწონებს თავს. ნადალის უახლოესი მდევარი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ჯერჯერობით 21-ზე გაჩერდა. დღეს გავიხსენებთ მასტერსის სერიის ყველა ტურნირზე ნადალის გამოსვლას და გავარკვევთ, ყველაზე მეტად სად ეხერხება გამოსვლა და ყველაზე მეტად რომელ ტურნირზე უჭირს.

### მონტე კარლო - 8 ტიტული (2005-12)

ნადალის გზა რეკორდამდე სწორედ მონაკოდან დაიწყო - 2005 წელს, როცა იუნიორი ესპანელი მე-17 ნომერი იყო კლასიფიკაციაში. მაშინ რაფა 19 წლისაც არ გახლდათ. ნადალი ამ ტურნირს ერთ-ერთ საყვარელს უწოდებს, რადგან *"როგორც უიმბლდონი, ის ტრადიციებს ინარჩუნებს"*. გზად თავის პირველ ტიტულამდე მან პირველი ათეულის ორი მოთამაშე დაამარცხა: **გასტონ გაუდიო** და **გილერმო კორია**. გრუნტის მომავალმა მეფემ ფინალს უცნაური უწოდა: ესპანელმა ოთხ პარტიაში გაიმარჯვა, ამასთან, მოახერხა მესამე სეტის 0:6 წაგება.

შემდეგ წელს, რაფამ დრამატულ ფინალში აჯობა მსოფლიოს პირველ ჩოგანს როჯერ ფედერერს - ორი მატჩბოლი გადაარჩინა. ეს ტურნირი ნადალისთვის ერთგვარ მეორე სახლად იქცა: აქ ნადალმა ზედიზედ რვა ტიტული მოიგო და საერთო ჯამში 46 შეხვედრაში გაიმარჯვა. მისი ჰეგემონია წელს, ფინალში **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დაამხო.

### რომი - 7 ტიტული (2005-2007, 2009, 2010, 2012, 2013)

ნადალისთვის კიდევ ერთი საყვარელი ტურნირია - რომის მასტერსი. აქ მან შვიდჯერ მოიპოვა მთავარი პრიზი და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა - 2008 წელს, პირველ წრეში **ხუან-კარლოს ფერეროსთან** და 2011 წელს, ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩთან.

ესპანელს რომში დებიუტი 2005 წელს ჰქონდა და ფინალში აქაც გილერმო კორია დაამარცხა. იმ შეხვედრაში ორივემ ბრწყინვალე თამაში აჩვენა, რაზეც ანგარიში მეტყველებს - 6:4, 3:6, 6:3, 4:6, 7:6(6). მაშინ რაფამ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა, როცა ორბრეიკიანი ჩამორჩენის შემდეგ მოიგო გადამწყვეტი სეტი.

ამ გამარჯვების შემდეგ შერაცხეს ექსპერტებმა ნადალი საფრანგეთის ღია პირველობის მთავარ ფავორიტად და ეს სტატუსი მან ღირსეულად გაამართლა. შემდეგ სეზონში მან ისევ აჯობა როჯერ ფედერერს და მათი დაპირისპირება ერთ-ერთი უდიადესი გახდა ჩოგბურთის ისტორიაში. სხვათა შორის, მათი ბოლო კლასიკა სწორედ რომში შედგა და რაფამ შვეიცარიელს არანაირი შანსი არ დაუტოვა.

### მადრიდი - 3 ტიტული (2005, 2010, 2013)

იმავე 2005 წელს, მონრეალისა და პეკინის კორტებზე ტრიუმფის შემდეგ, ნადალმა მადრიდში მშობლიურ ტურნირზე პირველად მოიგო დარბაზში ჰარდზე შეჯიბრება - მან ხორვატ **ივან ლუბიჩიჩს** არ დაუტოვა შანსი. იმ მატჩში ხასიათი და ფსიქოლოგიური მდგრადობა ისევ გახდა ნადალისთვის მთავარი კოზირი: მან ისევ შეიტანა თამაშში გარდატეხა, როცა სეტებს შორის 0:2-ს აგებდა. ტურნირის დროს, თითქმის ყველა მეტოქემ გაუმართა მას ბრძოლა: ხუთიდან ოთხ მატჩში მინიმუმ ერთი ტაი-ბრეიკი იმართებოდა. ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება მან მესამე წრეში თანამემამულე **ტომი რობრედოსთან** შეძლო.

ამის შემდეგ, მისი გამოსვლა ესპანეთის დედაქალაქში არ იყო წარმატებული მანამ, სანამ ჩემპიონატი გრუნტზე არ გადაიტანეს. მომდევნო ორი გამარჯვება - 2010 და 2013 წლებში შვეიცარიელებზე როჯერ ფედერერსა და **სტანისლას ვავრინკაზე** იქნა მოპოვებული.

### ინდიან უელსი - 3 ტიტული (2007, 2009, 2013)

ხისტი საფრის მასტერსებზე რაფას მხოლოდ ექვსი ტიტული აქვს მოპოვებული და აქედან ნახევარი ინდიან უელსზე მოდის. 2007 წლის ტურნირის მსვლელობისას (იმ მომენტისთვის ჰარდზე სამი ტიტული ჰქონდა მოგებული), ესპანელს არც ერთი სეტი არ წაუგია და ერთადერთი ტაი-ბრეიკი **არნო კლემანის** წინააღმდეგ სასტარტო მატჩში ითამაშა. განსაკუთრებული იყო **ენდი როდიკზე** გამარჯვება ნახევარფინალურ სტადიაზე, ფინალში კი ესპანელი მსოფლიო რეიტინგის მომავალ ლიდერს ნოვაკ ჯოკოვიჩს გაუსწორდა. ეს უკანასკნელი მაშინ კლასიფიკაციის პირველ ათეულშიც არ შედიოდა.

განსაკუთრებული როლი ენიჭება ესპანელის კარიერაში წლევანდელ ტრიუმფს. ნადალმა **ხუან მარტინ დელ პოტროს** სძლია დაძაბულ ბრძოლაში და პირველი დიდი ტურნირი მოიგო შვიდთვიანი პაუზის შემდეგ.



### მონრეალი/ტორონტო - 2 ტიტული (2005, 2008)

მონრეალის მასტერსზე, რომელიც ლუწ წლებში ტორონტოში გადადის, რაფაელმა სადებიუტო ტიტული მოიგო ჰარდზე, როცა ფინალში სამ სეტში დაამარცხა ლეგენდარული **ანდრე აგასი**, რომელიც ჯერ კიდევ შედიოდა პირველ ათეულში. რაც ყველაზე საინტერესოა, ნადალისთვის განსაკუთრებით რთული იყო პირველი წრის მატჩი **კარლოს მოიას** წინააღმდეგ. დანარჩენ შეხვედრებში მან საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა: **რიკარდო მელოს, სებასტიან გროსჟანს, მარიანო პუერტასა** და **პოლ-ანრი მატიოს** ჯამში მხოლოდ 24 გეიმი დაუთმო. აგასიზე გამარჯვებამ კი რაფას კარიერაში მეათე ტიტული მოუტანა და დაანახვა ყველას, რომ ის არა მხოლოდ გრუნტზეა გამორჩეული მოთამაშე.

2008 წელს, კანადაში გამოსვლა კი ფინალში **ნიკოლას კიფერზე** დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა, რამაც ნადალი მაქსიმალურად მიაახლოვა მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტულს, რომელიც მოგვიანებით, 18 აგვისტოს გაიფორმა.

### ჰამბურგი - 1 ტიტული (2008)

ცალკე ისტორიაა ჰამბურგის მასტერსთან დაკავშირებით. ნადალმა ეს ტურნირი 2008 წელს მოიგო, როცა შეჯიბრება ჯერ ისევ შედიოდა მასტერსის სერიაში და ის გრუნტზე თამაშდებოდა. მოგვიანებით, ტურნირი ჩინეთში ჰარდზე გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩები ნადალის საყვარელ გრუნტზე იმართებოდა, აქ პირველი ტიტულის მოპოვება საკმაოდ გართულდა: ნახევარფინალში ჯოკოვიჩთან და ფინალში ფედერერთან ნადალს გრძელი სამსეტიანი მატჩების ჩატარება დასჭირდა. შვეიცარიელის დამარცხებით, ესპანელმა რევანში აიღო წინა წელს წაგებისთვის.

### მაიამი - 3 ფინალი

მაიამის მასტერსი, რომელიც ინდიანა უელსის შემდეგ იმართება, ნადალისთვის არც ისე წარმატებულია. აქ მან ვერც ერთხელ ვერ შეძლო მთავარი პრიზის მოპოვება. ესპანელი სამჯერ იყო ფინალში და ორჯერ წააგო „დიდ ოთხეულში“ შემავალ ჩოგბურთელებთან: 2005 წელს - ხუთსეტიანი მატჩი როჯერ ფედერერთან, 2011 წელს - ნოვაკ ჯოკოვიჩთან. კიდევ ერთხელ რაფაელმა ფინალამდე 2008 წელს გააღწია, მაგრამ დამარცხდა რუს **ნიკოლაი დავიდენკოსთან**.

### პარიზი - 1 ფინალი

ასევე წარუმატებლად გამოდის ნადალი საფრანგეთის დედაქალაქის ჰარდზე. მხოლოდ ერთხელ - 2007 წელს მიაღწია მან გადამწყვეტ მატჩამდე, მაგრამ ვერაფერი დაუპირისპირა **დავიდ ნალბანდიანს**, რომელმაც ბრწყინვალე ტურნირი ჩაატარა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაფაელი პარიზის მასტერსს დიდად არ წყალობს. მაგალითად, ბოლო სამი წელია იქ არ ჩასულა.

### შანხაი - 1 ფინალი

ყველაზე „ახალგაზრდა“ მასტერსზე ესპანელი მხოლოდ ერთხელ იბრძოდა მთავარი პრიზისთვის - 2009 წელს. მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა მორიგმა პრობლემამ არ მისცა ნადალს საუკეთესო თამაშის ჩვენების საშუალება რუსი ნიკოლაი დავიდენკოს წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი იშვიათთაგანი ჩოგბურთელია, ვისაც დადებითი ბალანსი აქვს ნადალის წინააღმდეგ (6:5).

### ცინცინატი - ფინალის გარეშე

ეს არის „გრუნტის მეფისთვის“ ყველაზე წარუმატებელი მასტერსი. აქ ნადალმა მხოლოდ ორჯერ მიაღწია ნახევარფინალამდე, ორჯერ კი პირველი წრე წააგო: 2005 წელს **ტომაშ ბერდიხთან** და 2007 წელს - **ხუან მონაკოსთან**. სწორედ ამ ჩემპიონატის თასი არ ჰყოფნის მას მასტერსის სერიის ტურნირებზე გამარჯვებების სრული კოლექციის შესავსებად.

# ტონი ნადალი: ფედერერს ფავორიტებში ვერ ვხედავ

**რაფაელ ნადალის** მწვრთნელმა და ბიძამ - **ტონი ნადალმა** როლან გაროსის წინ ტურნირის ფავორიტებზე ილაპარაკა.

*„ჩემი ფავორიტების სიაში არ შედის როჯერ ფედერერი. რაფაელის გარდა, ტურნირში გამარჯვებაზე პრეტენზიას გამოაცხადებენ ნოვაკ ჯოკოვიჩი და დავიდ ფერერი. ისინი, ახლა, ბრწყინვალე ფორმაში არიან“*, - განაცხადა ტონი ნადალმა.

ესპანელი სპეციალისტის სიტყვებით, ფედერერი ძალებს დაზოგავს წლევანდელ როლან გაროსზე.

*„ფედერერი თავის ჩვეულ დონეზე ითამაშებს, მაგრამ გამარჯვებაზე პრეტენდენტთა შორის მას ვერ ვხედავ. ვფიქრობ, როჯერი დაზოგავს ძალებს ბალახისა და ჰარდის ტურნირებისთვის, სადაც ის ერთ-ერთი საუკეთესოა“*, - დაამატა უფროსმა ნადალმა.

■ ■ ■

ამასობაში, როლან გაროსის მამაკაცთა ბადეს კიდევ ერთი ჩოგბურთელი გამოაკლდა. პარიზის კორტებზე ვერ შეძლებს გამოსვლას ბრაზილიელი **ტომაშ ბელუჩი**.

ამ ჩოგბურთელის უარის მიზეზი მუცლის კუნთის ტრავმაა, რომელიც მან აპრილში ბარსელონას ტურნირზე მიიღო და დღემდე ვერ შეძლო გამოჯანმრთელება.

*„როლან გაროსი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირია. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მწყობრში ჩავმდგარიყავი და პარიზში მეთამაშა, მაგრამ არ გამოვიდა*, - განაცხადა ბელუჩიმ. - *რისკზე წასვლა არ შემეძლო, ამიტომაც გამოჯანმრთელებას დაველოდები“*.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლა იუარეს ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**, არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, ამერიკელებმა - **მერდი ფიშმა** და **ბრაიან ბეიკერმა**. კითხვის ნიშნის ქვეშ არის შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** თამაში.

დღეს გამოქვეყნდება ქალთა და მამაკაცთა სატურნირო ბადეები, ტურნირი კი კვირას დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



როჯერ ფედერერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მონაკოს გრანპრის წინ



# მონაკოს მაგია

მონაკოს გრან პრი – ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება სპორტულ კალენდარში: ეს უნიკალური რბოლა ტარდება ტრასაზე, რომელსაც შეესაბამება ეპითეტი "მაგიური"...

მაინც რაში მდგომარეობს მონაკოს მაგია? ყველაფერი იწყება იმ მომენტიდან, როცა თქვენი ავტომობილი საფრანგეთის მხრიდან გვირაბიდან გამოდის და სხვა სამყაროში ინაცვლებს. იქ თქვენ გელით საოცარი ზღაპრის ხუთი დღე, რის შემდეგაც მოგიწევთ ყოველდღიურ რეალობაში დაბრუნება.

აქ ყველაფერი გაკვირვებას იწვევს: ტროტუარები, რომელიც შეღებილია წითელ-თეთრ გამაში პილოტთა გმირობის აღსანიშნავად, ან ასობით შუქნიშანი, რომელთა დემონტაჟია საჭირო იმ დღეებში, როცა მონაკოში ფორმულა 1 ჩადის.

თქვენ იგრძნობთ მაგიას, თუ აღმოჩნდებით გრიმალდის სასახლის უკან კლდოვან ფერდობზე. ელიტა იახტებზე ერთობა, მათი მფლობელები ადარებენ თავიანთი ხომალდების ზომებსა და სიგრძეს, მაგრამ მონაკოს გრან პრი - მაინც სახალხო რბოლაა. აქ ათასობით გულშემატკივარი იყრის თავს და მათი წყალობით, არისტოკრატიული სათავადოს ტერიტორია ავტოსპორტისადმი ვნებით იჟღინთება. ნამდვილი ენთუზიასტები საყვარელ რბოლას ახლომდებარე გორაკებიდან უყურებენ.

რა თქმა უნდა, ყველგან იგრძნობა ხიფათი. ტრასის ან ბარიერის თითოეულ მეტრს შეუძლია მოჰყვეს თავისი ისტორია... დაუჯერებელი სანახაობის მოწმენი არიან ისინი, ვინც რბოლას თვალს ადევნებენ აუზის გარე მხრიდან: თქვენ დაინახავთ, როგორ იწევიან ჰაერში ბოლიდები ბარიერზე გადასვლისას, როგორ ეშვებიან ტრასაზე და თან ჯდებიან მოსახვევში, რის შემდეგაც, საბურავები ასფალტზე შავ კვალს ტოვებენ. და წამის მეასედებში მანქანები ქრებიან თვალთახედვის არედან. მაგრამ ეს ერთი წამიც საკმარისია იმისთვის, რომ შემთხვევითი მაყურებელი ავტოსპორტის დიდი გულშემატკივარი გახდეს.

მაგრამ, მონაკოს მაგიას დიადი პილოტებიც მოუტყუებია. ამ ტრასაზე ცდებოდა ყველა – და ეს ძვირად უჯდებოდათ. სწრაფი წრე ამ საქალაქო ტრასაზე არ ექვემდებარება სამეცნიერო გათვლებს, ტელემეტრიაც ყველაფერს ვერ აფიქსირებს – აქ მნიშვნელოვანია შეგრძნებები. შეუძლებელია ბარიერებთან კონტაქტის თავიდან აცილება, მაგრამ მანქანები ოდნავ უნდა შეეხონ მათ: პილოტი ერთდროულად მეგობრულად უნდა ეპყრობოდეს ბარიერებს და ამასთან, ერიდოს მათ, როგორც მტერს. ისეთი გამოცდა, როგორიც აქ პილოტებს ელით, არც სხვა ტრასაზე არსებობს.

ტრასაზე ნებისმიერი უსწორმასწორობა, უცხო საგნები, პატარა ორმოები ან ტალღები მაშინვე ეტყობა მოჭიდების ძალას და მრბოლელს მუდმივად უწევს მანქანასთან ბრძოლა, თითქოს ის ცოცხალი ორგანიზმი იყოს. და, რა თქმა უნდა, მონაკო – ეს არის თავის ტკივილი ინჟინრებისთვის, რომლებიც ცდილობენ მოჭიდების მაქსიმალური ძალა მიიღონ.

და კიდევ, იქ არის გვირაბი, რომელსაც მანქანები გამაყრუებელი ხმაურით გადიან. განსაკუთრებით შეიგრძნობა ეს კაკაფონია პირველ წრეებზე, როცა ყველა აგრესიულად უტევს და ცდილობს პოზიციის მოგებას. ამ დროს ისინი უფრო ინსტინქტებით ხელმძღვანელობენ და არა სალი გონებით.

მონაკოს საიდუმლოებების ამოხსნა **აირტონ სენამ** შეძლო, რადგან სწორედ მას ეკუთვნის რეკორდი, რომელიც დღემდე არ არის მოხსნილი: ბრაზილიელის ანგარიშზე ამ ტრასაზე ექვსი გამარჯვებაა, თანაც აქედან ხუთი ზედიზედ მოიპოვა – 1989-93 წლებში.

მხოლოდ მონაკოში ჩააქვს თითოეულ პილოტს სმოკინგი – ეს იმ შემთხვევისთვის, თუ მას ტრასაზე გაუმართლებს და შემდეგ "გამარჯვების მეჯლისზე" დასწრება მოუწევს. მხოლოდ აქ არ არის პოდიუმი, მაგრამ, სამაგიეროდ, თავადი **ალბერ II** პირადად გადასცემს გამარჯვებულს თასს, საღამოს კი თავისი ხარჯით ეპატიჟება მთელ გუნდს.

## საინტერესო ციფრები

მონაკოს გრან პრი – უნიკალური რბოლაა. ის რთულია არა მხოლოდ მრბოლელებისთვის, არამედ ორგანიზატორებისთვისაც. მიუხედავად ამისა, მრავალი წლის განმავლობაში ადგილობრივი მარშლებისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მუშაობა მაღალ დონეზე დგას.

მონაკოს რიგით 71-ე გრანპრის წინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა საინტერესო ციფრები, რომელიც ორგანიზატორთა მუშაობის რამდენიმე საიდუმლოს ხდის ფარდას.

3340 მეტრი – მონაკოს ტრასის სიგრძე.

305 კმ/სთ – მაქსიმალური სიჩქარე ტრასაზე.

260.52 კილომეტრს გადიან პილოტები რბოლის დროს.

16 მოსახვევს გადიან პილოტები ერთ წრეზე – 6 მარცხენა და 10 მარჯვენა.

3 ათასი საბურავი გამოიყენება დამცავი ბარიერების ასაგებად.

23 კილომეტრი სიგრძისაა უსაფრთხოების დამცავი რელსების საერთო სიგრძე.

20 ათასი კვადრატული მეტრია მავთულის ბადისგან შემდგარი ღობის ფართობი, რომელიც მაყურებელს იცავს სხვადასხვა ნამსხვრევისგან.

1100 ტონას იწონის კონსტრუქცია, რომლითაც აწყობენ დროებით ტრიბუნებს.

39 ტელეკამერა აშუქებს გრან პრიზე მიმდინარე მოვლენებს.

650 მარშალი მუშაობს ტრასაზე.

220 რადიოგადამცემს გამოიყენებენ მარშლები.

9 რადიოსადგური უზრუნველყოფს გადამცემების მუშაობას.

9 ამწე მზად არის ნებისმიერ დროს მოახდინოს დაზიანებული მანქანის ევაკუირება.

3 მაშველი მანქანა მორიგეობს რბოლის დროს იმ შემთხვევისთვის, თუ ბოლიდიდან პილოტის ამოყვანა გახდა საჭირო.

120 პროფესიონალი მეხანძრე აკონტროლებს სახანძრო უსაფრთხოებას.

7 სახანძრო მანქანას შეუძლია დაუყოვნებლივ გავიდეს ტრასის ნებისმიერ წერტილში შესაბამისი საფრთხის დროს.

500 ცეცხლსაქრობი არის მომზადებული ოპერატიული ჩარევისთვის – თითო ყოველ 15 მეტრზე.

3 სამედიცინო სადგურია ტრასაზე.

3 სამედიცინო ცენტრია მზად დაზარალებულთა მისაღებად.

17 ექიმი მუშაობს სამედიცინო ცენტრებში.

35 ექიმი-რეანიმატორი მუდმივად იმყოფება რბოლის დროს ტრეკთან ახლოს.

40 მაშველი მზად არის აღმოუჩინოს დაზარებულს პირველადი დახმარება.

18 სასწრაფო დახმარების მანქანას შეუძლია დაზარალებული ტრასიდან სამედიცინო ცენტრში გადაიყვანოს.

2 სამედიცინო ვერტმფრენი მუდმივად მორიგეობს ტრასასთან ახლოს.

## როსბერგის ტრიუმფით დაიწყო

მონაკოს უქმეები გუშინ, ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო. თავიდან პირველი ვარჯიში მშვიდად მიდიოდა - საწყისი ნახევარი საათი პილოტები ბოქსებში რჩებოდნენ და მხოლოდ საინსტალაციო წრით შემოიფარგლნენ. მხოლოდ სესიის მეორე ნახევარში დაიწყეს გუნდებმა აქტიური მუშაობა.

პირველი პრაქტიკა „მერსედესის" პილოტმა **ნიკო როსბერგმა** მოიგო, რომელმაც საუკეთესო წრე წუთსა და 16.195 წამში გაიარა. მასთან წამზე ნაკლები წააგო შვიდმა პილოტმა. გარდა ამისა, როსბერგმა ყველაზე მეტი დისტანცია დაფარა - 30 წრე.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ეტაპის წინ, ექსპერტების დიდი ნაწილი უპირატესობას „მერსედესს" ანიჭებდა. წინა რბოლებში გერმანული საჯინიბოს წევრები ძალიან კარგად გამოიყურებოდნენ კვალიფიკაციის დროს და შემდეგ, რბოლაში თმობდნენ პოზიციებს. იმის გამო, რომ მონაკოში ძალიან რთულია გასწრება და საბურავების ცვეთის მხრივ დიდ პრობლემებსაც არ ელიან, მომავალ რბოლაში ფავორიტებად სწორედ ნიკო როსბერგსა და **ლუის ჰემილტონს** ასახელებენ.

და გუშინდელმა მეორე თავისუფალმა პრაქტიკამ ეს ვარაუდი დაადასტურა - ნიკომ და ლუისმა მეორე ვარჯიშისას დუბლი შეასრულეს - პირველი და მეორე საუკეთესო დრო დააფიქსირეს. მესამე და მეოთხე ადგილები „ფერარის" პილოტებმა - **ალონსომ** და **მასამ** დაიკავეს, შემდეგ მოდიან **მარკ უებერი**, **კიმი რაიკონენი** და **რომენ გროსჟანი**...

**მონაკოს გრანპრი**

ჩატარების ადგილი: მონტე კარლო (მონაკო)
წრის სიგრძე: 3.340 კმ
წრის რეკორდი: 1:14,439 (მიხაელ შუმახერი, 2004)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 89 ქულა
2. რაიკონენი (ლოტუსი) - 72
3. ალონსო (ფერარი) - 72
4. ჰემილტონი (მერსედესი) - 50
5. მასა (ფერარი) - 45
6. უებერი (რედ ბული) - 42
7. გროსჟანი (ლოტუსი) - 26
8. დი რესტა (ფორს ინდიან) - 26

**უქმეების განრიგი**

25 მაისი, 13:00 - III პრაქტიკა
25 მაისი, 16:00 - კვალიფიკაცია
26 მაისი, 16:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ლებრონმა სამმაგი დუბლით მოიგო

ნამდვილი ბრძოლითა და ოვერტაიმით დაიწყო აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი „მაიამისა“ და „ინდიანას“ შორის. „პეისერსი“ კომპლიმენტს იმსახურებს - ამ გუნდს წინა სერიებში სტუმრად თამაში არ გამოსდიოდა, მაგრამ ამჯერად, დიდი ბრძოლა გაუმართა მოქმედ ჩემპიონს.

„ჰიტმა“, როგორც ყოველთვის, სწრაფ ტემპში დაიწყო, ბურთის არანორმალური სისწრაფით გათამაშებით, მაგრამ ამან ფლორიდელებს წარმატება არ მოუტანა. პირველივე წუთებზე ორივე გუნდი უშვებდა შეცდომებს, რომელიც ჯამში 41 დაგროვდა. პირველ ნახევარში გამორჩეული იყო **დევიდ უესტი**, რომლის გასაჩერებლად მასპინძლებმა ვერანაირი ხერხი ვერ იპოვეს. ფორვარდმა პირველ ორ მეოთხედში 11-დან რვა სროლა გამოიყენა. ამ დროს „ჰიტი“ აქცენტს ფარქვეშ შესვლებზე აკეთებდა და ამის გამო, „ინდიანას“, რომელიც ნაჩვევია სამწამიანში ბატონობას, არ ჰქონია ამ ზონაში სოლიდური უპირატესობა.

თუმცა მეორე მეოთხედში „ჰიტის“ თავდამსხმა ფაქტობრივად გაჩერდა. **ლებრონ ჯეიმსმა** პირველი ოთხი წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა პირველ მეოთხედში მიღებული ორი პერსონალურის გამო. თუმცა უნდა აღვნიშნოთ **მარიო ჩელმერსის** ორიდან ორი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი.

დიდი შესვენებისთვის სტუმრები ხუთ ქულას იგებდნენ, მაგრამ მალე ამ ჰანდიკაპისგან არაფერი დარჩა. მესამე მეოთხედის სტარტზე „მაიამი“ 12:2 გაიქცა, რასაც „ინდიანამ“ თავისი სპურტით უპასუხა - 14:4. ამ დროს ძალიან პროდუქტიულად იმოქმედა უესტის შემცვლელმა **ტაილერ ჰენსბრომ**, რომელმაც ხუთ-ნახევარ წუთში ხუთიდან ოთხი ჩააგდო და ოთხი მოხსნა მიითვალა. სამწამიანში მას ვერავინ უმკლავდებოდა.

ბოლო მეოთხედი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლების აქტიურობით დაიწყო. შესანიშნავი მონაკვეთი ჰქონდათ ჯეიმსა და **კრის ანდერსონს** (თამაშიდან - 7/7), რომლებმაც აანიოკეს მეტოქის სამწამიანი, თუმცა თავიანთ გუნდს სოლიდური უპირატესობა ვერ მოუტანეს. შემდეგ **ჯორჯ ჰილის** დრო დადგა. ბოლო მეოთხედში მან 10 ქულა დააგროვა და მისი წყალობით ბოლომდე ქულა ქულაში თამაში მიდიოდა. „მაიამის“ შეეძლო საქმე ოვერტაიმამდე არ მიეყვანა, მაგრამ „პლუს ორზე“ **რეი ალენმა** (თამაშიდან - 1/8) ორიდან ერთი საჯარიმო ვერ გამოიყენა. ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა **ჯორჯმა**, რომელმაც ბოლო წამზე სამქულიანი მოათავსა კალათში.


ლებრონის გადამწყვეტი ტყორცნა

ოვერტაიმი „ინდიანას“ მთავარი მწვრთნელის **ფრენკ ფოგელის** შეცდომებით აღინიშნა. თანაბარი ანგარიშისას, როცა ბურთის ფლობის უფლება „მაიამის“ ჰქონდა, მწვრთნელმა მოედნიდან გაიყვანა **როი ჰიბერტი და სემ იანგი** შეუშვა, რითაც ისარგებლა ჯეიმსმა, რომელიც წარმატებით შევიდა ფარქვეშ. საპასუხო შეტევაში ჯორჯმა ისევ სამქულიანი ისროლა, მაგრამ ტყორცნის დროს მასზე უეიდი დაჯარიმდა და ინდიანელმა სამივე საჯარიმო მოათავსა კალათში. სტუმრები ერთ ქულას იგებდნენ და „მაიამის“ მხოლოდ 2.2 წამი ჰქონდა ბურთის ფლობისთვის. და კვლავ, ფოგელმა ჰიბერტი გაიყვანა მოედნიდან და იანგი დააბრუნა. ლებრონმა ჯორჯი ჩამოიცილა, ისევ შევიდა ფარქვეშ და სირენასთან ერთად ჩააგდო გამარჯვების მომტანი სროლა - 103:102.

აღვნიშნავთ, რომ მატჩის მსვლელობისას ტრავმა მიიღო მარიო ჩელმერსმა და ჯერ გაურკვეველია, შეძლებს თუ არა ის აღდგენას მეორე მატჩისთვის. რაც შეეხება ლებრონ ჯეიმსს, მან შეხვედრა სამმაგი დუბლით დაასრულა. ეს მისი მეცხრე ტრიპლ-დაბლია პლეი ოფში. მხოლოდ **მეჯიქ ჯონსონს, ჯეისონ კიდს, რაჟონ რონდოსა და ლარი ბერდს** აქვთ უფრო მეტი.

**მაიამი-ინდიანა 103:102 (ო)**

22:21, 15:21, 27:23, 28:27, 11:10

მ: ჯეიმსი (30+10 პასი+10 მოხსნა+3 დაფარება), უეიდი (19+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (17), ანდერსენი (16+5 მოხსნა+3 დაფარება), ჩელმერსი (10).

ი: ჯორჯი (27+5 პასი), უესტი (26+5 მოხსნა), ჰიბერტი (19+9 მოხსნა), ჰენსბრო (10+6 მოხსნა), სტივენსონი (7+12 მოხსნა+3 პასი+3 ჩაჭრა).

სერია: 1-0

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი

# გოლების წვიმა პიტსბურგისგან


პიტსბურგი თითქმის ფინალშია

საფინალო სირენის შემდეგ, რომელმაც 7:3 დააფიქსირა "პიტსბურგის" სასარგებლოდ, "ოტავას" 39 წლის ფორვარდმა **დანიელ ალფრედსონმა** ყინულიდან შაიბა აიღო და თან წაიღო გასახდელში. *"ეს ჩემი შვილებისთვის. იმისთვის, რომ ნამდვილად დავბრუნებულიყავით სერიაში, დღეს აუცილებლად უნდა მოგვეგო, მაგრამ პირიქით მოხდა"*, - განაცხადა განაწყენებულმა შვედმა. შაიბა, რომელიც მან სუვენირის სახით აიღო, შემთხვევითი არ არის: ფორვარდმა პლეი ოფის მატჩებში თავისი მეასე ქულა მოიპოვა. მეხუთე შეხვედრა პიტსბურგში გაიმართება, სადაც დიდი ალბათობით "პინგვინები" მოიგებენ სერიას და გაიფორმებენ აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალის საგზურს.

ვეტერანი ალფრედსონისთვის, რომელსაც არ აქვს კონტრაქტი მომავალი სეზონისთვის, სავარაუდოდ, ეს იყო ბოლო მატჩი საკუთარი გულშემატკივრების წინაშე.

"პინგვინზის" ფანტასტიკური შედეგიანობა გასაკვირი არ ყოფილა გულშემატკივრებისთვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია ელოდნენ "პიტსბურგისგან" გოლების წვიმას, რადგან ამ გუნდს ძალიან ძლიერი შეტევითი ხაზი აქვს. თავად ჰოკეისტები კი აცხადებდნენ, რომ მესამე მატჩის მეორე ოვერტაიმში წაგება შემთხვევითობა იყო და ისინი ფსიქოლოგიური დარტყმის მიყენებას აპირებენ "ოტავასთვის".

მატჩი ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველ ნაწილში "ოტავამ" ილბლისა და მეკარე **კრეიგ ანდერსონის** ბრწყინვალე თამაშით წარმატებით მოიგერია სტუმრების ყველა შეტევა და რიცხობრივ უმცირესობაში გახსნა ანგარიში. პირველი პერიოდი "სენატორებმა" 2:1 მოიგეს.

მეორე პერიოდის სტარტზე, 40 წამის ინტერვალით **კუნიტცისა და იგინლას** გოლებმა სათავე დაუდეს "ოტავას" განადგურებას. მესამე 20-წუთეულში "სენტორზი" დაიშალა, როცა ჯერ პერიოდის მეორე წუთზე გაუშვა, შემდეგ კი წუთისა და 50 წამის ინტერვალით სამი შაიბა მიიღო საკუთარი კარში - 7:2. "ოტავას" საცოდაობის კულმინაცია გახდა მეექვსე შაიბა, როცა კროსბიმ მარტო მოატყუა სამი მეტოქე და ისე შეაგდო.

მატჩის შემდეგ, უცნაური პრესკონფერენცია ჰქონდა „ოტავას“ მთავარ მწვრთნელ **პოლ მაკლინს** - ჟურნალისტებთან მისი შეხვედრა 13 (!) წამი გაგრძელდა. მწვრთნელი რეპორტიორებთან გავიდა, ხელში თამაშის ოქმი ეჭირა. *„ყველაფერი აქ არის, - მიუთითა მაკლინმა ფურცელზე. - ეს არის 7:3. პიტსბურგში შევხვდებით ერთმანეთს"*. ამის შემდეგ მწვრთნელმა დატოვა დარბაზი.

**ოტავა-პიტსბურგი 3:7**

2:1, 0:2, 1:4

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-2 (ალფრედსონი-6, ბენუა-3), 1:1 ჯ. ნილი-2, 2:1 ტარისი-5 (სილვერბერგი-2, ე. კარლსონი-6), 2:2 კუნიტცი-4 (დუპუი-3, ლეტანგი-8), 2:3 იგინლა-3 (ლეტანგი-9, ჯ. ნილი-3), 2:4 ჯ. ნილი-3 (კროსბი-7, ლეტანგი-10), 2:5 დუპუი-7 (კუკი-2), 2:6 კროსბი-7 (ტაილერ კენედი-2), 2:7 იგინლა-4 (ი. იოკინენი-3, ლეტანგი-11), 3:7 ალფრედსონი-4 (ე. კარლსონი-7).

**სერია: 1-3**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი. I მატჩი** | |
| ჰოფენჰაიმი-კაიზერი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **უეფას პლეი ოფი** | |
| ტვენტე-უტრეხტი | 0:2 |
| **პლეი ოფი** | |
| იგლზი-ვოლენდამი | 3:0 |
| სპარტა-როდა | 0:0 |
| **ბელგია** | |
| **უეფას პლეი ოფი** | |
| გენტი-სტანდარდი | 1:0 |
| **პლეი ოფი** | |
| სერკლი-მუსკრონი | 1:2 |
| ვოლუვე-ვესტერლო | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ელვერუმი-სტრომენი | 1:1 |
| ვარდ ჰაუგესუნ.-კონგსვინგერი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-მიალბიუ | 3:0 |
| ელფსბორგი-ბრომაპიოკარნა | 6:0 |
| ჰალმსტადი-ნორჩოპინგი | 1:1 |
| სირიანსკა-ჰაკენი | 0:3 |
| კალმარი-ოსტერი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| გაის-ჰამარბიუ | 1:0 |
| ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 0:0 |
| სუნდსვალი-ლიუნგსკილე | 3:1 |
| ვარბერგსი-იორგრიტე | 5:1 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-იარო | 1:2 |
| ჰიკ-ვაასა | 1:2 |
| ჰონკა-მარიეჰამნი | 2:1 |
| იუვიასკიულა-კუოპიო | 0:0 |
| როვანიემი-ინტერი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ვიიკინგიტი-ილვესი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| მანისა-ადანა | 1:1 |
| ბუკა-ქონია | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| პიასტი-კორონა | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-გლორია | 4:1 |
| **ლიტვა** | |
| შიაულიაი-ატლანტასი | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-სტრასბური | 52:73 |
| **საბერძნეთი** | |
| რეტიმნო-პაოკ | 88:65 |
| არისი-პანიონიოსი | 75:66 |
| **ესპანეთი** | |
| კახა ლაბორალი-გრან კანარია | 57:56 |
| ვალენსია-სარაგოსა | 80:42 |
| ბარსელონა-ბილბაო | 88:62 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-კოლეილილერი | 97:61 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| მონაკო-კამკე | 6:3, 6:4 |
| ტროიცკი-პეია | 6:7, 5:7 |
| ჰაიეკი-სისლინგი | 3:6, 1:6 |
| **ATP. ნიცა** | |
| კუერი-როჟე ვასელენი | 6:3, 6:7, 1:6 |
| მონტანიესი-მატიო | 6:4, 6:1 |
| სიმონი-ანდუხარი | 4:6, 5:7 |
| მონფილსი-ჰაასე | 6:2, 6:3 |
| **WTA. ბრიუსელი** | |
| პუტინცევა-ვინჩი | 3:6, 7:5, 2:6 |
| ფლიპკენსი-ჰემპტონი | 4:6, 6:3, 5:7 |
| ჟენგი-ოპრანდი | 3:6, 6:3, 0:6 |
| სტივენსი-პენგი | 2:6, 3:6 |
| **WTA. სტრასბური** | |
| ბუშარი-ტატიშვილი | 6:3, 6:2 |
| კორნე-სხეპერსი | 6:3, 6:1 |

TV პროგრამა

**24 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბაიერნი-ბარსელონა.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. დორტმუნდი-რეალი.
18:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი. I მატჩი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. რეალი-დორტმუნდი.
01:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. ფინალი. სანტოსი-კორინთიანსი. საპასუხო მატჩი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. II მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შალკე.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჩემპიონის გზა. სარასენი-ტულონი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. სან ანტონიო სპურსი. 1998-99 წლები.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. I მატჩი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. II მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
12:20 სპორტ-NEWS.
12:50 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სტრასბური. საფრანგეთი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 22 | 38 | (მზე) |
| ბათუმი | 20 | 34 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 35 | (მზე) |
| ზუგდიდი | 21 | 37 | (მზე) |
| გორი | 11 | 30 | (მზე) |
| თელავი | 14 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 6 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 30 | (მზე) |
| მესტია | 10 | 28 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1153 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6360 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4692 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2389 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა მესიმ ჩამიქროლა...





2009. VS Belarus 2013. VS Milano


გადაპრიალებული


აბადოკიანი


გვერდგაპარსული


მოჰიკანი


ეკლიანი


თავხოტორა


სამურაი


ქერა


დათესილი მინდორი


გრძელთმიანი

ტაიმლაინში ძირითადად განვლილი შვიდდღეულის ამბებზე ვწერთ. ამ დროში რა იყო მთავარი სპორტული მოვლენა?

...თბილისის „დინამომ" ჯერ საქართველოს ჩემპიონობა გაიფორმა, შემდეგ „ორმაგი დუბლი" შეასრულა - საჩემპიონო მედალს საქართველოს თასი მიაყოლა.

■ ■ ■

...კალათბურთში სამი მეგობარი, **მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე** და **გიორგი ცინცაძე** ევროპულ ქვეყნებში საპლეიოფო ორთაბრძოლებს იგებენ. განსაკუთრებული მოვლენა გამოდგა ვიქტორის მილანში თამაში, რომელშიც იმდენად ეფექტურად გაისარჯა, რომ იტალიელი ჟურნალისტები მიმოხილვებში მისი გვარის ნაცვლად „მფრინავ ქართველს" წერდნენ. ვიქტორის „მონტეპასკიმ" 90:80 დაამარცხა „მილანი" და მეოთხედფინალური სერია 4:3 მოიგო. ამ შეხვედრაში სანიკიძემ ჩატენას ჩატენა მიამატა... ერთ-ერთი ზემოდან გდების ამსახველი ფოტო 2009 წლის სურათის ანალოგიური გამოდგა. მაშინ ბელარუსის ნაკრები დავამარცხეთ და A დივიზიონის საგზური მოვიპოვეთ. ამ ორი სურათის შეწებებით კი „სატაიმლაინე" ფოტოპარალელი მივიღეთ.

სამიოდე დღის წინ გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსმა" ევროლიგის მოგება დიდ რესტორანში აღნიშნა. სმა, ჭამა, ზეიმი ხომ „ტაიმლაინისთვის" შესაფერისი თემაა. ამ მოვლენის ამსახველ ერთ ფოტოს დღეს შემოგთავაზებთ.

■ ■ ■

ფერგიუსონის სახით მართლაც დიდმა მხედართმთავარმა დატოვა ბრძოლის ველი (სამწვრთნელო კარიერა დაასრულა). მანჩესტერში მის გავლენაზე ყველას კარგად მოეხსენება - გემახსოვრებათ, გასახდელში დევიდ ბექჰემს ბუცი რომ სდრუზა. ფერგის გავლენა მანჩესტერულ ბარებშიც ვრცელდებოდა... უეინ რუნი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერს: *„ერთ დღეს მანქანით პატარა ბარს ჩავუარე, რომელთანაც ჩემი მშობლები შევნიშნე. მათ შევუერთდი. მეორე დღეს ფერგიუსონმა დამიბარა და მკითხა - ბარში რას აკეთებდიო. მაშინ მივხვდი, რომ მისი საიდუმლო კავშირი ყველგან ვრცელდება და ფერგისგან დამალვა უბრალოდ შეუძლებელია."*


შერმადინი და მისი მეუღლე საევროლიგე ზეიმისას

■ ■ ■

დევიდ ბექჰემი შემთხვევით არ გვიხსენებია. „ფეისბუკზე" გამოქვეყნდა ფოტო, რომელზეც ახალგაზრდა ალექს ფერგიუსონი და პატარა დევიდი „მანჩესტერთან" ხელის მოწერის დროს არიან აღბეჭდილნი. მწვრთნელის დარად, ბექჰემმაც გასულ უქმეებზე დაასრულა კარიერა. როცა ინგლისის ნაკრების ყოფილ „შვიდიანს" ჰკითხეს, ბუცები ლურსმნებს რატომ მიაბარეო, დაუფიქრებლად უპასუხა: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, როცა მესიმ ჩამიქროლა, მივხვდი, ფეხბურთიდან უნდა წავსულიყავიო.

მოდით, ბექჰემის გვარი კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და თვალი დავხუჭოთ. რა წარმოგვიდგება? ზოგს დევიდის ჯარიმები და ფლანგური გარღვევები გაახსენდება, ზოგს - მისი ვარცხნილობა სხვადასხვა ვარიაციაში, ზოგს დევიდის მეუღლე - ვიქტორია ადამსი. ამბობენ, ბექჰემმა ვიქტორია პირველად თბილისში ნახაო - თურმე Spice Girls-ის კონცერტი პირველად ტელევიზიით მაშინ უნახავს, როცა ინგლისის ნაკრებთან ერთად საქართველოში სათამაშოდ იყო ჩამოსული (1998 წელს, 0:2 დავმარცხდით).

ეს ამბავი ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ ერთი რამ ცხადია - დევიდს კარგი გემოვნება ჰქონია. სწორედ მის გემოვნებაზე გაამახვილა ყურადღება ბრიტანულმა გამოცემა „სანმა", როცა ბექჰემის ვარცხნილობის ტიპებს ფოტოკოლაჟი მიუძღვნა და თან შესაბამისი სახელებიც მოუძებნა. კოლაჟის ხილვა ამავე გვერდზე შეგიძლიათ.

■ ■ ■

განვლილი შვიდი დღის ამბებზე საკმარისად დავწერეთ. როგორი იქნება ხვალინდელი დღე? გერმანული საზომებით - ნათელი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ხომ ალემანები ითამაშებენ - „დორტმუნდი" და „ბაიერნი. დახედეთ ამავე გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოს: კრიშტიანო რონალდოსა და ლეო მესის შემყურეთ, შაბათს ტელევიზორის ცისფერ ეკრანზე (თუ ბრტყელი იქნება, უკეთესი) ლიგის ფინალის ხილვის სურვილი გაგიჩნდებათ.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ბექჰემმა პატარაობაშივე მოირგო ჰალსტუხი






ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ოთხობელია ექიმების დამიწყნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9772233382000

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608